პერიოდიკა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 თებერვალი **ორშაბათი** 2011

№ 041 (13 338) ფასი 60 თეთრი




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზამთარმა თბილისიც აიღო, ზესტაფონმა ქულა წაიღო, გორში ბურთი ვერ გაგორდა



ფოტო: www.fcdinamo.ge

შაბათს ეროვნულზე: დინამო-ზესტაფონი 0:0. ბუბა დაუშვილი (მარცხნივ) და პეტარ ელიჩი



## კალაძემ და ჯენოამ 0:3 და რანიერი ამოატრიალეს

## მწარე ამბები ერთ დროს ტკბილი დიუსელდორფიდან



19.02. თბილისი. ბ. პაიჭაძე. 800 მაყურებელი

| დინამო | 0 |
|---|---|
| ზესტაფონი | 0 |

| დინამო | ზესტაფონი |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-1-1 |
| ლორია | რ. კვასხვაძე |
| კაკუბავა | ალადაშვილი |
| თომაშვილი | მ. კობახიძე |
| გ. კვარაცხელია | გ. ონიანი |
| მაროვიჩი | ელიავა |
| რობერტინიო | დაუშვილი |
| არზიანი | გორგიაშვილი |
| ჰაჯიბულიჩი | გრიგალაშვილი |
| ჯუისი | ბაბუნაშვილი |
| კოშკაძე | აფციაური |
| ელიჩი | წინამძღვრიშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| კ. კაჭარავა | გ. გეგუჩაძე |

**დინამო**

42. ჰაჯიბულიჩი – **ედნილსონი**
51. არზიანი – **კვეკვესკირი**
73. რობერტინიო – **კახელიშვილი**

*სათადარიგოები: ზარქუა, ხმალაძე, თექთურმანიძე, ტატანაშვილი*

**ზესტაფონი**

57. გორგიაშვილი – **ბენაშვილი**
76. წინამძღვრიშვილი – **გელაშვილი**
82. აფციაური – **დვალი**

*სათადარიგოები: მეშველიანი, გ. ფოფხაძე, ჭანკოტაძე, ს. ლომია*

გაფრთხილება: **აფციაური (18), გ. ონიანი (64), ბაბუნაშვილი (90)**

არბიტრი: **თ. გვანცელაძე**

# ვინ უფრო მაღლე ით თამაშამდე?

## დინამო და ზესტაფონი სრულ სვლამდე




რობერტინიოსა (ბურთით) და ბაბუნაშვილის ორთაბრძოლა

არსებობის პირველ წლებში "ზესტაფონი" "დინამოსთან" გამარჯვებას ხშირად აღწევდა, ბოლო დროს კი პრინციპულ მეტოქეთა შეხვედრებში დედაქალაქელთა უპირატესობა აშკარაა. ამიტომაც, "ზესტაფონისთვის" სტუმრად მოპოვებული ქულა ურიგო შედეგი არ უნდა იყოს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე გუნდის მწვრთნელმა მატჩამდე ფრეზე ბევრი იფიქრა. გამარჯვებისკენ სწრაფვა მასპინძლებმაც გამოავლინეს და სტუმრებმაც, რასაც მათ ნამდვილად ვერ დავუკარგავთ, მაგრამ ორივეს შესრულებით ისეთი ხარისხიანი ფეხბურთი ნამდვილად არ გვინახავს, რომელიმე მათგანს სამი ქულა დაემსახურებინოს.

ნამატჩევს "დინამოს" თავკაცმა **კახა კაჭარავამ** თქვა, ოპტიმალური შემადგენლობის მისაგნებად და გუნდის სასურველ ფორმაში შესაყვანად დაახლოებით ერთი თვე დაგვჭირდებაო. თბილისელთა მწვრთნელის მოსაზრება სავსებით ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა სხვა საქმეა, რომ ჩემპიონობის მსურველმა გუნდმა ხსენებულ პერიოდში კიდევ ბევრი გაუთვალისწინებელი ქულა შეიძლება დაკარგოს. რაც შეეხება "ზესტაფონს", რა თქმა უნდა, მისი წევრებისთვის უკეთესი იქნებოდა, რუსთავის "ოლიმპის" წაფორხილებით ესარგებლათ, მაგრამ სატურნირო ცხრილის შეხედვა მათ ცუდ განწყობას არ უნდა უქმნიდეთ. "დინამოს" მსგავსად, "ზესტაფონის" თამაშიც შორს იყო ოპტიმალურისგან, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ **გია გეგუჩაძეს** გუნდის ბირთვი არ შეუცვლია, უფრო თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იმერული კლუბი ლიდერისთვის შესაფერისად მალე ათამაშდება.

"სპარტაკთან" ჩატარებული უსახური მატჩის შემდეგ "დინამოს" განაცხადში ცვლილებები მრავლად მოხდა და ჯობს, ამაზე კონკრეტულად ვთქვათ. სასტარტო თერთმეტეულში ერთბაშად ხუთი კაცი შეიცვალა: კარში ტრავმამოშუშებული **გიორგი ლორია** დაბრუნდა, დაცვის ცენტრში "სპარტაკთან" არადამაჯერებლად მოთამაშე **ირჟი ჰომოლას** ნაცვლად **გივი კვარაცხელია** გაამწესეს, **ედნილსონმა** და **ნიკა კვეკვესკირმა** ძირითადიდან სათადარიგოთა შორის გადაინაცვლეს, "დინამოში" დებიუტი ჰქონდა **ზურაბ არზიანს**, სულ ცოტა ხნის წინ დუბლშემადგენლობაში მოვარჯიშე **დონალდ ჯუისი** უცებ სასტარტოში ალმოჩნდა, ცენტრფორვარდის ერთადერთი პოზიცია კი **დიმიტრი ტატანაშვილის** ნაცვლად "ვოლგადან" გადმოყვანილმა **პეტარ ელიჩმა** დაიკავა, რომელსაც ასევე ქართული დებიუტი ჰქონდა. ჰომოლა, **შოთა კაშია** და **ნიკა ფირცხალავა** "დინამოს" განაცხადში მიკროტრავმების გამო ვერ მოხვდნენ.

რაც შეეხება "ზესტაფონს", მას ჩემპიონატის მეორე ეტაპის სადებიუტო მატჩში ერთბაშად ორი ცენტრალური მცველი აკლდა – **გიორგი ხიდეშელი**, რომელსაც **ნიკოლოზ გელაშვილთან** ერთად დისციპლინის დარღვევისთვის მისჯილი სანქციის ვადა უკვე გაუვიდა, გაციებულია, ხორვატი ახალწვეული **გორან გრუიცა** კი კლუბმა ჯერ განაცხადში ვერ შეიყვანა. დაცვის ცენტრში გამოცდილ **გიორგი ონიანს** ახალგაზრდა **მამუკა კობახიძე** შეუწყვილდა. "ზესტაფონის" შემადგენლობაში ასევე ვერ ვიხილეთ **ზურაბ მენთეშაშვილი**, რომელიც კონტრაქტს, სავარაუდოდ, დღე-დღეზე გააფორმებს.

სამწუხაროდ, უშუალოდ შეხვედრაზე იმდენიც კი არაა მოსაყოლი, რამდენიც მეტოქეთა წინასამატჩო მდგომარეობაზე ვთქვით. შესაძლოა, თამაშის მდარე ხარისხის ერთ-ერთი მიზეზი ისედაც არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი და თოვლისგან კიდევ უფრო შელახული ეროვნული სტადიონის გაზონი იყოს, მაგრამ ჩემპიონობის პრეტენდენტებისგან მაინც უფრო მეტს ველოდით.

გუნდებს ბურთის ფლობის მაჩვენებელი დაახლოებით თანაბარი ჰქონდათ. საგოლე მომენტი ბევრი არ ყოფილა, თუმცა პირველ ტაიმში დაწინაურებასთან უფრო ახლოს "დინამო" იყო. მე-17 წუთზე **რობერტინიო** ხელსაყრელ პოზიციაში ალმოჩნდა, ლაინსმენმა ალამი ასწია, მაგრამ არბიტრმა მისი მოსაზრება არ გაიზიარა და თამაშგარე მდგომარეობა არ დააფიქსირა. ბრაზილიელის დარტყმა უზუსტო გამოდგა. ერთ წუთში ჯუისი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ უნიათოდ დაარტყა და **როინ კვასხვაძეს** ბურთის მოგერიება არ გასჭირვებია. **შოთა გრიგალაშვილის** ჩახვეული ბურთი კი ლორიამ კუთხურზე მოიგერია.

შესვენებამდე "დინამოს" ერთი უსიამოვნო ამბავი შეემთხვა. ტრავმის გამო თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო "სპარტაკის" კარში გატანილი ეფექტური გოლის ავტორმა **სემირ ჰაჯიბულიჩმა**. ასევე ტრავმის გამო "ზესტაფონს" მეორე ნახევარში **თორნიკე გორგიაშვილი** გაუხდა შესაცვლელი. საერთოდ, თამაში ხისტი გამოდგა, რის გამოც სამედიცინო შტაბების წარმომადგენლები საქმეში ხშირად ერთვებოდნენ.

მეორე ტაიმში ორად-ორი რეალური მომენტი შეიქმნა. 71-ე წუთზე **მარკო მაროვიჩი** მარცხენა ფლანგიდან შეტევაში კარგად ჩაერთო და **ალექსანდრე კოშკაძე** ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, "დინამოს" კაპიტანმა კი მიზანს ააცილა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში გელაშვილის ძლიერი დარტყმისგან "დინამო" ლორიამ და ძელმა ერთობლივად იხსნეს.

თავიდან ორივე გუნდი თითო გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობდა. თუკი კაჭარავა ბოლომდე ამ ტაქტიკის ერთგული დარჩა, შეხვედრის დასკვნით ნაწილში გეგუჩაძემ უფრო თამამი შეცვლები გააკეთა და არცთუ გამორჩეული **წინამძღვრიშვილის** ნაცვლად საქმეში გელაშვილი-**დვალის** ნაცადი დუეტი აამოქმედა. სწორედ მათი დამსახურებაა, "ზესტაფონმა" შეხვედრის ეს ნაწილი "დინამოზე" უკეთ რომ ჩაატარა და გამარჯვებამდე მცირედი დააკლდა. აი, ელიჩი კი თითქმის შეუმჩნეველი იყო, თუმცა ეს მხოლოდ მისი ბრალი არაა – "სპარტაკთან" მატჩში ანალოგიურად უქმად იყო ტატანაშვილი და, ვფიქრობთ, ეს ამ თავდამსხმელებზე მეტად "დინამოს" შეუთამაშებელი და ჩამოუყალიბებელი ნახევარდაცვის ბრალია, რომელიც ფორვარდებს ჯერ სათანადოდ ვერ "ასაქმებს". თავი დიდად ვერც "ზესტაფონის" შუა ხაზმა გამოიჩინა, "დინამოცა" და "ზესტაფონიც" თამაშის გამწვავებას უფრო ფლანგელების ხარჯზე ახერხებდნენ.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე "ზესტაფონის" მხრიდან მთავარი მწვრთნელის გია გეგუჩაძეს სიცხიანობის გამო მისი ასისტენტი **გიორგი ჭიაბრიშვილი** წარდგა.

**კახა კაჭარავა:** *"დინამოსა" და "ზესტაფონის" დაპირისპირება საქართველოს ჩემპიონატში ყოველთვის გამორჩეული მოვლენაა. პირველ ტაიმში ნორმალურად ვითამაშეთ, მეორე ნახევრით კი უკმაყოფილო ვარ. ბუნებრივია, ორ თამაშში დაკარგული ოთხი ქულა არასახარბიელო შედეგია, მაგრამ ახალწვეულებს გუნდთან შესაგუებლად გარკვეული დრო, დაახლოებით სამი-ოთხი თამაში სჭირდებათ".*

**გიორგი ჭიაბრიშვილი:** *"ძალიან დაძაბული თამაში გამოვიდა, სადაც ჩვენი გეგმების განხორციელება მეტ-ნაკლებად შევძელით. არც კმაყოფილები ვართ და არც უკმაყოფილოები, შეხვედრის შედეგი კი უდავოდ ლოგიკურია. კარგი იქნებოდა, შეცვლებით უფრო დროულად გვესარგებლა. ჩვენი მთავარი მიზანი რომელიმე კონკრეტული მატჩის მოგება კი არა, საქართველოს ჩემპიონობაა, რის მისაღწევადაც, ცხადია, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგია საჭირო".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

19.02. ბოლნისი. თ. სტეფანია. 300 მაყურებელი

| სიონი | 2 |
|---|---|
| კოლხეთი | 0 |

1:0 ჩირიკაშვილი (54), 2:0 რ. ჯიქია (59)

| სიონი | კოლხეთი |
|---|---|
| 4-3-2-1 | 4-4-2 |
| მერლანი | ძაგანია |
| კობაური | ცხვიტარია |
| ორბელაძე | მახვილაძე |
| თარგამაძე | ინწკირველი |
| ქორიძე | გელაჭეიშვილი |
| დიდავა | მეგრელიშვილი |
| ლ. ნოზაძე | გულუა |
| გოგობერიშვილი | გავაშელიშვილი |
| ისიანი | გოგონაია |
| ჩირიკაშვილი | მდივნიშვილი |
| რ. ჯიქია | კვერენჩხილაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. ყიფშიძე | გ. შეროზია |

**სიონი**

85. ჩირიკაშვილი – **ადამაშვილი**
87. ისიანი – **ნ. კვასხვაძე**
87. რ. ჯიქია – **მ. ოქროპირიძე**

*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, ვაშაკიძე, გ. რეხვიაშვილი, ქუცურუა*

**კოლხეთი**

68. გელაჭეიშვილი – **წიძარიშვილი**

*სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, ქორჩილავა, ბარამიძე, საცერაძე*

გაფრთხილება: **გელაჭეიშვილი (21), გავაშელიშვილი (82)**

არბიტრი: **მ. ბეუქლიშვილი**

## ხუთ წუთში მოთავებული საქმე

სხვა ქალაქების მსგავსად, ბოლნისური მატჩიც ჩაშლის საფრთხის წინაშე იდგა, მაგრამ სტადიონის ხელმძღვანელობამ და პერსონალმა მოედნის თოვლისგან გასაწმენდად ბევრი იშრომეს და გაზონს სათანადო კონდიცია შეუნარჩუნეს.

უამინდობის კვალობაზე თამაში საკმაოდ საინტერესო სანახავი იყო და, იმის მიუხედავად, რომ ურიგოდ არც სტუმრებს უთამაშიათ, მაინც ლოგიკური შედეგით დასრულდა.

ნომინალურად "სიონმა" ერთი ცენტრფორვარდით ითამაშა, "კოლხეთმა" კი ორით, მაგრამ რეალურად თავიდანვე სადავეები მასპინძლებმა იგდეს ხელთ, ფოთელებმა კი კონტრშეტევებზე თამაში ამჯობინეს. იერიშისას **რევაზ ჯიქიას** აქტიურად ეხმარებოდნენ **ჩირიკაშვილი** და **ისიანი**, "კოლხთაგან" აქტიურობით გამორჩეული თავდამსხმელი **მდივნიშვილი** კი ხშირად იხევდა უკან და თავად ცდილობდა შეტევის მარჯვენა ფლანგიდან თამაშის გამწვავებას. მისი მონდომებით "კოლხეთმა" ორი კარგი მომენტი შექმნა, თუმცა ისინი გაუშვა ხელიდან, მაგრამ "სიონს" გაცილებით მეტი შანსი ჰქონდა.

პირველ ტაიმში **შეროზიას** გუნდის საჯარიმოში ორი საკამათო ეპიზოდი დაფიქსირდა. ფოთელ მცველებთან ორთაბრძოლაში ორივეჯერ **ლაშა ნოზაძე** წაიქცა. ერთი შეხედვით, ძნელი სათქმელია, იყო თუ არა პენალტები, ფაქტი კი ისაა, რომ არბიტრმა ორჯერვე თამაშის გაგრძელება ბრძანა, რამაც ბოლნისური პუბლიკის ხმაურიანი გაღიზიანება გამოიწვია. შესვენებამდე ანგარიშის გახსნა **ჯიქიას** შეეძლო, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა ბურთი პირდაპირ მას დაუმიზნა.

მეორე ტაიმში "კოლხეთის" არასაკმაო ფიზიკურმა მომზადებამ იჩინა თავი, რაც ნორმალურად შეკრებაგაუვლელი გუნდისგან მოულოდნელი არ ყოფილა. "სიონის" უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა და გოლებიც გავიდა. ორივე ბურთი **ყიფშიძის** გუნდმა ეფექტური გაიტანა. ჩირიკაშვილმა მეტოქის საჯარომოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ბურთი "ცხრიანში" გაახვია. ხუთიოდე წუთში კი მისი დახმარებით ჯიქია "კოლხეთის" მცველებს გასცდა, მეკარეც მოატყუა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

ეს იყო და ეს, "სიონმა" დაგეგმილი სამი ქულა განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე მოიპოვა და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსი "კოლხეთზე" გაცილებით უკეთესი აქვს.

**კოკა ვაშაკიძე**

ბოლნისი – თბილისი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიხარულზე ბაიამ გაიხარა

19.02. თბილისი. სიხარული (თემქა). 100 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| ბაია | 1 |

1:0 რ. ონიანი (77. საკუთარ კარში) 1:1 ქობალია (87)

| ვიტ ჯორჯია | ბაია |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-1-1 |
| ა. მიქაბერიძე | სომხიშვილი |
| ბექვაია | სვირავა |
| ადამაძე | აქუბარდია |
| კასრაძე | გამრეკლიძე |
| ღანიაშვილი | ონიანი |
| ვასაძე | რიგვავა |
| მაისშვილი | წურწუმია |
| გურ.გურეშიძე | სიხარულია |
| კორიფაძე | ვართაგავა |
| ჯანელიძე | შ. ლომია |
| ჩიმაკაძე | ქობალია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| მ. კოჭლაშვილი | ე. ძოწენიძე |

**ვიტ ჯორჯია**

69. კორიფაძე - **როსტიაშვილი**
სათადარიგოები: ძაძამია, ზაქრაძე, ჭანკვეტაძე, გოგიაშვილი, გიორ. გურეშიძე, ხურცილავა

**ბაია**

63. რიგვავა - **ძირია**
71. სიხარულია - **ეხვაია**
88. ლომია - **აფაქიძე**
სათადარიგოები: მაქაცარია, შონია, ქვარცხავა, ჩანგელია.

გაფრთხილება: აფაქიძე (89)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

მასპინძლებს აუცილებლად გამარჯვება მართებდათ. მართალია, მე-20 ტურამდე ორივე გუნდი სატურნირო ცხრილის ზედა ნახევარში იმყოფებოდა, მაგრამ მშვიდად თავს მაინც ვერ გრძნობდნენ. ზუგდიდური გუნდი, როგორც სტუმარი, ცხადია, ფრეზეც ყაბულს იქნებოდა და ყველაფერს აკეთებდა მიზნის მისაღწევად.

„ბაია" სასურველი შედეგისთვის ბრძოლას მატჩის დასაწყისიდანვე შეუდგა და ორ წუთში ორი სახიფათო შეტევის ორგანიზება მოასწრო. უკვე მე-2 წუთზე სტუმართა ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **ირაკლი ქობალია** მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, თუმცა **არდალიონ მიქაბერიძეს** ვერ აჯობა.

თბილისელმა ფეხბურთელებმა თამაში დიდხანს ვერ დაალაგეს. მეტოქე უფრო ორგანიზებული და მოტივირებული ჩანდა. ისიც თვალსაჩინო იყო, რომ „ბაიას" მოთამაშეები მწვრთნელის მითითებებს ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ. სტუმართა რიგებში გამორჩეული კაპიტანი **როინ ონიანი** იყო, რომელიც თითქმის ყველა ეპიზოდში აქტიურად ირჯებოდა და მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა, ისიც ისეთი, რომ გუნდს გოლად დაუჯდა. თუმცა ეს მეორე ნახევარში მოხდა.

იქამდე კი „ვიტ ჯორჯია" ზუგდიდელთა საჯარიმოს პირველად მე-12 წუთზე მიუახლოვდა, თუმცა მეკარე არ შეუწუხებია. ნელ-ნელა მასპინძლებმა თამაში დაალაგეს, ფლანგების გამოყენებაც დაიწყეს და რამდენიმე სახიფათო შეტევაც განახორციელეს. ვიტჯორჯიელთა ფორვარდმა **ბესიკ ჩიმაკაძემ** ორი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.

ანგარიშის გახსნის რეალური შანსი „ვეტერინარებმა" 30-ე წუთზე გაუშვეს ხელიდან. კუთხურს ზუგდიდელთა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, ბურთთან ყველაზე ადრე ჩიმაკაძე გაჩნდა და უძლიერესი დარტყმით ხარიხა შეაზანზარა.

ტაიმის დასრულებამდე წუთით ადრე მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ დასარტყმელ პოზიციაზე ისევ ჩიმაკაძე აღმოჩნდა. ის მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა გამოცდილი **გიორგი სომხიშვილის** გაცურება ვერაფრით მოახერხა. იქამდე ვიტჯორჯიელებმა შორეული დარტყმებითაც სცადეს მეტოქის კარის დალაშქვრა, მაგრამ უშედეგოდ.

შესვენების შემდეგ თხუთმეტი წუთის განმავლობაში ბურთი, ძირითადად, საჯარიმოებს შორის დაგორავდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მასპინძლები „ბაიას" მოქანცვას ელოდნენ. ისინი საამისოდ ყველაფერს აკეთებდნენ: სწრაფი, ერთი ან ორი შეხებით გათამაშებული კომბინაციები, შეტევის მიმართულების ხშირი ცვლა, ბურთის ერთი ფლანგიდან მეორეზე გადატანა, ზუგდიდელებს დიდ ენერგიას ართმევდა, თუმცა ისინიც საკმაოდ მწარედ „იკბინებოდნენ". ონიანს მხარი **შოთა ლომიამაც** აუბა, რომელიც გამუდმებით ცდილობდა, ქობალია დასარტყმელ პოზიციაზე გაეყვანა.

61-ე წუთზე „ბაია" კიდევ ერთხელ გადარჩა. **გიორგი ვასაძემ** ფლანგური გარღვევის შემდეგ ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, მეკარე კარიდან გამოსვლისას შეცდა. ჩიმაკაძემ ცარიელ კარში დაარტყა, მაგრამ ბურთი სომხიშვილის დასაზღვევად გადასულ ონიანს მოხვდა.

სტუმრებმა ამ დაძაბული ვითარების განმუხტვა კი მოახერხეს, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ" ირწმუნა, რომ მეტოქის დაცვა გაუვალი სულაც არ იყო და ზეწოლა გააძლიერა, რამაც შედეგი 77-ე წუთზე გამოიღო. ზუგდიდელები საკუთარ ნახევარზე, მარცხენა ფრთაზე დაჯარიმდნენ. **გიორგი ჯანელიძემ** ბურთი საჯარიმო მოედანში ჩაჰკიდა. „ბაიას" ლიდერმა ონიანმა ზემოთ ნახსენები ერთადერთი შეცდომა დაუშვა, ბურთს თავით კარგად ვერ შესწვდა და ისიც ისე, რომ მიმართულება არ შეუცვლია, მარცხენა დაბალ კუთხეში აღმოჩნდა.

სტუმრები მოვლენების ასეთ განვითარებას ვერაფრით შეეგუენ. თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნათო, იერიშზე გადავიდნენ. მასპინძლები იძულებულნი გახდნენ, საკუთარი საჯარიმოს მისადგომები გაემაგრებინათ. ანგარიშის გასათანაბრებლად კი „ბაიას" ათი წუთი დასჭირდა.

მარცხენა ფრთიდან ლომიას მიერ საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი ყველას და ყველაფერს გადასცდა და მარჯვენა ფრთაზე **ლაშა სვირავას** ნადავლი შეიქნა, რომელიც ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა. მისი ძლიერი, შეუჩერებლივ დარტყმული ბურთი მიქაბერიძემ მოიგერია, თუმცა ქობალიამ იქვე თავი შეაგება და ანგარიში გაათანაბრა.

„სიხარულის" სტადიონს, რომელზეც ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდების მატჩი პირველად ჩატარდა, მაყურებელი დაღონებული ტოვებდა, რადგან დარჩენილ დროში „ვიტ ჯორჯიამ", დიდი მცდელობის მიუხედავად, გამარჯვების გოლის გატანა ვერ შეძლო. სამაგიეროდ, სტუმრად მოპოვებულმა ერთმა ქულამ „ბაია" დიდად გაახარა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი | 20 | 12 | 5 | 3 | 32 | 17 | 41 |
| 2 | ზესტაფონი | 19 | 12 | 2 | 5 | 39 | 12 | 38 |
| 3 | დინამო | 20 | 10 | 7 | 3 | 24 | 10 | 37 |
| 4 | ბაია | 20 | 7 | 5 | 8 | 20 | 23 | 26 |
| 5 | სიონი | 20 | 6 | 6 | 8 | 14 | 23 | 24 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 20 | 7 | 2 | 11 | 19 | 27 | 23 |
| 7 | ტორპედო | 19 | 5 | 8 | 6 | 10 | 11 | 23 |
| 8 | კოლხეთი | 20 | 6 | 4 | 10 | 16 | 31 | 22 |
| 9 | სამტრედია | 19 | 5 | 4 | 10 | 18 | 33 | 19 |
| 10 | სპარტაკი | 19 | 4 | 5 | 10 | 19 | 24 | 17 |

სპარტაკი-სამტრედია გადაიდო

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 10 |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 10 (1) |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 10 (1) |

**მომდევნო ტური**
**23 თებერვალი. ოთხშაბათი**

ბაია-ტორპედო
სამტრედია-სიონი
კოლხეთი-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-დინამო
ზესტაფონი-სპარტაკი

# იყო თუ არა ჯარიმა?

19.02. რუსთავი. ფოლადი. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 1 |
| ტორპედო | 1 |

0:1 ქებაძე (59), 1:1 უგულავა (90. ტყემალაძის პასით)

| ოლიმპი | ტორპედო |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-4-2 |
| ბედიაშვილი | მიგინეიშვილი |
| ჯაფარიძე | დ. ფოფხაძე |
| კვახაძე | მაჭავარიანი |
| ქემოკლიძე | ს. თოდუა |
| დობროვოლსკი | ჩიკვილაძე |
| რაზმაძე | გ. სეთურიძე |
| ბოლქვაძე | დილმელაშვილი |
| ძავთარაძე | ქებაძე |
| ი. მაისურაძე | დათუნაიშვილი |
| გენაძე | ვ. კვარაცხელია |
| მოდებაძე | მეგრელაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| თ. მაისურაძე | გ. გიგატაძე |

**ოლიმპი**

64. გენაძე – **ტყემალაძე**
71. ბოლქვაძე – **გ. ჭელიძე**
88. მაისურაძე - **უგულავა**
სათადარიგოები: ბათიაშვილი, ბახტაძე, ლ. სეთურიძე, გორდეზიანი

**ტორპედო**

65. ვ. კვარაცხელია – **ბაკურაძე**
76. სეთურიძე – **გ. დოლიძე**
88. დათუნაიშვილი – **თარხნიშვილი**
სათადარიგოები: ქვილითაია, გოცირიძე, წ. მაისურაძე, ფარულავა, ჯაყელი

გაფრთხილება: ქემოკლიძე (37), ქებაძე (51), მაისურაძე (57), გენაძე (63), ბაკურაძე (80)
არბიტრი: ლ. სილაგავა

ყინვამ გულშემატკივარი დააფრთხო და საქართველოს ჩემპიონის შეხვედრას ბევრი მაყურებელი არ დასწრებია, მაგრამ დოლებით „შეიარაღებული" "ოლიმპის" 50-მდე ფანი ამინდმა ვერ შეაშინა და თავისიანებს 90 წუთი ომახიანად ქომაგობდნენ. ზამთრის შესვენებაზე გვარიანად სახეცვლილ მეტოქეთა ჟინიანი და დაძაბული თამაში ურიგო საცქერი არ იყო, დასასრული კი დამაინტრიგებელი აღმოჩნდა.

პირველ ტაიმში სტუმრებს მწვავე შეტევების განხორციელება უჭირდათ, რუსთაველები უფრო აქტიურობდნენ და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ **ირაკლი მოდებაძემ, ირაკლი მაისურაძემ** და **რევაზ გეწაძემ** მეკარე **ომარ მიგინეიშვილს** ვერ აჯობეს, ახლო მანძილიდან რაზმაძის დარტყმას კი მცველი გადაეფარა და "ტორპედო" გოლს გადაურჩა.

"ტორპედო", რომელსაც პირველ ტაიმში ხეირიანი ბევრი არაფერი გაუკეთებია, მეორე ნახევარში გარდაიქმნა და მწვავედ ათამაშდა. ეს ფლანგებზე **თენგიზ ჩიკვილაძისა** და **გიორგი სეთურიძის** კარგი თამაშის შედეგიც იყო და "ოლიმპის" კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. 48-ე წუთზე **გია მეგრელაძემ** მეკარესთან პირისპირ **ვახტანგ კვარაცხელია** გაიყვანა, მაგრამ ქუთაისელი ფორვარდი წაიქცა და მასპინძლები გადარჩნენ.

რამდენიმე წუთში რუსთაველთა მცველები კვლავ უხეშად შეცდნენ და **დაჩი ფოფხაძის** ჩაწოდებული ბურთი მეკარის საჯარიმოსთან მარტო დარჩენილმა მეგრელაძემ კარისკენ გაგზავნა, მაგრამ მიზანს მცირე მანძილით ააცილა.

59-ე წუთზე "ოლიმპი" ველარ გადარჩა: მცველმა უხეიროდ მოიგერია მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი, რომელიც პენალტის ნიშნულთან **ლაშა ქებაძეს** მიუგორდა, მან კი ერთი შეხებით საკმაოდ ეფექტურად გაიტანა - 1:0.

გაშვებულმა გოლმა "ოლიმპი" გამოაცოცხლა და შეუტია. მოდებაძე შორიდან ცდილობდა ბურთის მეკარისთვის თავზე გადაგდებას, კუთხურის გათამაშების შემდეგ კი "ტორპედოს" კარს **ლექსო კვახაძე** დაემუქრა, მაგრამ მიგინეიშვილმა ორივეჯერ საიმედოდ ითამაშა.

"ტორპედო" კონტრშეტევებს სახიფათოდ იწყებდა, მაგრამ ბოლო მომენტში ველარ ამწვავებდა და ასე რამდენიმე მომენტი გაანიავა.

"ოლიმპს" არაფერი გამოსდიოდა და ქუთაისელები გამარჯვების აღსანიშნავად ემზადებოდნენ, მაგრამ 90-ე წუთზე "ტორპედოს" საჯარიმოსთან მასპინძელთა თავდამსხმელი მოდებაძე წაიქცა. **ლაშა სილაგავამ** "ტორპედო" უყოყმანოდ დააჯარიმა, არადა, ეპიზოდი დასაფიქრებელი იყო – დაარღვიეს კი თამაშის წესი სტუმართა მცველებმა?

ჯარიმა მოედანზე ახალშესულმა **ვაკო ტყემალაძემ** შეასრულა. ბურთი კარის უკან მდგომ სასწრაფოს მანქანასაც გადასცდებოდა, მეორე ახალშესულის - **ჯაბა უგულავას** მხარს რომ არ შეხებოდა, ტრაექტორია შეიცვალა და "ტორპედოს" კარის "ცხრიანში" ჩაეშვა – 1:1.

მატჩის შემდეგ ტორპედოელები უკმაყოფილებას არ მალავდნენ, მიაჩნიათ, რომ გამარჯვება წაართვეს, არც ჯარიმა იყო და იმასაც ამტკიცებდნენ, დარტყმისას უგულავა თამაშგარეში იყოო, მაგრამ მსაჯის გადაწყვეტილებას ველარ შეცვლიდნენ.

**მატჩის შემდეგ**

**გია გიგატაძე**, "ტორპედო": *"ვფიქრობ, კარგი თამაში გამოგვივიდა. მატჩი მოგებული გვქონდა, კურიოზული გოლი რომ არ გაგვეშვა. დღეს ერთ-ერთ საუკეთესო ქართულ გუნდს შევხვდით. რაც შეეხება მოდებაძის წაქცევას, ჩემი ადგილიდან ჩანდა, რომ ჩვენს მცველებს წესები არ დაურღვევიათ. რეალურად რა მოხდა, "ტორპედოს" ხელმძღვანელობასაც აინტერესებს და ჩანაწერს აუცილებლად ვნახავთ".*

**თორნიკე მაისურაძე**, "ოლიმპი": *"მახარებს ქართული გუნდების გაძლიერება, რაც ძლიერი და საინტერესო ჩემპიონატის წინაპირობაა. დარწმუნებული ვარ, "ტორპედოსთან" კიდევ ბევრი ლიდერი დაკარგავს ქულებს. დღევანდელმა შეხვედრამ ჩვენი ბევრი ხარვეზი გამოაჩინა, გვყავს ტრავმირებულიც და დისკვალიფიცირებულნიც. გოლი კურიოზული კი იყო, მაგრამ ფრე კანონზომიერ შედეგად მიმაჩნია".*

**მერაბ მამულაშვილი**
რუსთავი-თბილისი



# ათოვდა ქართლის ბალებს

## სპარტაკმა სამტრედიას ვერ უმასპინძლა

სამწუხაროდ, უმაღლეს ლიგაში სრული ტური ვერც ამჯერად ჩატარდა. თუკი თბილისური, რუსთაული და ბოლნისური სტადიონების თოვლისგან გაწმენდა დროულად მოხერხდა, გორში უფრო დიდი ნალექი მოვიდა და "ქართლის" სტადიონის პერსონალმა მოედნის მოწესრიგება ვერ შეძლო.

"სპარტაკი"-"სამტრედიას" მატჩის გადადების გადაწყვეტილება არბიტრმა **ჯენერი ხორავამ,** მსაჯთა დამკვირვებელმა **ოთარ გუნთაძემ** და დელეგატმა **გელა კეტაშვილმა** მიიღეს. შეხვედრის გამართვის თარიღი მალე დადგინდება. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ისედაც შეჭირვებულმა სამტრედიელებმა გორამდე და უკან ფუჭად იმგზავრეს.



**ლევან ჯანეზაშვილი**
ს.კ. სპარტაკის პრესსამსახურის ფოტოები


**ანდროლოგიური პროგრამა მამაკაცებისათვის!**

ენდოკრინულ და მეტაბოლურ დარღვევათა კლინიკა დონორთა დაფინანსებით მამაკაცებისათვის აცხადებს ანდროლოგიურ პროგრამას. პროგრამა მოიცავს ისეთი დარღვევების დროულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას როგორებიცაა:

◆ ენდოკრინული გენეზის სასქესო ფუნქციის დარღვევები.
◆ ასაკობრივი ანდროგენდეფიციტი (მამაკაცთა კლიმაქსი, „ანდროპაუზა").
◆ ენდოკრინული გენეზის ერექციული ფუნქციის დარღვევები.
◆ სასქესო ფუნქციის დარღვევები სიმსუქნითა და მეტაბოლური სინდრომით დაავადებულ მამაკაცებში.
◆ სასქესო ფუნქციის დარღვევები შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ მამაკაცებში.
◆ ჰიპერპროლაქტინემია მამაკაცებში.
◆ ლიბიდოს დაქვეითება (სექსუალური ლტოლვა).

პაკეტის ღირებულება 155 ლარია, პაციენტის მიერ თანაგადახდა შეადგენს მხოლოდ 55 ლარს. მსურველები უნდა ჩაეწერონ ცხელი ხაზის მეშვეობით.

ცხელი ხაზი: 23-81-73, 10:00-15:00 საათამდე, 858-97-27-41. 24სთ.

ტრანსფერი



# მუჯირს გათენებას ვერავინ დაასწრებს

## პირველი „იაპონელი" ქართველის დრაკონული გოლი

იაპონიის J-ლიგის "სანფრეჩე ჰიროსიმაში" შეკრებაზე მყოფი **დავით მუჯირის** გასინჯვა დასრულდა.

*"კონტრაქტი უკვე გავაფორმე, მაგრამ "სანფრეჩე ჰიროსსიმას" ჯერ ოფიციალურად არ წარვუდგენივარ, რადგან კვლავ შეკრებაზე ვიმყოფებით. ჰიროსიმაში 26 თებერვალს დავბრუნდებით და პრეზენტაციაც მერე იგეგმება. როგორც მითხრეს, ათნომრიან მაისურას გადმომცემენ"*, - გვითხრა გუშინ მუჯირმა.

რაც შეეხება კონტრაქტის ხანგრძლივობას, 33 წლის ქართველი ნახევარმცველის თქმით, ხელშეკრულება წლის ბოლომდე გააფორმა და კლუბში დეკემბრამდე ითამაშებს.

მუჯირმა გუშინ მორიგი საკონტროლო შეხვედრა კორეულ "ჩუნამ დრაგონსთან" გამართა და გუნდს თავისი მესამე გოლით შეეწია. ქართველმა ანგარიში მე-8 წუთზე გახსნა, მაგრამ ჰიროსიმელებმა 22-ე და მე-80 წუთებზე ორი გაუშვეს და 1:2 წააგეს. იაპონური კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **მიხაილო პეტროვიჩმა** მუჯირი ძირითად შემადგენლობაში შეუცვლელად ათამაშა. მანამდე დათომ საკონტროლო შეხვედრებში თავი "იოშიდასთან" და "კატალერე ტოიამასთან" გამოიჩინა.

"სანფრეჩე ჰიროსიმა" მუჯირის კარიერაში მეშვიდე კლუბია. აქამდე მას უთამაშია თბილისის "დინამოში", თბილისის "ლოკომოტივში", ტირასპოლის "შერიფში", გრაცის "შტურმში", სამარის "კრილია სოვეტოვსა" და მოსკოვის "ლოკომოტივში".

მუჯირთან კონტრაქტის გაფორმება "სანფრეჩე ჰიროშიმას" პრესსამსახურმაც დაადასტურა. ამგვარად, მუჯირი პირველი ჩვენებურია, ამომავალი მზის ქვეყნის J-ლიგაში რომ ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

# პერტია მარტამდე გადაწყვეტს

**თამაზ პერტიას** "დაუგავა" სეზონისთვის თურქეთში ემზადება. შაბათს გუნდმა მორიგი საკონტროლო შეხვედრა კრაკოვის "ვისლასთან" გამართა და 1:4 დამარცხდა.

პერტიამ ძირითად შემადგენლობაში გასინჯვაზე მყოფი **ბუკა ცინცაძე** ათამაშა, შეცვლაზე კი თავის გამოჩენის შანსი "დაუგავას" საკუთრებაში მყოფ **გიორგი ჩიხრაძეს** და **მამუკა ლონლაძეს** მისცა. არ უთამაშიათ სათადარიგოთა სკამზე მსხდომ გასასინჯ **ლადო დათუნაშვილსა** და **თომა ტაბატაძეს**. ამ უკანასკნელს ტრავმა აწუხებს, მაგრამ მასთან კონტრაქტის გაფორმება გადაწყვეტილია.

გასასინჯი ქართველების ნაწილმა კი კლუბი უკვე დატოვა. ერთი მათგანი - მეკარე **სოსო ხომერიკი** ცხინვალის "სპარტაკში" ჩაირიცხა. „დაუგავაში" მყოფი ქართველების ბედი თურქული შეკრების დასრულების შემდეგ გადაწყდება, ლატვიაში კი სეზონი 5 მარტს იწყება.

# თორნიკე ოქრიაშვილი: ჯგუფი კი არა, შარია!



თორნიკე ოქრიაშვილი

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის 2012 წლის შესარჩევ ჯგუფში ურთულესი მეტოქეები შეხვდა – ესპანეთი, შვეიცარია, ხორვატია და ესტონეთი ვითარებას ნებისმიერ ჯგუფში არევდნენ, ჩვენ კი ყველა ერთად შეგვეყარა.

მარიუპოლის "ილიჩივეცის" 18 წლის ქართველი ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილიც** ამბობს, რომ უმძიმეს ჯგუფში მოვხვდით.

*"ამ კენჭისყრიდან ყველაფერს ველოდი, მაგრამ არა ასეთ საშინელ ჯგუფს. ესპანეთს, შვეიცარიას, ხორვატიასა და ესტონეთს ისეთი ძლიერი ნაკრებები ჰყავთ, ჯგუფში ერთი მათგანის მოხვედრაც კი არ მესიამოვნებოდა. მაგარ შარში გავეხვიეთ, ასეთი უიღბლო კენჭისყრა საქართველოს არც ერთ ნაკრებს არ ჰქონია. ვფიქრობ, წინა ციკლის შემადგენლობა რომ ყოფილიყო, აუცილებლად ვიბრძოლებდით გასასვლელად. ახლა კი გასვლის შანსი მცირეა, მაგრამ შემართებით ვიქნებით და ყველაფერს ვილონებთ საიმისოდ, რათა პირველი თუ არა, მეორე ადგილი მაინც დავიკავოთ და ხალხისა და ოთარ გაბელიას იმედები გავამართლოთ,"* – ამბობს ოქრიაშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

ოლიმპი

# რეხვიაშვილი პავლიაშვილი ბეგლარიშვილი ?

საქართველოს ჩემპიონატი განახლდა და რუსთავის "ოლიმპმა" დაკომპლექტება დაასრულა, მაგრამ შევიტყვეთ, რომ მცირე ცვლილებები ჯერ კიდევ არის მოსალოდნელი.

საქართველოს ჩემპიონმა ვაკო ტყემალაძის შემდეგ "სამტრედიადან" თავდამსხმელი **ილია პავლიაშვილიც** მიიწვია, რომელიც მოსამზადებელ ეტაპზე არც ერთ კლუბში არ ვარჯიშობდა. თუმცა უქმად არ ყოფილა.

*"გასინჯვაზე ვიყავი უკრაინის დაბალი ლიგის იალტის "ჟემჩუჟინაში", მაგრამ ჯობდა არ წავსულიყავი. მწვრთნელს აშკარად არ ესიამოვნა ქართველის ჩასვლა და იქ გაჩერება უაზრობა იქნებოდა. მერე მოლდოვის უმაღლესი ლიგის "აკადემიაში" გადასვლა შემომთავაზეს, მაგრამ აქეთ-იქით სიარულს ისევ საქართველოში დაბრუნება ვამჯობინე. ჯერ "ოლიმპში" არ ჩავრიცხულვარ, მაგრამ გუნდში ვვარჯიშობ და იმედია, კონტრაქტს მალე გავაფორმებ,"* - ამბობს პავლიაშვილი.

"ოლიმპის" თავკაცმა **თორნიკე მაისურაძემ** პავლიაშვილით დაინტერესება "ლელოსთან" თურქული შეკრების შეჯამებისას ახსენა, მაგრამ მაშინ უკრაინაში წასულ ფეხბურთელთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ქუთაისის "ტორპედოსთან" ბოლო ტურის შეხვედრა კვლავ არ უთამაშია რუსთაველთა ერთ-ერთ ლიდერს, ცენტრალურ მცველ **გიორგი რეხვიაშვილს**. ის დისკვალიფიცირებულია, მაგრამ ამ ყველაფერში მთავარი მაინც სხვა რამ არის - კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე გიორგისა და კლუბს შორის მოლაპარაკება უშედეგოდ მიმდინარეობს. გიორგის კონტრაქტის გაგრძელება არ სურს, რადგან კარიერის უცხოეთში გაგრძელებას აპირებს, ხანგრძლივი კონტრაქტი კი ამაში ხელს შეუშლის.

საფეხბურთო სკოლა "ოლიმპის" დირექტორმა **პაატა მეტრეველმა** გვითხრა, რომ ჯერ კიდევ აქვს **ზაქარია ბეგლარიშვილის** "ოლიმპში" მიწვევის იმედი. შეგახსენებთ, რომ რუსთავის „ოლიმპთან" თურქულ შეკრებაზე მყოფი 20 წლის ქართველი პლეიმეიკერი "ფლორამ" არც რუსთაველებს დაუთმო და დასაჯა კიდეც - დუბლებში გადაიყვანა და ერთი თვის ხელფასი ჩამოაჭრა.

მეტრეველი ბეგლარიშვილის აღმზრდელია, მასზე დღემდე ზრუნავს და საინტერესო ამბები გაგვიმხილა.

*"როდესაც ბეგლარიშვილი ტალინის "ფლორაში" წაიყვანეს, ასეთ პირობებზე შევთანხმდით: ზაქარია ერთ წელიწადში ევროპის რომელიმე კლუბში წავიდოდა ან ახალ კლუბს კვლავ საფეხბურთო აკადემია "ოლიმპი" მოუძებნიდა. წლეულს ესტონელებმა თავად გვითხრეს, ზაქარია ან არნემის "ვიტესში" გადავა, ან სხვა ვარიანტებიც გვაქვს და აუცილებლად გავუშვებთო, მაგრამ ეს ყველაფერი ლაპარაკადვე დარჩა, არც "ოლიმპში" გამოუშვეს და დუბლებშიც გადაიყვანეს, რაც შეთანხმების დარღვევაა. ბეგლარიშვილს ტალინელები არ ათამაშებენ, "ოლიმპში" იჯარაზეც კატეგორიულ უარზე არიან და ამ ყველაფერს მისი დასჯაც დაემატა. ეს რომ შევიტყვე, მოთმინების ფიალა ამევსო, "ფლორას" სპორტულ დირექტორს დავუკავშირდი და კატეგორიულად მოვთხოვე შეთანხმების შესრულება, ვერ გავიგე, 21-ე საუკუნეა თუ მონათმფლობელობის ეპოქა-მეთქი? თუ ფეხბურთელი არ სჭირდებათ, რუსთაველებს მოსწონთ და სიამოვნებით აიყვანენ. არც შენ ათამაშო და სხვამაც ვერ გამოიყენოს, ასე სად არის?! უახლოეს დღეებში ეს ამბავი დადებითად უნდა გადაწყდეს ან ესტონელებთან კიდევ უფრო მკაცრად დავილაპარაკებთ და, იმედია, ფეხბურთის ფედერაციაც დაგვეხმარება, რადგან ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელს ბლოკავს იმ ქვეყნის გუნდი, რომელიც შესარჩევ ციკლში ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების კონკურენტია,"* – ამბობს მეტრეველი.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯენოა-რომა 4:3. კახა კალაძე (უკანა პლანზე) ფრანჩესკო ტოტის წინააღმდეგ

# გვინდა იქით, გადის აქეთ

## ფეხბურთელის სიკვდილი აზერბაიჯანში

გენუაში **კახა კალაძემ** თავიდან ბოლომდე ითამაშა საოცარ მატჩში, რომელშიც „ჯენოა" „რომასთან" 51-ე წუთამდე 0:3-ს აგებდა, საბოლოოდ კი 10 კაცით 4:3 მოიგო. კალაძემ დაცვის ცენტრში ითამაშა. როცა გუნდი 3 ბურთს უშვებს, გამორიცხულია, მცველებმა კარგი შეფასება მიიღონ, თუმცა „კალჩო მერკატომ" „ჯენოას" დაცვის კვარტეტში ქართველი გამოარჩია და 6 ბალი დაუწერა. *„ცდილობდა „ჯენოას" დაცვის ქაოსში სხვების შეცდომების გასწორებას"*, - ვკითხულობთ ამ საიტზე. „ჯენოა" 35 ქულით მე-10 ადგილზეა.

თითქმის სამი თვეა, **ზურაბ ხიზანიშვილს** კლუბში წუთიც კი არ უთამაშია. პრობლემა იმაზე დიდი აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან გვეგონა - ჩვენებურმა ტრავმის გამო რამდენიმე თამაში გამოტოვა, თუმცა გამოჯანმრთელებულს სასტარტოში ახალგაზრდა **მეთიუ მილსი** დახვდა, რომელსაც საკმაოდ კარგი პრესა აქვს. მოკლედ, ეროვნული ნაკრების საკვანძო ფიგურა შაბათსაც სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მისმა „რედინგმა" კი შინ „უოტფორდთან" 1:1 ითამაშა. „რედინგი" 44 ქულით მე-12 ადგილზეა.

გერმანიის II ბუნდესლიგის ერთპიროვნული ლიდერი, **ლევან კობიაშვილის** „ჰერტა" (45 ქულა) დღეს „კოტბუსს" მასპინძლობს. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" „ფრანკფურტს" ესტუმრა და, როგორც იქნა, მოიგო - 2:1. გუნდის ქართველი კაპიტანი 66-ე წუთზე შეცვალეს. „შპორტალმა" მის თამაშს დაბალი შეფასება მისცა - 4,5 ბალი.

საფრანგეთში ლიგა 2-ის ერთპიროვნული ლიდერი „ლე მანი", სადაც **გიორგი მაკარიძე** თამაშობს, დღეს ესტუმრება „ბულონს". საფრანგეთის ნაციონალურ დივიზიონში (რანგით მესამე) **ამირან სანაიას** „ბასტია" ლიდერობს. ბოლო ტურში „ბასტიამ" სტუმრად 5:2 გაანადგურა „გინგამი", ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა.

იტალიის სერია ბ-ში **ლევან მჭედლიძის** „ემპოლი" „გროსეტოსთან" 1:2 დამარცხდა. ლევანი კვლავ ტრავმირებულია, მისი გუნდი 36 ქულით მე-9 ადგილზეა.

ჰოლანდიის ჩემპიონატში **მერაბ ჟორდანიას** „ვიტესმა" 2:0 დაამარცხა „დე გრააფსხაპი", გამარჯვებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **გურამ კაშიამ**.

თურქეთში ქართველი ლეგიონერი აღარ გვყავს, **ალექსანდრე ამისულაშვილი** რუსეთში დაბრუნდა. გუშინ **შოთა არველაძემ** პირველად გამოიყვანა გუნდი მის გარეშე, „ქაისერიმ" „ანთალია" მიიღო და 2:0 მოუგო.

უნგრეთში „დიორი ეტომ" სეზონი ლიგის თასზე მარცხით განაახლა, ქართველთა გუნდი შინ „ჰალადაშთან" 1:2 დამარცხდა. სასტარტოში ითამაშეს **გიორგი განუგრავამ** და **რატი ალექსიძემ**, შეცვლაზე კი **თეიმურაზ შარაშენიძე** შევიდა.

მოლდოვაში ერთპიროვნულ ლიდერ „დაჩიას" ქართველებმა გაამარჯვებინეს - „ისკრა-სტალთან" საგარეო მატჩის 36-ე წუთზე **ლევან კორღალიძემ** (რომელიც დღეს 31 წლის გახდა) გახსნა ანგარიში, ხოლო 86-ე წუთზე (1:1-ზე) **მამუკა ლომიძემ** გამარჯვების გოლი გაიტანა (ზოგიერთი წყარო გოლს მეტოქე მცველს უთვლის).

აზერბაიჯანში **კახა ცხადაძის** „ინტერმა" დიდი ანგარიშით დაამარცხა აუტსაიდერი მოიკ - 4:0. 4-დან 2 გოლი ქართველთა ანგარიშზეა, 45-ე წუთზე **დავით ოდიკაძემ** გაიტანა, 76-ეზე - **ილია კანდელაკმა**. ცხადაძემ ბოლოადგილოსანთან თამაშში სამი ქართველი დააყენა სასტარტოში: **გიორგი ლომაია**, ოდიკაძე და კანდელაკი, **კახაბერ მჟავანაძე** სათადარიგო იყო, ისევე როგორც **ბაჩანა ცხადაძე**, თუმცა იგი 70-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

გუშინ „ყარაბახმა" სტუმრად „განჯას" **გიორგი ადამიას** გოლის წყალობით მოუგო - 1:0. ქართველმა საჯარიმოში ორი მეტოქე მოატყუა და შორეულ კუთხეში დაბალი დარტყმით გაიტანა, ეს მისი მე-8 გოლია ჩემპიონატში. გიორგიმ შეუცვლელად ითამაშა, ისევე, როგორც მასპინძელთა შორის კი - **ზურაბ ძამსაშვილმა**. თუ აზერბაიჯანულ წყაროს ვენდობით, ამ თამაშს 6,5 ათასი ადამიანი დასწრებია. ქართველთა „თურანი" ვერას გახდა „ბაქისთან" - 0:1. მასპინძელთა სასტარტოში სამივე ქართველი იყო: **ოლეგ გველესიანი, გიორგი ბერიაშვილი** და **გიორგი ჭედია**.

აზერბაიჯანულ ფეხბურთში ტრაგედია დატრიალდა, პირველი ლიგის „შამქირის" კაპიტანი, 29 წლის **თურალ გაჯიევი** გულის შეტევით გარდაიცვალა, რის გამოც პირველი ლიგის მატჩები გადაიდო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## შოტლანდია. პრემიერლიგა. XXVI ტური


მატჩის გმირი ჰუპერი

# სელტიკი ჰორიზონტს გასცდა

**აბერდინი-კილმარნოკი 5:0**

**გოლები:** 1:0 ვერნონი (14), 2:0 ალუკო (25), 3:0 მექუაირი (59), 4:0 მაკერდლი (70), 5:0 მეგენისი (82)

**ჰართსი-დანდი 2:1**

**გოლები:** 0:1 დაგლასი (6), 1:1 სკაცელი (45), 2:1 ზალიუკასი (88)

ვერ გაიტანა პენალტი: გუდვილი (90-დანდი)

**ინვერნესი-სენტ ჯონსტონი 2:0**

**გოლები:** 1:0 ტოკელი (28), 2:0 დანკანი (62)

**მოზერუელი-ჰემილტონი 1:0**

**გოლი:** 1:0 სატონი (36)

**სელტიკი-რეინჯერსი 3:0**

**გოლები:** 1:0 ჰუპერი (17), 2:0 ჰუპერი (28), 3:0 კომონსი (70)

**სენტ მირენი-ჰიბერნიანი 0:1**

**გოლი:** 0:1 დიკოპი (87)

„სელტიკმა" სქოთთა პრემიერლიგის ცხრილის სათავეში პოზიცია განიმტკიცა - **გერი ჰუპერის** ორი გოლისა და **კრის კომონსის** მიერ მიმატებული მესამის წყალობით, თვით „რეინჯერსს" მოუგო - 3:0. ახლა „სელტიკი" ცხრილში კონკურენტს 8 ქულით უსწრებს. რასაკვირველია, „რეინჯერსსაც" აქვს თავისი კოზირი - ორი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული, მაგრამ ორივე რომც მოიგოს (და, ალბათ, მოიგებს კიდეც) პირველ ადგილს მაინც ვერ ეწევა.

ხუთშაბათს, ევროლიგაში „რეინჯერსს" ლისაბონის „სპორტინგთან" შეხვედრაში **ნიკიცა იელავიჩი** აკლდა, „სელტიკთან" კი ის მოედანზე იყო. გამოჯანმრთელდა **სტივენ ნეისმიტი**, შემადგენლობაში იყო **კაილი ბერტლიც**, თუმცა **კაილი ლეფერტი, ვლადიმირ ვეისი** და **რიჩარდ ფოსტერი** სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ.

„სელტიკს" „დანდი იუნაიტედთან" გამოყვანილ შემადგენლობასთან შედარებით მხოლოდ ერთი კაცი ჰყავდა შეცვლილი: **ენტონი სტოკსის** ნაცვლად **გეორგიუს სამარასი** თამაშობდა. სამარასმა 2 იანვარს „აიბროსზე" „სელტიკს" ორი გოლი გაუტანა და, ალბათ, ამიტომაც ენდო **ნილ სმიტი**.

„რეინჯერსის" სენეგალელ თავდამსხმელ **ელ ჰაჯი დიუფს** კი ხალხი ლაზათიანად ურევდა - რამდენჯერაც ბურთს მიიღებდა, იმდენჯერ უსტვენდნენ.

*„რასაკვირველია, „რეინჯერსს" ჩვენზე ორი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული, მაგრამ დღეს უკვე ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ჩვენი მომავალი ჩვენსავე ხელთაა - თქვა მატჩის შემდეგ სმიტმა - შარშან, ზოგჯერ მიჩნდებოდა ეჭვი, რომ ჩვენ ფსიქოლოგიურად „რეინჯერსზე" სუსტები ვიყავით. გავუტანდით, მაგრამ გავუშვებდით კიდეც - უპირატესობას ვერ ვინარჩუნებდით. ახლა, სხვა ვითარებაა. ბიჭები გრძნობენ, რომ წარმატების მიღწევა შეუძლიათ და საკუთარი თავისა სწამთ.*

*დღეს ჩვენ ნამდვილი ტესტი ჩავაბარეთ და თან დიდებულად. დიდი ზეწოლის ქვეშ ვიყავით, მაგრამ გავუძელით და ბრწყინვალე ფეხბურთიც ვითამაშეთ. ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, შეიძლება სეზონის ბედის გადასაწყვეტად უდიდესი დატვირთვაც კი ჰქონდა. ძალიან გვიხარია ასეთ წარმატებას რომ მივაღწიეთ, თუმცა თავში არ უნდა აგვივარდეს.*

*ჩემი ბიჭებიდან ყველაზე მეტად ჰუპერის, კომონსის და სამარასის თამაშით ვარ კმაყოფილი. ჰუპერმა „რეინჯერსს" უამრავი პრობლემა შეუქმნა, პირველი გოლი კი უბრალოდ დიდებულად გაიტანა. 22 წლის ასაკში ის ნამდვილ ვარსკვლავად ჩამოყალიბდა. ჰუპერს უბადლო ტექნიკა აქვს. კომონსი ძალიან ჭკვიანია, სწორი პასების ცნობა და გამოყენება ეხერხება. გარდა ამისა, გოლის ალღოც კარგად განვითარებული. სამარასმა კი მთელი თამაშის განმავლობაში დატანჯა მოწინაალმდეგე".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 26 | 20 | 4 | 2 | 59:15 | 64 |
| 2. რეინჯერსი | 24 | 18 | 2 | 4 | 53:23 | 56 |
| 3. ჰართსი | 26 | 17 | 3 | 6 | 41:22 | 54 |
| 4. კილმარნოკი | 26 | 10 | 6 | 10 | 38:33 | 36 |
| 5. მოზერუელი | 26 | 10 | 4 | 12 | 29:34 | 34 |
| 6. ინვერნესი | 26 | 8 | 9 | 9 | 36:33 | 33 |
| 7. დანდი | 22 | 7 | 8 | 7 | 27:30 | 29 |
| 8. სტ. ჯონსტონი | 24 | 8 | 5 | 11 | 17:29 | 29 |
| 9. აბერდინი | 25 | 8 | 2 | 15 | 29:44 | 26 |
| 10. ჰიბერნიანი | 26 | 7 | 4 | 15 | 26:43 | 25 |
| 11. სტ. მირენი | 25 | 4 | 7 | 14 | 21:42 | 19 |
| 12. ჰემილტონი | 24 | 2 | 8 | 14 | 14:42 | 14 |

**ბომბარდირები:** 21 – მილერი (რეინჯერსი); 15 - სემონი (კილმარნოკი); 13 - რუნი (ინვერნესი), სტოკსი (სელტიკი) ჰუპერი (სელტიკი); 12 - გუდვილი (დანდი); 11 – ბლექმენი (აბერდინი); *კენი მილერი 2011 წლიდან „ბურსასფორში" გადავიდა, ხოლო კონორ სემონი „უიგან ატლეტიკში"*

## ამბები

# რას ელის როდუელი?

ევერტონელი ვარსკვლავის **ჯეკ როდუელის** შეძენა „მანჩესტერ სიტიმაც" მოინადინა. ისტლენდელებს ფული არ აკლიათ და 19 წლის ჩამშლელ ნახევარმცველში მზად არიან 15 მილიონი ფუნტი გაიღონ. აღსანიშნავია, რომ ზაფხულში როდუელის ლივერპულიდან მანჩესტერში გადაყვანა ქალაქის მეორე გუნდს, „იუნაიტედსაც" უნდა. როდუელი აქ **პოლ სქოულზის** შემცვლელად ესახებათ, თუმცა, როგორც გაირკვა, ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრი **რობერტო მანჩინისაც** ძლიერ მოსწონს.

ჯეკ როდუელს „ევერტონთან" კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ კლუბის ფინანსურმა მდგომარეობამ მწვრთნელი **დევიდ მოიესი** შეიძლება აიძულოს და ნახევარმცველი გააყიდვინოს.

# უილშირის ფენომენია

„არსენალის" კაპიტნის, **სესკ ფაბრეგასის** თქმით, მისი 19 წლის თანაგუნდელი **ჯეკ უილშირი** ფენომენალური ფეხბურთელია. ბოლო პერიოდში უილშირის თემა ინგლისში აქტუალურია. ის ყურადღების ცენტრში გახლდათ ინგლისისა და დანიის ნაკრებების ამხანაგური შეხვედრის დროსაც და მერეც, როდესაც მან ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ბარსელონას" სახელგანთქმული ნახევარმცველების, **ჩავისა** და **ინიესტას** წინაალმდეგ ყოჩაღად ითამაშა.

ფაბრეგასმა თქვა: *„ჯეკი უკვე მსოფლიო დონის ვარსკვლავია. ის ძალიან კარგი ბიჭიცაა, ინგლისური გული და ესპანური ტექნიკა აქვს. უილშირის ვინმესთან შედარება ძნელი საქმეა. ყველაზე მეტად ჩემს თავს მაგონებს. როდესაც დავიწყე მწვრთნელმა დამაფასა და სულ მეტად და მეტად მენდობოდა".*

საინტერესოა, რომ გასულ ოთხშაბას უილშირმა სტადიონი ორი სუვენირით დატოვა - **ლეო მესის** მაისურაც იშოვა და ჩავისაც.

*„რასაკვირველია, ჩემს კარიერაში ეს უდიდესი მატჩი იყო. გადამწყვეტი როლი ჩვენმა სიმშვიდემ ითამაშა"* - თქვა თავად უილშირმა.

## ინგლისი. ასოციაციის თასი

# თასი უპატრონოდ დარჩა

„ჩელსი" ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასს მეთექვსმეტედფინალში გამოეთიშა. ამრიგად, ჯილდოს მფლობელი აღარ ჰყავს, ახლის ვინაობას კი აბურდულ კალენდარში გახლართული ინგლისის სხვადასხვა ლიგის გუნდები გვიან გაზაფხულზე გაარკვევენ. აბურდული კალენდარი იმიტომ ვახსენეთ, რომ ამ უქმეებზე გამართული 7 შეხვედრიდან ორი მეთექვსმეტედფინალური იყო, ხოლო ხუთი მერვედფინალური. როგორც გითხარით, მეთექვსმეტედფინალური იყო „ჩელსისა" და „ევერტონის" შეხვედრაც, რომელიც „სტემფორდ ბრიჯზე" ძირითად დროში 0:0 დასრულდა, დამატებით 30 წუთში 1:1, ხოლო პენალტებით „ევერტონმა" გაიმარჯვა - 4:3. მეტოქეებს მეორე მატჩი იმიტომ დასჭირდათ, რომ 29 იანვარს „გუდისონ პარკზე" ფრედ 1:1 ითამაშეს.

ასოციაციის თასიდან გავარდნამ ყველაზე მეტად „ლურჯების" მწვრთნელს **კარლო ანჩელოტის** შეუნთო ცეცხლი, რასაც იტალიელი თავად ალიარებს. ახლა ის იმედოვნებს, რომ ფეხბურთელები ჩემპიონთა ლიგის კარსმომდგარ შეხვედრამდე მოასწრებენ გონს მოსვლას - ინგლისის ჩემპიონი ხვალ კოპენჰაგენში თამაშობს.

*„ასეთია ფეხბურთი. ყოველთვის, როდესაც გუნდი მარცხდება, მწვრთნელს ადანაშაულებენ. საბედნიეროდ, კლუბისა და ფეხბურთელებისგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ და იმედი მაქვს, რომ რთულ პერიოდს ერთიანი ძალისხმევით დავძლევთ. თასიდან გავარდნა ძალიან გვეწყინა, მაგრამ უახლოესი ორი დღე ძალთა ალსადგენად უნდა გამოვიყენოთ და კოპენჰაგენში მომზადებულები ჩავიდეთ. ეს ადვილი არ არის, მაგრამ შესაძლებელია".*

პენალტების სერიაში „ჩელსის" ფეხბურთელებიდან **ნიკოლა ანელკას** და **ეშლი კოულს** მოეცარათ ხელი (არადა, პირველი დარტყმა „ევერტონმა" ააცილა), თუმცა ანჩელოტიმ მათ არაფერი დააბრალა.

*„ჩვენ შესანიშნავი პენალტისტები გვყავს: ლემპარდი, დროგბა, ანელკა, ესიენი და ეშლი კოული, თუმცა პენალტების სერია ლატარიაა, სადაც ზოგჯერ მოიგებ, ზოგჯერ კი წააგებ".*

ზემოთ ვახსენეთ, რომ გუნდებმა გოლები დამატებით დროში გაცვალეს. ანგარიში **ფრენკ ლემპარდმა** გახსნა, მაგრამ **ლეიტონ ბეინესმა** გაქვითა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძლებმა ძირითად დროში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაატანეს ქარს. სტატისტიკის მოყვარულთათვის: ახლა „ჩელსის" „ევერტონთან" ლონდონში გამართული ბოლო 7 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული.

ნება მოგვეცით, ამ უქმეებზე გამართული სათასო შეხვედრებიდან კიდევ ერთზე გავამახვილოთ თქვენი ყურადღება: მერვედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედმა" კონფერენს-ლიგის „ქროული სიტის" **ვეს ბრაუნის** მიერ პირველ ტაიმში გატანილი გოლით 1:0 მოუგო. „ქროული სიტი" ინგლისური იერარქიის მეხუთე დივიზიონში მეორე ადგილზეა.

მატჩის შემდეგ, „იუნაიტედის" თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** მეტოქე შეაქო:

*„მეორე ტაიმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ „ქროული" ფრეს იმსახურებდა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენს გუნდში ზოგმა ფეხბურთელმა შესაძლებლობებზე ცუდად ითამაშა. პირველ ტაიმს არაფერს ვუწუნებ. მეგონა ბოლომდე ასე გავაგრძელებდით, მაგრამ შესვენების შემდეგ ყველა ეპიზოდში ბურთთან მირბენას მეტოქე გვასწრებდა. როგორც ჩანს, ჩვენს ზოგიერთ მოთამაშეს კარგად არ ესმის, რას ნიშნავს ფეხბურთის ასოციაციის თასი და როგორ ფეხბურთს თამაშობენ ამ შეჯიბრებაში. მათთვის დღევანდელი დღე კარგი გაკვეთილი იქნება".*


ფილ ნევილის გამარჯვების პენალტი

## ინგლისი. პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩი

# შავი ქვეყნის შავი იუმორი

**ვესტ ბრომვიჩი-ვულვზი 1:1**

**ვესტ ბრომვიჩი** (4-5-1): მიჰილი - ხარა (84. რიდი), ოლსონი, ტამასი, შორი - ბრანტი, დორანსი (73. ველა), შარნერი, ფორჩუნი, ტომასი (61. მორისონი) - ოდემვინგიე.

**ვულვერჰემპტონი** (4-4-2): ჰენესი - ზუბარი, ბერა, სტირმენი, ელოკობი - ფოული (85. უორდი), მილიაში (69. ებანკს-ბლეიკი), ჰენრი, ჯერვისი (90. კრედოკი) - ო'ჰარა, დოილი.

**გოლები:** 0:1 ო'ჰარა (39), 1:1 ველა (90)

**კუთხური:** 12-1; **ჯარიმა:** 9-6; **კარში დარტყმა:** 18-6 (8-1); **თამაშგარე:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 26 170

ტერიტორიას ვულვერჰემპტონის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ბირმინგემის ჩრდილო-დასავლეთამდე ინგლისელები შავ ქვეყანას უწოდებენ და ამიტომაც გამოდის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონისა" და „ვულვერჰემპტონის" შეხვედრა შავი ქვეყნის დერბი. ვულვზი სტუმრად იყო და **ჯეიმი ო'ჰარას** გოლით 1:0-ს იგებდა, მაგრამ შავ ქვეყანას იუმორიც შავი ჰქონია და შეხვედრის ბოლოს, მსაჯის წამატებულ წუთებზე, **კარლოს ველამ** მასპინძლებს ქულა გადაურჩინა.

ველა, მოგეხსენებათ, „ვესტ ბრომვიჩმა" არსენალისგან იქირავა. ის ამ გამოტოვებულ შეხვედრაში მოედანზე თავიდანვე არ გახლდათ, **დორანსის** ნაცვლად მაშინ შევიდა, საფინალო სასტვენამდე 17 წუთი რომ რჩებოდა. გოლი მექსიკელმა ასე გაიტანა: თამაშის დამთავრებამდე წამებით ადრე **ჯეიმს მორისონის** დარტყმული „ვულვზის" მეკარე **უეინ ჰენესიმ** მოიგერია, მაგრამ უკუგდებულ ბურთს მის თანაგუნდელებზე ადრე ველამ მიჰკრა ფეხი.

საინტერესო დამთხვევაა: სტუმართა გოლის ავტორი ო'ჰარაც ნაქირავები ფეხბურთელია - სინამდვილეში „ტოტენჰემს" ეკუთვნის. გოლი კი გულიანად შეაგდო 24 წლის ნახევარმცველმა, ძალიან ეფექტური დარტყმა გამოუვიდა.

„ვულვზის" უპირატესობა, პირველ ტაიმში, აშკარა იყო. სტუმრები მასპინძლებს აშკარად სჯობდნენ ბურთის ფლობაში, მაგრამ შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა და შესაძლოა ამანაც მიიყვანა შეხვედრა ბოლო წამს ლოგიკურ დასკვნამდე.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 26 | 16 | 9 | 1 | 57:25 | 57 |
| 2. არსენალი | 26 | 16 | 5 | 5 | 56:27 | 53 |
| 3. სიტი | 27 | 14 | 7 | 6 | 43:24 | 49 |
| 4. ტოტენჰემი | 26 | 13 | 8 | 5 | 37:28 | 47 |
| 5. ჩელსი | 26 | 13 | 6 | 7 | 46:22 | 45 |
| 6. ლივერპული | 27 | 11 | 6 | 10 | 35:32 | 39 |
| 7. სანდერლენდი | 27 | 9 | 10 | 8 | 33:33 | 37 |
| 8. ბოლტონი | 27 | 9 | 9 | 9 | 38:37 | 36 |
| 9. ნიუკასლი | 27 | 9 | 8 | 10 | 42:38 | 35 |
| 10. სტოკი | 26 | 10 | 3 | 13 | 31:33 | 33 |
| 11. ბლექბერნი | 27 | 9 | 5 | 13 | 34:42 | 32 |
| 12. ფულჰემი | 27 | 6 | 13 | 8 | 28:28 | 31 |
| 13. ევერტონი | 26 | 6 | 12 | 8 | 33:36 | 30 |
| 14. ბირმინგემი | 26 | 6 | 12 | 8 | 25:35 | 30 |
| 15. ასტონ ვილა | 27 | 7 | 9 | 11 | 31:46 | 30 |
| 16. ბლექპული | 26 | 8 | 5 | 13 | 39:50 | 29 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 27 | 7 | 7 | 13 | 35:52 | 28 |
| 18. უიგანი | 27 | 5 | 12 | 10 | 27:45 | 27 |
| 19. ვესტ ჰემი | 27 | 5 | 10 | 12 | 30:48 | 25 |
| 20. ვულვზი | 27 | 7 | 4 | 16 | 27:46 | 25 |

**გამოტოვებული მატჩები**

**22 თებერვალი.** ბლექპული-ტოტენჰემი;
**23 თებერვალი.** არსენალი-სტოკ-სიტი.

**XXVIII ტური**

**26 თებერვალი.** ასტონ ვილა-ბლექბერნი, ევერტონი-სანდერლენდი, ნიუკასლი-ბოლტონი, უიგანი-მანჩესტერ იუნაიტედი, ვულვერჰემპტონი-ბლექპული;

**27 თებერვალი.** ვესტ ჰემი-ლივერპული, მანჩესტერ სიტი-ფულჰემი;

**28 თებერვალი.** სტოკი-ვესტ ბრომვიჩი. *ტოტენჰემი-არსენალი და ჩელსი-ბირმინგემი გადაიდო.*

**ჩემპიონშიპი. XXXII ტური**

**კრ. პალასი-შეფილდ იუნაიტ. 1:0**

**გოლი:** 1:0 ემბროუზი (68)

**იფსვიჩი-ჰალი 1:1**

**გოლები:** 1:0 სკოტლენდი (58), 1:1 სიმპსონი (84)

**ლიდსი-ნორვიჩი 2:2**

**გოლები:** 1:0 ბეკიო (15), 1:1 ლენსბერი (45), 1:2 ჰულაჰანი (69), 2:2 სომა (74)

**მილუოლი-მიდლსბრო 2:3**

**გოლები:** 1:0 ჰარისი (14), 1:1 მაკმაჰონი (58), 1:2 მაკდონალდი (62), 2:2 ბუაზა (78), 2:3 ლიტა (82)

**ნოტინგემი-კარდიფი 2:1**

**გოლები:** 1:0 მორგანი (32), 1:1 უიტინგემი (63), 2:1 ერნშოუ (66)

**პორტსმუთი-ბარნსლი 1:0**

**გოლი:** 1:0 კანუ (83)

**პრესტონი-ქუინზ პარკი 1:1**

**გოლები:** 0:1 ჰელგიუსონი (37), 1:1 ნიკოლსონი (64)

**სუონსი-დონკასტერი 3:0**

**გოლები:** 1:0 სინკლერი (6), 2:0 უილიამსი (38), 3:0 მური (78)

**რედინგი-უოტფორდი 1:1**

**გოლები:** 0:1 უაიმენი (26), 1:1 ჰანტი (50)

**სკანთორპი-დერბი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუინზ პარკი | 32 | 16 | 13 | 3 | 51:20 | 61 |
| 2. ნოტინგემი | 31 | 15 | 11 | 5 | 42:26 | 56 |
| 3. სუონსი | 32 | 17 | 5 | 10 | 44:30 | 56 |
| 4. კარდიფი | 32 | 16 | 7 | 9 | 51:38 | 55 |
| 5. ნორვიჩი | 32 | 15 | 10 | 7 | 51:41 | 55 |
| 6. ლიდსი | 32 | 14 | 11 | 7 | 59:49 | 53 |
| 7. ლესტერი | 32 | 15 | 6 | 11 | 50:48 | 51 |
| 8. ბარნლი | 31 | 12 | 11 | 8 | 47:38 | 47 |
| 9. მილუოლი | 32 | 12 | 10 | 10 | 42:34 | 46 |
| 10. ჰალი | 32 | 11 | 13 | 8 | 38:34 | 46 |
| 11. უოტფორდი | 31 | 12 | 9 | 10 | 57:47 | 45 |
| 12. რედინგი | 32 | 10 | 14 | 8 | 46:35 | 44 |
| 13. იფსვიჩი | 31 | 12 | 6 | 13 | 43:39 | 42 |
| 14. ბარნსლი | 32 | 11 | 8 | 13 | 37:46 | 41 |
| 15. ქოვენთრი | 31 | 11 | 6 | 14 | 35:38 | 39 |
| 16. პორტსმუთი | 31 | 10 | 8 | 13 | 42:46 | 38 |
| 17. დონკასტერი | 31 | 10 | 7 | 14 | 41:57 | 37 |
| 18. დერბი | 31 | 10 | 6 | 15 | 41:44 | 36 |
| 19. მიდლსბრო | 31 | 10 | 6 | 15 | 39:43 | 36 |
| 20. ბრისტ. სიტი | 32 | 9 | 8 | 15 | 36:48 | 35 |
| 21. კრ. პალასი | 32 | 9 | 7 | 16 | 30:50 | 34 |
| 22. შეფილდ იუნ. | 32 | 7 | 8 | 17 | 28:50 | 29 |
| 23. სკანთორპი | 30 | 8 | 4 | 18 | 28:52 | 28 |
| 24. პრესტონი | 31 | 5 | 8 | 18 | 32:57 | 23 |

**ბომბარდირები:** 16 - გრემი (უოტფორდი); 15 - ბოთროიდი (კარდიფი); 14 - ბეკიო (ლიდსი), სინკლერი (სუონსი), ტაარაბტი (ქუინზ პარკი); 13 – კინგი (ლესტერი), ლონგი (რედინგი); 12 – შარპი (დონკასტერი), ჰოლტი (ნორვიჩი); *ფეხბურთელები, რომლებიც სხვა ლიგაში გადავიდნენ, სიიდან ამოვიღეთ.*

**პირველი ლიგა. XXXI ტური**

ბურნმუთი-ჰადერსფილდი 1:1, ბრისტოლი-ოლდჰემი 1:0, ჩარლტონი-ექსეტერი 1:3, კოლჩესტერი-უოლსოლი 2:0, ჰარტლპული-მილტონი 0:1, პიტერბორო-ტრანმერი 2:1, სუინდონი-კერლისლი 0:1, *როჩდეილი-საუთჰემპტონი გადაიდო.*

**მეორე ლიგა. XXXI ტური**

ჩელტენჰემი-ბერნეტი 1:1, ქრუ-სტივენიჯი 0:1, ჯილინგემი-ბერი 1:1, ჰერეფორდი-ბარტონი 0:0, ლინკოლნი-ჩესტერფილდი 0:2, მორკეიმბი-ოქსფორდი 0:3, ნორთემპტონი-ოლდერშოტი 1:1, სტოკპორტი-მაკლსფილდი 1:4, თორგუელი-საუთენდი 1:1, უაიკომბი-ეკრინგტონი 1:2, *როტერჰემი-შრუსბერი გადაიდო.*

**კონფერენსი. XXXIII ტური**

ელტრინჩემი-კეტერინგი 3:2, ბეროუ-მენსფილდი 2:2, ისტბერნი-ჰისტონი 2:2, ფლიტვუდი-გრიმსბი 3:0, ფორესტ გრინი-დარლინგტონი 1:1, ჰეიესი-საუთპორტი 1:0, ტემუორთი-უიმბლდონი 2:5, ვრექსჰემი-გეიტსჰედი 2:7, *რაშდენი-ბათი გადაიდო.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

საფრანგეთი. ლიგა 1 — XXIV ტური

# ლილმა მდევართა სუნთქვა იგრძნო


პიერ-ანდრე ჟინიაკი მინდორს ტოვებს

საფრანგეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ისევ დაიძაბა. ერთპიროვნული ლიდერი "ლილი" მონპელიეში მატჩის მიწურულს მიღებული გოლით დამარცხდა, რითიც მისმა მდევარმა "მარსელმა" ისარგებლა. მოქმედმა ჩემპიონებმა "სენტ ეტიენი" მინიმალურად, მაგრამ მაინც დამაჯერებლად დაამარცხეს და "ლილს" სამი ქულითღა ჩამორჩებიან. "მარსელზე" გაცილებით სოლიდურად გაიმარჯვეს "ლიონმა" და პსჟ-მ და მათაც ხმაურიანი საჩემპიონო განაცხადი გააკეთეს. ტურის ბოლო შეხვედრაში კი უკვე "რენმა" იმარჯვა, რითაც "მარსელი", "ლიონი" და პსჟ ჩამოიტოვა და ორქულიანი ჩამორჩენით "ლილს" კვალში თავად ჩაუდგა. "რენი" თამაშის მსვლელობას კი აკონტროლებდა, მაგრამ ავტოგოლით "ტულუზს" ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა და გამარჯვების გოლი ბოლოსღა გაიტანა.

"მარსელს" გამარჯვება **პიერ-ანდრე ჟინიაკის** ტრავმად დაუჯდა. **დიდიე დეშამის** გუნდის წამყვანი ფორვარდი 74-ე წუთზე დაშავდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. გავრცელებული ინფორმაციით, ტრავმა საგანგაშო არაა, მაგრამ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მისი თამაში, ფაქტობრივად, გამორიცხულია. მოედანს კი ჟინიაკი წესით, დაახლოებით ორ კვირაში უნდა დაუბრუნდეს. *"სამწუხაროა, რომ გამარჯვება სერიოზული დანაკარგის გარეშე ვერ შევძელით, მაგრამ ტრავმები ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. ჟინიაკი ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ არსენალში სხვა ძლიერი თავდამსხმელებიც გვყავს"*, - თქვა ნამატჩევს დეშამმა.

ტურის ულამაზესი ეპიზოდი **ჯიმი ბრიანის** ეფექტური გოლი იყო. "ლიონის" შემტევმა "ნანსის" კარში დაახლოებით იმგვარი "მაკრატელა" გაიტანა, რამდენიმე დღის წინ **უეინ რუნიმ** "მანჩესტერ სიტის" რომ "უსახსოვრა". ბევრის აზრით, ბრიანის გოლი რუნისას გაცილებით სჯობდა. მადრიდის "რეალთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირების წინ ლიონელებმა შესანიშნავი განწყობა შეიქმნეს. როგორც "ლიონის" თავკაცი **კლოდ პიუელი** ირწმუნება, მისი ფეხბურთელები შაბათს სამეფო კლუბთან მოახლოებულ ბრძოლაზე ნაკლებად ფიქრობდნენ და ასეთი დამაჯერებელი გამარჯვება კონკრეტულ შეხვედრაში სამ ქულაზე კონცენტრაციით მოიპოვეს.

ამ სეზონში "ბორდო" ისეა არეულ-დარეული, მისი მარცხი ვის გაუკვირდებოდა, მაგრამ **ჟან ტიგანას** გუნდმა საკუთარ ქომაგებს განსაკუთრებით უსიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა – არაფრით გამორჩეულ "ლორიანთან" 1:5 განადგურებას მართლაც მოხერხება უნდა. ბუნებრივია, ტიგანას დანა პირს არ უხსნიდა: *"ამ მატჩში ოპტიმალური შემადგენლობა არ გვყავდა, მაგრამ ჩვენს საშინელ თამაშს გამამართლებელი მიზეზი არ აქვს. საკუთარ ბედზე კი ახლა ნამდვილად არ ვფიქრობ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ამ მარცხიდან სათანადო დასკვნების გამოტანასა და საკუთარ შეცდომებზე სწავლას აუცილებლად შევძლებთ"*.

"ნიცამ", "მონაკომ" და "ლანსმა" ერთდროულად წააგეს და კვლავაც სახიფათო ზონაში ტრიალებენ, თუმცა უძლიერესთა შორის დარჩენის ურიგო შანსი მაინც არ აქვთ.

სამაგიეროდ, შეუძლებელია, ჩემპიონატის ცხრილის შეხედვისას "არლის" მიმართ ადამიანური თანაგრძნობა არ გაგიჩნდეს. უიმედო აუტსაიდერები ყველა შეხვედრაში თავგანწირვით იბრძვიან, მაგრამ მაინც თითქმის ყოველთვის მტკიცდება, რომ "არლი" ფრანგული ელიტის ყველა დანარჩენ ბინადარს კლასით საგრძნობლად ჩამორჩება. ცხრილში დიდი სიმჭიდროვეა, მაგრამ ეს გუნდი აქაც გამონაკლისია – უკვე დიდი ხანია, რაც "არლის" დაქვეითებაში ეჭვი აღარავის ეპარება. ბოლოადგილოსნები ამ ტურში გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ "ოსერის" იერიშებს ბოლომდე ველარ გაუძლეს და ფრეს დასჯერდნენ. "არლის" მთავარმა მწვრთნელმა **ფარუქ ფაჯიბეგიჩმა** თქვა, ეს მიმდინარე სეზონში ჩემი გუნდის საუკეთესო თამაში იყოო...

**ლევან ჯანეზაშვილი**

**ლიონი-ნანსი 4:0**
**გოლები:** 1:0 გურკუფი (37), 2:0 პიე (77), 3:0 პიანიჩი (85), 4:0 ბრიანი (89)

**ოსერი-არლი 1:1**
**გოლები:** 0:1 ნდიაე (65), 1:1 იელენი (84)

**ბრესტი-მონაკო 2:0**
**გოლები:** 1:0 აიიტე (14), 2:0 აიიტე (89. პენ.)
**გაძევება:** ა. პ. სილვა (90. მონაკო)

**კაენი-ვალანსიენი 2:2**
**გოლები:** 1:0 ნივე (47), 2:0 იატაბარე (64), 2:1 გ. პუიოლი (80), 2:2 ლანჟილი (88)

**ლანსი-სოშო 2:3**
**გოლები:** 0:1 მორის-ბელაი (6), 0:2 მაიგა (30), 1:2 ჟემაა (36), 2:2 იაჰია (59), 2:3 ბუდებუზი (66)
**გაძევება:** მაულიდა (41. ლანსი), ანინი (41. სოშო)

**მარსელი-სენტ ეტიენი 2:1**
**გოლები:** 1:0 ლ. გონსალესი (68), 2:0 რემი (78), 2:1 ლანდრინი (90)

**ლორიანი-ბორდო 5:1**
**გოლები:** 1:0 ამალფიტანო (14), 2:0 გამეირო (35), 3:0 გამეირო (38), 3:1 ფერნანდო (40), 4:1 მვუემბა (61. პენ.), 5:1 გამეირო (88)
**გაძევება:** ფ. სოსა (59. ლორიანი), კარასო (92. ბორდო)

**მონპელიე-ლილი 1:0**
**გოლი:** 1:0 ბელჰანდა (85)

**ნიცა-პსჟ 0:3**
**გოლები:** 0:1 ჟიული (25), 0:2 ოარო (44), 0:3 არმანი (74)
**გაძევება:** დიაკიტე (73. ნიცა)

**ტულუზი-რენი 1:2**
**გოლები:** 0:1 მვილა (45), 1:1 კატერინი (61. ს.კ.), 1:2 მონტანიო (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 24 | 12 | 9 | 3 | 42-23 | 45 |
| 2. რენი | 24 | 12 | 7 | 5 | 28-18 | 43 |
| 3. მარსელი | 24 | 11 | 9 | 4 | 34-20 | 42 |
| 4. ლიონი | 24 | 11 | 8 | 5 | 38-24 | 41 |
| 5. პსჟ | 24 | 11 | 8 | 5 | 37-24 | 41 |
| 6. მონპელიე | 24 | 10 | 7 | 7 | 21-23 | 37 |
| 7. სენტ ეტიენი | 24 | 9 | 8 | 7 | 33-30 | 35 |
| 8. ლორიანი | 24 | 10 | 4 | 10 | 32-31 | 34 |
| 9. ბრესტი | 24 | 9 | 7 | 8 | 25-24 | 34 |
| 10. ტულუზი | 24 | 10 | 3 | 11 | 26-26 | 33 |
| 11. სოშო | 24 | 9 | 4 | 11 | 39-31 | 31 |
| 12. ბორდო | 24 | 7 | 10 | 7 | 29-30 | 31 |
| 13. ვალანსიენი | 24 | 7 | 9 | 8 | 30-27 | 30 |
| 14. კაენი | 24 | 7 | 7 | 10 | 26-34 | 28 |
| 15. ნანსი | 24 | 8 | 4 | 12 | 26-39 | 28 |
| 16. ოსერი | 24 | 4 | 14 | 6 | 29-30 | 26 |
| 17. ნიცა | 24 | 6 | 8 | 10 | 15-27 | 26 |
| 18. მონაკო | 24 | 4 | 12 | 8 | 23-26 | 24 |
| 19. ლანსი | 24 | 5 | 9 | 10 | 24-38 | 24 |
| 20. არლი | 24 | 1 | 7 | 16 | 12-44 | 10 |

**ბომბარდირები:** 16 - სოუ (ლილი); 15 - გამეირო (ლორიანი); 14 - ნენე (პსჟ).

## ბელგია

ჟუპილერლიგა. XXVII ტური

**შარლერუა-სენტ ტრუიდენი 1:0**
**გოლი:** 1:0 ბიტონი (37)

**ბრიუგე-ლოკერენი 2:1**
**გოლები:** 1:0 პერიშიჩი (28), 2:0 აკპალა (53), 2:1 ფინბოგასონი (82)

**ვესტენი-სერკლი 0:0**
**გაძევება:** პორტიე (90. სერკლი)

**ბეერსხოტი-კორტრიიკი 3:1**
**გოლები:** 1:0 ჩუსტოვიჩი (34), 1:1 მეტსი (48), 2:1 მაკდონალდი (57), 3:1 მაკდონალდი (65)

**გენკი-მეხელენი 1:0**
**გოლი:** 1:0 ბარდა (61)

**ვარეგემი-ლიერსი 1:1**
**გოლები:** 1:0 ჰაბიბუ (57), 1:1 ვაჰედი (90)

**გენტი-სტანდარდი 4:1**
**გოლები:** 1:0 სუმაჰორო (9), 1:1 ლეიე (16), 2:1 განასი (22), 3:1 ტიისი (45), 4:1 კანუ (81. ს.კ.)
**გაძევება:** არსო (86. გენტი)

**ვესტერლო-ანდერლეხტი 2:0**
**გოლები:** 1:0 იაკოვენკო (60), 2:0 დეკ ელვერი (75)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 27 | 18 | 6 | 3 | 62-24 | 60 |
| 2. ანდერლეხტი | 27 | 18 | 6 | 3 | 53-16 | 60 |
| 3. გენტი | 27 | 16 | 5 | 6 | 55-38 | 53 |
| 4. ბრიუგე | 27 | 15 | 3 | 9 | 54-32 | 48 |
| 5. ლოკერენი | 27 | 11 | 10 | 6 | 38-34 | 43 |
| 6. მეხელენი | 25 | 11 | 7 | 7 | 29-25 | 40 |
| 7. სტანდარდი | 26 | 12 | 3 | 11 | 42-36 | 39 |
| 8. სერკლი | 26 | 10 | 6 | 10 | 32-31 | 36 |
| 9. ვესტერლო | 27 | 9 | 7 | 11 | 36-38 | 34 |
| 10. კორტრიიკი | 27 | 10 | 4 | 13 | 30-33 | 34 |
| 11. ვარეგემი | 27 | 7 | 11 | 9 | 35-35 | 32 |
| 12. ბეერსხოტი | 27 | 5 | 10 | 12 | 23-37 | 25 |
| 13. სტ. ტრუიდ. | 25 | 6 | 5 | 14 | 17-44 | 23 |
| 14. ვესენი | 27 | 5 | 6 | 16 | 26-46 | 21 |
| 15. ლიერსი | 27 | 4 | 9 | 14 | 24-56 | 21 |
| 16. შარლერუა | 27 | 4 | 6 | 17 | 18-49 | 18 |

**ბომბარდირები:** 16 - ფოსენი (გენკი); 15 - ვარგასი (ბრიუგე); 13 - პერიშიჩი (ბრიუგე).

არგენტინა. კლაუსურა. II ტური

# ბოკას პირველი გამარჯვება

**ხიმნასია-ოლიმპო 1:3**
გოლები: 0:1 ფ. დომინგესი (48), 1:1 კორდობა (65), 1:2 მაჯიოლო (71), 1:3 როლე (76)
გაძევება: სესა (74. ხიმნასია)

**ბანფილდი-კოლონი 1:1**
გოლები: 1:0 აჩუკარო (6), 1:1 ფუერტესი (45)

**ნიუელს ოლდ ბოისი-ლანუსი 2:1**
გოლები: 1:0 ბიელერი (47), 1:1 ვალერი (68), 2:1 კობელი (88)
გაძევება: ჰოიოსი (74. ლანუსი)

**ველეს სარსფილდი-ოლ ბოისი 1:2**
გოლები: 0:1 გრაცინი (24), 1:1 რამირესი (54), 1:2 გრაცინი (56)
გაძევება: სოტო (90. ოლ ბოისი), გილიოტო (90. ოლ ბოისი)

**რასინგი-ბოკა ხუნიორსი 0:1**
გოლი: 0:1 მოუჩე (47)
გაძევება: რივერო (89. ბოკა)

**ქილმესი-ესტუდიანტესი 0:1**
გოლი: 0:1 მერკადო (45)
გაძევება: კალინსკი (33. ქილმესი)

**არხენტინოს ხუნ.-ინდეპენდ. 0:0**
**რივერ პლეიტი-ურაკანი გვ. დასრ.**

**დღეს**

**არსენალი-ტიგრე 02:00**
**გოდოი კრუსი-სან ლორენსო 04:10**


პაბლო მოუჩემ ბოკას მოაგებინა

კლაუსურას მე-2 ტურში „ბოკა ხუნიორსმა" გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაცია შეძლო - I ტურში შინ „გოდოი კრუსთან" 1:4 განადგურების შემდეგ „ბოკამ" დერბი მოიგო „რასინგთან" - 1:0. არადა, ამ თამაშში ფავორიტად „რასინგი" უფრო ითვლებოდა. ორივე გუნდს დერბიში ყოჩი (ენგანჩე) აკლდა, მასპინძლებს - **ჯოვანი მორენო**, სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე დააკლდა, ხოლო „ბოკას" ლიდერი **ხუან რიკელმე** ერთ კვირას გამოტოვებს. ამის გამო თამაშმა ბევრი დაკარგა.

მატჩის ნამდვილი გმირი „ბოკას" მეკარე **ხავიერ გარსია** გახდა, რომელმაც თამაშის დასაწყისში **აველდანიოს** თავური მოიგერია, ხოლო 47-ე წუთზე საგოლე პასის ავტორი გახდა, ძლიერად დაარტყა კარიდან ფეხით და **პაბლო მოუჩემ** გამარჯვებისა გაიტანა. „რასინგის" რიგებში პირველად ითამაშეს ერთად ძმებმა **სუკულინებმა, ბრუნომ** და **რუსომ**. მასპინძელთა რიგებში დებიუტი ჰქონდა კოლუმბიელ ფორვარდ **თეოფილო გუტიერესს**, რომელიც აქამდე „ტრაბზონში" თამაშობდა.

ტურის სენსაცია „ოლ ბოისმა" შემოგვთავაზა, როცა სტუმრად „ველეს სარსფილდი" 2:1 დაამარცხა. სტუმრებს გამოცდილმა **სებასტიან გრაცინიმ** ორი ლამაზი გოლით გაამარჯვებინა. „ალბოსის" რიგებში დებიუტი **არიელ ორტეგას**, მან თამაშის ბოლო 20 წუთი ითამაშა „ოლ ბოისის" შემადგენლობაში.

არ გაამართლა „არხენტინოს ხუნიორსისა" და „ინდეპენდიენტეს" მატჩმა, გოლი არ გასულა, საგოლე მომენტებიც ცოტა იყო. ორი ტურის შემდეგ 6 ქულა ჯერ მხოლოდ „ოლიმპოს" და „ესტუდიანტესს" აქვთ, თუმცა შეიძლება ეს „გოდოი კრუსმაც" შეძლოს. ჯერჯერობით ყველაზე მეტი გოლი კლაუსურაში 38 წლის **ესტებან ფუერტესს** (კოლონი) აქვს გატანილი - 3.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ამბები

# ტოტენჰემის ბრძოლა

ინგლისური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი **კონორ უიკჰემი** „იფსვიჩ თაუნში" თამაშობს, თუმცა ზაფხულში მას ამ გუნდში რომ არავინ დატოვებს უკვე ფაქტია. მართალია, 17 წლის თავდამსხმელს კონტრაქტის თანახმად „იფსვიჩთან" კიდევ ორი წელიწადი აკავშირებს, მაგრამ რა ხანია ცნობილია, რომ მისი შეძენა „ტოტენჰემს" სურს. და აი, როგორც მოსალოდნელი იყო, „სპურზის" გარდა გამოჩნდნენ სხვა კლუბებიც, რომლებიც უიკჰემის გადაბირებას აპირებენ. 191 სანტიმეტრი სიმაღლის ფორვარდს თვალს არ აშორებენ „ჩელსისა" და „არსენალის" სკაუტები, ბოლო დროს კი გაირკვა, რომ მათ „მანჩესტერ იუნაიტედი" და პირადად სერ **ალექს ფერგიუსონიც** შეუერთდა.


კონორ უიკჰემი

ხოლო სულ პირველი კლუბი, რომელმაც უიკჰემის შესაძენად კონკრეტული ნაბიჯი გადადგა გახლდათ „სანდერლენდი". მან „იფსვიჩს" 5 მილიონი ფუნტი შესთავაზა, რაც ამ საქმისთვის ცოტა გამოდგა.

**ილია ბაბუნაშვილი**

# ფერგი არდადეგებს ემხრობა

სერ **ალექს ფერგიუსონმა** ინგლისში საახალწლო არდადეგების შემოღებას დაუჭირა მხარი. „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა ეს ფეხბურთის ასოციაციის თასისთვის ახალ სიცოცხლის შთაბერვის სურვილით ახსნა. ფერგიმ თქვა, რომ ჯობს, გუნდებმა იანვარში დაისვენონ და ზაფხულში მეტი ითამაშონ, ვიდრე დღევანდელი ფორმატით განაგრძონ ცხოვრებაო.

*„ნამდვილად ღირს კარგად დავაკვირდეთ გერმანულ მოდელს. იანვარში დასვენების შემდეგ სეზონის მეორე ნახევარი სათასო თამაშებით რომ განვაახლოთ ცუდი არ იქნება. კარგად ვიცი, ეს სეზონის გახანგრძლივებას გამოიწვევს, მაგრამ რა დაშავდება თუკი ჩემპიონატს მაინცდამაინც მაისში არ დავამთავრებთ? ივნისში ისედაც ხომ გვიწევს სანაკრებო შეჯიბრებებში მონაწილეობა და ბარემ ჩემპიონატიც იქით გადავწიოთ".*

კიდევ ფერგიუსონმა თქვა, რომ ამ სეზონში ფეხბურთის ასოციაციის თასი დაიჩაგრა, რადგან მაისის ბოლოს „უემბლი" ჩემპიონთა ლიგის ფინალს მასპინძლობს. შესაბამისად, ასოციაციის თასის ფინალი ორი კვირით ადრე უნდა ჩატარდეს.

*„მინდა ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალით სეზონი იხურებოდეს. „უემბლიზე" დიდი მატჩით სეზონის დამთავრება ძალიან ლოგიკური და ბუნებრივი იქნებოდა,"* - დასძინა სერ ალექსმა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A

XXVI ტური

SERIE A

# თრილერმა რანიერი შეიწირა

## ყველა ტუზი ლაციოს, ჯოკერიც

ტურის პირველ შეხვედრაში „პალერმომ“ „ბოლონიასთან“ იწვნია მარცხი და პრაქტიკულად დაემშვიდობა ჩემპიონთა ლიგის საგზურს. პირველობის დასრულებამდე დიდია დროა დარჩენილი და თუ სატურნირო ცხრილით ვიმსჯელებთ, სიცილიელებს თითქოს შანსი არ დაუკარგავთ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ გუნდს რალაც არ ჰყოფნის და ეს რალაც ალბათ მოკლე სათადარიგოთა სკამია. **ფაბრიციო მიკოლის** გარეშე მოასპარეზე კუნძულელებმა ვერაფერი დააკლეს მეტოქეს და მატჩის უკანასკნელ წუთზე სულაც გოლი გაუშვეს. შედეგი კანონზომიერია, მასპინძლები მთელი შეხვედრის განმავლობაში უტევდნენ და ერთი გოლი ნამდვილად დაიმსახურეს.

შაბათის ღამის მატჩში „ინტერმა“ „კალიარის“ უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა, 1:0. ერთადერთი გოლი შეხვედრის პირველივე წუთებზე გავიდა და მისი ავტორი **ანდრეა რანოკია** გახლავთ. მილანელებმა სტანდარტული გაითამაშეს ორიგინალურად, საჯარიმოში ჩაკიდებას სწრაფი კომბინაცია ამჯობინეს და გამოუვიდათ კიდეც - შეტევის ბოლო აკორდი **ხარჯას** დარტყმა და რანოკიას მიერ ბურთისთვის მიმართულების შეცვლა გახლდათ. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ანდრეა თამაშგარე მდგომარეობაში იყო და სადაც სამართალია, ეს გოლი უნდა გაუქმებულიყო. თუმცა, ლაინსმენმა სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო და ბუნებრივია, მას მთავარი არბიტრიც დაეთანხმა. პირველი ტაიმი „ინტერის“ უპირატესობით წარიმართა, აი, მეორეში კი პირიქით, სტუმრები უფრო აქტიურობდნენ. მომენტების აღწერას არ მოვყვებით და უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ სარდინიელებს არაერთხელ შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება. ერთი ხანობა, შტურმიც კი მოუწყვეს მილანელებს, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სიზუსტე აკლდათ. **ჟულიო სეზარიც** უნდა შევაქოთ, რომელმაც რამდენიმე ეპიზოდში შესანიშნავი რეაქცია გამოავლინა. მატჩის შემდეგ **ლეონარდომ** საკმაოდ ვრცელი კომენტარი გააკეთა:

„ყველაზე უკეთ მე ვიცი, რომ საუკეთესო თამაში ვერ ვაჩვენეთ, მაგრამ ამის გამო ფეხბურთელების გაკრიტიკებას არ ვაპირებ. პირიქით, მინდა მათ მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვეს და გულშემატკივრები გაახარეს. რაც შეეხება თამაშის ხარისხს, არ მიკვირს, რომ ბევრი ხარვეზი გვქონდა. კალენდარი ძალიან გადატვირთულია, ყოველ სამ დღეში ერთხელ გვიწევს თამაში და ძალების გადანაწილება, დაზოგვაა საჭირო. არც ისეთი გრძელი სათადარიგოთა სკამი გვაქვს, რომ ყველა შეხვედრა ალმაფრენით ჩავატაროთ. ასე რომ, ხანდახან თუ მეტოქეს ვაძლევთ თამაშის სადავეებს, ამას გაგებით უნდა მოვეკიდოთ. აქვე, მინდა „კალიარი“ შევაქო, რომელმაც ბევრი პრობლემა შეგვიქმნა“.


კლაუდიო რანიერი გადადგა

რთული გასვლითი გამარჯვება მოიპოვა ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა. „მილანი“ „კიევოს“ ესტუმრა და მეტოქე 2:1-ზე დაამარცხა. შეხვედრის გმირი **ალეშანდრე პატო** გახლავთ, რომელიც მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში და გამარჯვების გოლი გაიტანა. თანაც, გოლი მეტად ეფექტური გამოვიდა - მარცხენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, ორ მცველს აუარა გვერდი და მეკარისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი. გამარჯვების გოლი მილანელებმა 83-ე წუთზე გაიტანეს, რის შემდეგაც, თუ **ცეზარის** გაძევებას არ ჩავთვლით, საინტერესო ალარაფერი მომხდარა. იქამდე კი იყო ორი გოლი, ჯერ **რობინიომ** დაამწუხრა სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები, შემდეგ კი **ფერნანდესმა** ისარგებლა მცველების შეცდომით და გაქვითა ანგარიში. მოკლედ, ყველაფერი ავურიეთ, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ „მილანმა“ სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. სამაგიეროდ, ტურინულმა გრანდმა გაანბილა ტიფოზები და მორიგი მარცხი იწვნია. „ლეჩე“-„იუვენტუსის“ ბედი მეცამეტე წუთმა გადაწყვიტა - **ჯანლუიჯი ბუფონმა** საჯარიმოს გარეთ ითამაშა ხელით და მასპინძლებს გოლის გატანის საშუალება არ მისცა, რისთვისაც წითელი ბარათით „დააჯილდოვეს“. კაცნაკლულმა „იუვემ“ ორი ბურთი გაუშვა და სამივე ქულა ლეჩეში დატოვა. მართალია, მეორე ნახევარში მასპინძლებსაც გაუგდეს ფეხბურთელი, მაგრამ საქმე უკვე მოთავებული იყო.

XXVI ტური ძალიან წარმატებული გამოდგა „ლაციოსთვის“ - **ედუარდო რეიას** შეგირდებმა კინკილა გოლით მოუგეს „ბარის“, რომელიც ჩემპიონატის აუტსაიდერია და პრაქტიკულად გავარდნილია კიდეც სერია B-ში. **ერნანესმა** მართლაც რომ ოქროს გოლი გაიტანა, რადგან „ბიანკოჩელესტეს“ აბსოლუტურად ყველა კონკურენტმა ქულები დაკარგა: „უდინეზემ“ „ბრეშას“ ვერ მოუგო, „პალერმომ“ „ბოლონიასთან“ წააგო, „იუვე“ „ლეჩესთან“ შერცხვა, „რომამ“ კი...

რა დროს „იუვე“, „მილანი“, „ლაციო“ და „ინტერია“, როდესაც „სტადიო მარასიზე“ ნამდვილი შოუ დაიდგა. „რომა“ სამი ბურთის სხვაობით უგებდა „ჯენოას“ და იმდენი მოახერხა, რომ გენუა უქულოდ დატოვა. დიახ, „ჯენოამ“ ოთხი ბურთი „მიართვა“ მეტოქეს და გენუური დერბის შემდეგ მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ორ-ორი გოლით **როდრიგო პალასიო** და **ალბერტო პალოსკი** გამოირჩნენ, რომლებმაც საოცრად ჩაატარეს მეორე ტაიმი და გულშემატკივრებს დაუვიწყარი სანახაობა აჩუქეს. **კახა კალაძე** ძირითად შემადგენლობაში იყო და შეხვედრა სრულად ჩაატარა. თუ რა ხდებოდა შეხვედრის მსვლელობისას და მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ „მარასის“ ტრიბუნებზე, ამის აღწერა შეუძლებელია, ბრავო „ჯენოა“... და რაც მთავარია, “ჯენოამ” **კლაუდიო რანიერის** პოსტი შეიწირა. დიახ, დასრულდა თუ არა შეხვედრა, რანიერი გასახდელში შევიდა, ფეხბურთელებს მადლობა გადაუხადა და თავის უკანასკნელ პრესკონფერენციაზე გაემართა “ჯალოროსის” მთავარი მწვრთნელის რანგში - აი, რა თქვა მედიასთან საუბარში: “ბედნიერი ვარ, რომ “რომას” მთავარი მწვრთნელობის პატივი მერგო. ყოველთვის მხოლოდ კარგი მსურდა გუნდისთვის და ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდი. თუმცა, დღევანდელი მარცხის შემდეგ ეს ისტორია უნდა დავამთავრო, მე უკვე დავემშვიდობე ფეხბურთელებს და მათ წარმატებები ვუსურვე”.

“გაძეტა დელო სპორტის” მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, “რომას” სეზონის ბოლომდე **ვინჩენცო მონტელა** ჩაუდგება სათავეში. კარიერის დასრულების შემდეგ, “რომას” ექსფეხბურთელმა სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყო ხელი და როგორც თავად აცხადებს, ახალ ამპლუაში ძალიან დიდი მიზნები აქვს.

ტურის უკანასკნელი შეხვედრა “სან პაოლოს” სტადიონზე გაიმართა, სადაც “ნაპოლიმ” “კატანია” მიიღო და მინიმალური ანგარიშით დაამარცხა, 1:0. ერთადერთი გოლი **ცუნიგას** ანგარიშზეა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო ორივე გუნდის შემადგენლობაში. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ **ედინსონ კავანიმ** თერთმეტმეტრიანი დარტყმა გააცუდა და საერთოდაც, არაერთი რეალური მომენტი გაატანა ქარს. კავანის გაუმართლა, “ნაპოლიმ” მაინც მოიგო და კვლავაც “მილანის” მთავარ მდევრად გვევლინება.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### გამოტოვებული მატჩი

23 თებერვალი: ბოლონია-რომა

### მომდევნო ტური:

26 თებერვალი: იუვენტუსი-ბოლონია

27 თებერვალი: კატანია-ჯენოა, ჩეზენა-კიევო, ბარი-ფიორენტინა, კალიარი-ლაციო, ბრეშა-ლეჩე, რომა-პარმა, პალერმო-უდინეზე, სამპდორია-ინტერი.

28 თებერვალი: მილანი-ნაპოლი.

### ბოლონია-პალერმო 1:0

**ბოლონია (4-3-1-2):** ვივიანო - მორასი (24. ესპოზიტო), პორტანოვა, ჩერუბინი, რუბინი - პერესი, მუდინგაი, დელა როკა - რამირესი (75. პაპონი) - მეჯორინი (65. ხიმენესი), დი ვაიო.

**პალერმო (4-3-2-1):** სირიგუ - ნოჩერინო, ანდელკოვიჩი, მუნოზი, ბოვო - მილიაჩო, ბასინოვიჩი, გარსია - პასტორე, ილიჩიჩი (75. აკუა) - ერნანდესი.

**გოლი:** 1:0 პაპონი (90).

**გაძევება:** გარსია (57).

**გაფრთხილება:** 0-4; **კუთხური:** 11-5; **ჯარიმა:** 20-12; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 13(2)-6(4); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 20 000

### ინტერი-კალიარი 1:0

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, რანოკია, კორდობა, ნაგატომო - ხარჯა (78. მარიგა), ძანეტი, მოტა (72. კამბიასო) - პანდევი - ეტოო (61. სტანკოვიჩი), პაცინი.

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი - პიზანო, კანინი, ასტორი, აგოსტინი - ბიონდინი, კონტი, ლაძარი - კოსუ (70. ნაინგოლანი) - ნენე, აკვაფრესკა (64. რაგაცუ).

**გოლი:** 1:0 რანოკია (7).

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 9-7; **ჯარიმა:** 17-11; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 7(4)-11(4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 57 000

### ლეჩე-იუვენტუსი 2:0

**ლეჩე (4-3-1-2):** როზატი - დონატი, ფერარიო, ფაბიანო, ბრივიო - ბერტოლაჩი (90. კოპოლა), მუნარი, მესბაჰი (85. რისპოლი) - ვივესი - გროსმიულერი, დი მიკელე (53. ჩევანტონი).

**იუვენტუსი (4-4-2):** ბუფონი - სორენსენი (59. იაკვინტა), ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - კრასიჩი (13. სტორარი), მელო, აკვილანი, მარკიზიო - მატრი, ტონი (46. დელ პიერო).

**გოლები:** 1:0 მესბაჰი (32), 2:0 ბერტოლაჩი (48).

**გაძევება:** ვივესი (69) - ბუფონი (13).

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 6-7; **კარში დარტყმა:** 12(6)-8(1); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 20 380

### კიევო-მილანი 1:2

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო - ფრეი, ცეზარი, მორერო, მანტოვანი - პულცეტი (46. ბოლიაჩინო), რიგონი, ფერნანდესი - კონსტანტი (70. იოკიჩი) - პელისიერი, თერეუ (81. მოსკარდელი).

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - აბატე, ნესტა, ტიაგო სილვა, ანტონინი (46. ოდო) - ვან ბომელი, გატუზო, მერკელი (74. ბოატენგი) - რობინიო - კასანო (65. პატო), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 0:1 რობინიო (25), 1:1 ფერნანდესი (61), 1:2 პატო (83).

**გაძევება:** ცეზარი (84).

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 2-7; **კარში დარტყმა:** 6(3)-10(6); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 21 000

### ფიორენტინა-სამპდორია 0:0

**ფიორენტინა (4-4-2):** ბორუცი - დე სილვესტრი, გამბერინი, ნატალი, პასკუალი - მონტოლივო (75. ვარგასი), ბეჰრამი, დონადელი, მარკიონი (60. ლიაჯიჩი) - მუტუ, ჯილარდინო.

**სამპდორია (4-4-1-1):** კურჩი - ვოლტა, ვიდალი, გასტალდელო, ციგლერი - პალომბო, დესენა, მანინი, კომანი (85. ლაცკო) - გუბერტი (69. ბიაბიანი) - მაკარონე (90. ძაძა).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 10-6; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 9(2)-11(2); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 25 000

### ჯენოა-რომა 4:3

**ჯენოა (4-3-1-2):** ედუარდო - მესტო, დაინელი, კალაძე, კრიშიტო - კუჩკა, მილანეტო (61. ველოზო), რაფინია - როსი (64. პალოსკი) - ფლორო ფლორესი (81. მორეტი), პალასიო.

**რომა (4-3-1-2):** ჟულიო სერჟიო - კასტელინი, მექსე, ნ. ბურდისო, რიისე - გრეკო, ბრიგი, პეროტა (72. პეტინარი) - სიმპლისიო (64. მენეზი) - ბორიელო (72. ლორია), ვუჩინიჩი.

**გოლები:** 1:0 მექსე (6), 0:2 ნ. ბურდისო (16), 0:3 ტოტი (51), 1:3 პალასიო (52), 2:3 პალოსკი (68), 3:3 პალასიო (74), 4:3 პალოსკი (85).

**გაძევება:** რაფინია (90).

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 16(9)-5(4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 24 000

### ლაციო-ბარი 1:0

**ლაციო (4-3-1-2):** ბერნი - ლიხტშტაინერი, დიასი, ბიავა (73. სტენდარდო), რადუ - მათუზალემი, ლედესმა, გონსალესი (64. ბროკი) - ერნანესი (85. სარატე) - კოზაკი, სკული.

**ბარი (4-4-2):** ჟილე - ა. მაზიელო, გლიკი, პარიზი (72. გეზალი), როსი - ალმირონი, გაცი, დონატი, ბენტივოლიო (46. კასტილო) - ოკაკა (72. რუდოლფი), ალვარესი.

**გოლი:** 1:0 ერნანესი (6).

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 23-15; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 17(10)-2(1); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 31 000

### პარმა-ჩეზენა 2:2

**პარმა (4-4-2):** მირანტე - პალეტა (81. პალადინო), პაჩი, ლუკარელი, მოდესტო (76. გობი) - ჯემაილი (46. კრესპო), კანდრევა, მორონე, ვალიანი - ამაური, ჯოვინკო.

**ჩეზენა (4-3-2-1):** ანტონიოლი - ჩეკარელი, ფელიპე, ფონ ბერგენი, ლაურო - კაზერტა, კოლუჩი, სამარკო - ხიმენესი (87. დელაფიორე), როზინა (62. ჯაკერინი) - ბოგდანი (77. ბუდანი).

**გოლები:** 0:1 როზინა (31), 1:1 კრესპო (64-პენ.), 1:2 სამარკო (79), 2:2 პალადინო (89).

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 19-21; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 14(8)-8(4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 16 000

### უდინეზე-ბრეშა 0:0

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი - ბენეტია, ზაპატა, დომიცი - ისლა, პინცი, ასამოა, ინლერი (76. აბდი), არმერო - დი ნატალე, დენისი (69. კორადი).

**ბრეშა (4-4-1-1):** არკარი - ბეგა, ძობოლი, ძებინა, ძამბელი - ბერარდი, ფილიპინი (77. ვასი), ძანეტი, კონე - დიამანტი (57. ედერი) - კარაჩოლო.

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 25-16; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 7(3)-9(4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 14 000

### ნაპოლი-კატანია 1:0

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი - არონიკა, სანტაკროჩე, კანავარო - მაჯო, იებდა, პაციენცა (76. გარგანო), ცუნიგა (79. დოსენა) - ჰამშიკი, სოსა (61. მასკარა) - კავანი.

**კატანია (4-3-1-2):** ანდუხარი - სპოლი, სილვესტრი, პოტენცა, მარკეზე - გომესი (72. ლიკოტი), ლოდი, ლედესმა - შელოტო (64. ლოპესი) - მარტინიო (43. მორიმოტო), ბერგესიო.

**გოლი:** 1:0 ცუნიგა (25).

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 20-23; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 7(5)-9(4); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 26 | 16 | 7 | 3 | 46-20 | 55 |
| 3. ნაპოლი | 26 | 16 | 4 | 6 | 41-22 | 52 |
| 2. ინტერი | 26 | 15 | 5 | 6 | 47-29 | 50 |
| 4. ლაციო | 26 | 14 | 6 | 6 | 33-22 | 48 |
| 5. უდინეზე | 26 | 13 | 5 | 8 | 42-30 | 44 |
| 6. იუვენტუსი | 26 | 11 | 8 | 7 | 41-32 | 41 |
| 7. პალერმო | 26 | 12 | 4 | 10 | 44-36 | 40 |
| 8. რომა | 25 | 11 | 6 | 8 | 38-36 | 39 |
| 9. კალიარი | 26 | 10 | 5 | 11 | 32-28 | 35 |
| 10. ჯენოა | 26 | 9 | 8 | 9 | 24-25 | 35 |
| 11. ფიორენტინა | 26 | 8 | 9 | 9 | 28-28 | 33 |
| 12. ბოლონია | 25 | 9 | 8 | 8 | 27-33 | 32 |
| 13. კიევო | 26 | 7 | 10 | 9 | 28-29 | 31 |
| 14. სამპდორია | 26 | 7 | 10 | 9 | 23-27 | 31 |
| 15. პარმა | 26 | 6 | 9 | 11 | 25-36 | 27 |
| 16. ლეჩე | 26 | 7 | 6 | 13 | 28-46 | 27 |
| 17. კატანია | 26 | 6 | 8 | 12 | 22-34 | 26 |
| 18. ბრეშა | 26 | 6 | 5 | 15 | 20-33 | 23 |
| 19. ჩეზენა | 26 | 5 | 7 | 14 | 19-36 | 22 |
| 20. ბარი | 26 | 4 | 6 | 16 | 14-40 | 15 |

**ბომბარდირები:** 20 - კავანი (ნაპოლი); 18 - დი ნატალე (უდინეზე); 15 - ეტოო (ინტერი); 14 - დი ვაიო (ბოლონია), მატრი (იუვენტუსი); 13 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

### სერია B.

**გროსეტო-ემპოლი** 2:1

გოლები: 1:0 იმობილე (30), 1:1 მუსაჩი (57), 2:1 კარიდი (90).

**ალბინოლეფე-პადოვა** 2:1

გოლები: 0:1 ვანტაჯატო (39-პენ.), 1:1 ტორი (44-პენ.), 2:1 ფოლიო (90).

**ასკოლი-პორტოგრუარო** 1:0

გოლი: 1:0 მენდიჩინო (88).

**ჩიტადელა-ვიჩენცა** 0:1

გოლი: 0:1 ბოტა (62).

**ლივორნო-ნოვარა** 1:0

გოლი: 1:0 ბელინგერი (63).

**სასუოლო-კროტონე** 2:0

გოლები: 1:0 ბრუნო (2), 2:0 ფალკო (75).

**სიენა-პიაჩენცა** 2:3

გოლები: 1:0 კაპუტო (14), 2:0 კალაიო (29), 2:1 კაჩა (38), 2:2 ბიანკი (77), 2:3 გუზმანი (90).

**ტორინო-პესკარა** 3:1

გოლები: 0:1 დიამუტენე (12), 1:1 ვეცე (34), 2:1 ანტენუჩი (49), 3:1 ბიანკი (76).

**რეჯინა-ატალანტა** 0:0

**ტრიესტინა-მოდენა** 2:2

გოლები: 0:1 პასკუატო (21), 0:2 ტამბურინი (47), 1:2 ტესტინი (64-პენ.), 2:2 ტადეი (90).

**ვარეზე-ფროზინონე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატალანტა | 27 | 15 | 7 | 5 | 32-18 | 52 |
| 2. ნოვარა | 27 | 14 | 9 | 4 | 46-22 | 51 |
| 3. სიენა | 27 | 13 | 10 | 4 | 43-24 | 49 |
| 4. ვარეზე | 26 | 11 | 10 | 5 | 31-17 | 43 |
| 5. რეჯინა | 27 | 10 | 9 | 8 | 31-28 | 39 |
| 6. ლივორნო | 27 | 10 | 8 | 9 | 35-33 | 38 |
| 7. ტორინო | 27 | 10 | 8 | 9 | 32-33 | 38 |
| 8. ვიჩენცა | 27 | 11 | 5 | 11 | 29-31 | 38 |
| 9. ემპოლი | 26 | 8 | 12 | 6 | 30-25 | 36 |
| 10. პადოვა | 27 | 8 | 11 | 8 | 39-33 | 35 |
| 11. პესკარა | 26 | 9 | 8 | 9 | 28-29 | 35 |
| 12. გროსეტო | 27 | 9 | 7 | 11 | 28-35 | 34 |
| 13. ალბინოლ. | 27 | 9 | 7 | 11 | 34-43 | 34 |
| 14. სასუოლო | 27 | 8 | 7 | 12 | 29-31 | 31 |
| 15. პიაჩენცა | 27 | 7 | 10 | 10 | 38-42 | 31 |
| 16. მოდენა | 27 | 6 | 13 | 8 | 29-36 | 31 |
| 17. კროტონე | 27 | 6 | 12 | 9 | 24-30 | 30 |
| 18. ჩიტადელა | 27 | 6 | 10 | 11 | 29-34 | 28 |
| 19. პორტოგრ. | 27 | 7 | 7 | 13 | 24-38 | 28 |
| 20. ასკოლი | 27 | 8 | 9 | 10 | 27-32 | 27 |
| 21. ტრიესტინა | 27 | 5 | 12 | 10 | 22-33 | 27 |
| 22. ფროზინონე | 26 | 5 | 9 | 12 | 25-38 | 24 |

*ასკოლის დაკლებული აქვს 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 16 - კაჩა (პიაჩენცა); 15 - სუჩი (პადოვა), კორალი (ემპოლი); 12 - გონსალესი (ნოვარა), ბონაცოლი (რეჯინა), ბიანკი (ტორინო); 11 - ბერტანი (ნოვარა), აბრუსკატო (ვიჩენცა).

### ლეგა პრო 1 A

ალესანდრია-სუდტიროლი 0:0, ბასანო-პავია 0:0, კომო-სორენტო 3:2, კრემონეზე-ვერონა 1:2, მონცა-გუბიო 2:3, რავენა-პაგანეზე 1:0, რეჯანა-ლუმეცანე 0:2, სპალ-პერგოკრემა 0:1, სპეცია-სალერნიტანა დღეს.

### ლეგა პრო 1 B

ატლეტიკო-ლუკეზე 1:2, ვიარეჯო-ფოჯა 0:4, ანდრია-ნოჩერინა 0:1, კოზენცა-ბარლეტა 1:1, ჯელა-ფოლინო 0:0, იუვე სტაბია-ლანჩანო 1:0, სირაკუზა-კავეზე 0:0, ტარანტო-პიზა 2:1, ტერნანა-ბენევენტო 1:3.

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXIV ტური

**უტრეხტი-ჰერაკლესი** 1:1

გოლები: 1:0 ვოლფვინკელი (3), 1:1 კაირო (89).

**ექსელსიორი-ვილემი** 4:0

გოლები: 1:0 რურდა (18), 2:0 რურდა (50-პენ.), 3:0 ლაგუირე (84), 4:0 ფერნანდესი (86).

**ჰერენვეენი-ალკმაარი** 0:2

გოლები: 0:1 ვერბლუმი (29), 0:2 მორენო (68).

**გრონინგენი-როდა** 1:4

გოლები: 0:1 იუნკერი (15), 0:2 იუნკერი (61), 0:3 იუნკერი (73), 1:3 პედერსენი (88), 1:4 ბოდორი (90).

**დენ ჰააგი-ფეიენოორდი** 2:2

გოლები: 0:1 კასტაინოსი (30), 0:2 კასტაინოსი (38), 1:2 ვისენტო (80), 2:2 ბულიკინი (85).

**აიაქსი-ვენლო** 1:0

გოლი: 1:0 ჰამდაუი (11).

**ტვენტე-ნიიმეგენი** 1:1

გოლები: 0:1 ზიმლინგი (7), 1:1 ბარამი (27).

**ვიტესი-დე გრააფსხაპი** 2:0

გოლები: 1:0 ვილფრიდი (71), 2:0 მატიჩი (86).

**პსვ-ბრედა** 4:1

გოლები: 1:0 ჯუჯაკი (26), 1:1 ლურლინგი (64), 2:1 ლენსი (67), 3:1 ტოივონენი (73), 4:1 როდრიგესი (83).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 24 | 16 | 5 | 3 | 66-22 | 53 |
| 2. ტვენტე | 24 | 15 | 6 | 3 | 47-25 | 51 |
| 3. აიაქსი | 24 | 14 | 6 | 4 | 47-22 | 48 |
| 4. გრონინგენი | 24 | 13 | 5 | 6 | 51-33 | 44 |
| 5. დენ ჰააგი | 24 | 12 | 6 | 6 | 45-34 | 42 |
| 6. ალკმაარი | 24 | 11 | 7 | 6 | 36-27 | 40 |
| 7. როდა | 24 | 10 | 9 | 5 | 43-33 | 39 |
| 8. უტრეხტი | 24 | 10 | 6 | 8 | 40-32 | 36 |
| 9. ჰერენვეენი | 24 | 9 | 7 | 8 | 44-35 | 34 |
| 10. ნიიმეგენი | 24 | 7 | 10 | 7 | 39-39 | 31 |
| 11. ბრედა | 24 | 9 | 4 | 11 | 32-42 | 30 |
| 12. დე გრააფს. | 24 | 6 | 8 | 10 | 23-42 | 26 |
| 13. ჰერაკლესი | 24 | 6 | 7 | 11 | 34-43 | 25 |
| 14. ვიტესი | 24 | 6 | 7 | 11 | 29-38 | 25 |
| 15. ფეიენოორ. | 24 | 6 | 7 | 11 | 29-42 | 25 |
| 16. ექსელსიორი | 24 | 6 | 4 | 14 | 29-47 | 22 |
| 17. ვენლო | 24 | 4 | 1 | 19 | 22-55 | 13 |
| 18. ვილემი | 24 | 1 | 5 | 18 | 22-67 | 8 |

**ბომბარდირები:** 17 - ვლემინცკი (ნიიმეგენი); 15 - ბულიკინი (დენ ჰააგი), მატავცი (გრონინგენი); 14 - იანკო (ტვენტე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა

XXIV ტური

LFP

# ის, რაც 58-ე წუთზე მოხდა...

## მესის 25 და 15

წუხელ ლა ლიგაში „ბარსელონამ" ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა ბილბაოს „ატლეტიკზე", გამარჯვების გოლი **ლეო მესიმ** 77-ე წუთზე **დანი ალვეშის** ჩაწოდების შემდეგ გაიტანა - 2:1. **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი, რომელსაც მოულოდნელად, კარგა ხნით გამოაკლდა მუხლდაშავებული **ვიქტორ ვალდესი** (6 კვირით!), ინარჩუნებს 5-ქულიან უპირატესობას „რეალთან".

ის, რაც 58-ე წუთზე სულაც არ ყოფილა გადამწყვეტი ამ მატჩში, „ბილბაო" გმირულად იცავდა თავს და ინარჩუნებდა ფრეს, „ბარსამ" კი ლამის ალყა შემოარტყა **გორკა ირაისოსის** კარს, **ფერნანდო ლორენტე** ლამის ცენტრალურ მცველად თამაშობდა... ვიმეორებთ, ამ წუთზე მომხდარს შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ფეხბურთის გულშემატკივრებმა მთელ მსოფლიოში ნამდვილი შედევრი იხილეს, ლეო მესი საჯარიმოს მისადგომიდან დაიძრა კარისკენ და „სლალომით" 5 მცველი გაიარა, მეექვსემდე მისული დაეცა, „კამპ ნოუ" ამაოდ ითხოვდა პენალტს (რომელიც, ალბათ, არ იყო), მაგრამ მთავარი არც ისაა, იყო თუ არა პენალტი - საფეხბურთო შედევრი კი ნამდვილად იყო.

ანგარიში პირველ ტაიმში **დავიდ ვილიამ** დანი ალვეშის პასით გახსნა, მეორეში კი ლორენტეს წაქცევისათვის (**ბუსკეტსმა** წააქცია) დანიშნული პენალტი **ანდონი ირაოლამ** გოლად აქცია და „ბარსაა" გააფთრებული ეკვეთა მეტოქეს. პატარა არგენტინელმა 21 თამაშში 25 გოლი გაიტანა, ის უკვე ერთპიროვნული ლიდერია ბომბარდირთა დავაში და 15 საგოლე პასითაც იწონებს თავს.

მადრიდელებმა იოლად დაძლიეს „ლევანტეს" წინააღმდეგობა, 2:0 მოიგეს, საჩემპიონო რბოლაში დარჩნენ, „ლიონთან" მატჩის წინ ძალებიც დაზოგეს და **ჟოზე მოურინიოს** 9-წლიანი საშინაო წაუგებელი სერიაც გაუფორმეს. ერთადერთი, რაც შაბათ საღამოს „ბერნაბეუზე" არ გამოვიდა ისაა, რომ „რეალის" ბომბარდირმა **კრიშტიანო რონალდომ** გოლი ვერ გაიტანა და ლეო მესის გადასწრების შანსი მისცა.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ „რეალმა" თავიდანვე შეძლო გოლის გატანა - **ანხელ დი მარიამ** მარტოდმარტომ „შეანგრია" „ლევანტეს" დაცვის მარცხენა ფლანგი, სადაც დი მარიასთან ბრძოლაში **ასიერ დელ ორნოს** ორი მცველი ეხმარებოდა და ორიც აზღვევდა. მაინც არაფერი გამოვიდა, არგენტინელი საჯარიმოში შეიჭრა და **ქარიმ ბენზემას** უპასა. ფრანგს ბოლო დროს ბევრს აკრიტიკებენ, თუმცა ასეთ მომენტებში გატანა არ უჭირს - 1:0.

„რეალი" თავდაჯერებით თამაშობდა, „ლევანტეს" კი არც კონტრშეტევები გამოსდიოდა, დი მარიას შეეძლო თავადაც გატანა, მაგრამ არგენტინელის დარტყმული ურუგვაელმა **გუსტავო მუნუამ** მოიგერია. მე-40 წუთზე „რეალმა" მარცხენა ფლანგიდან საჯარიმო ჩააწოდა, რონალდოს დარტყმულს თუ ჩაწოდებულს ბურთს ფეხი მისმა თანამემამულე **რიკარდო კარვალიომ** დაუხვედრა და ამ სეზონში მე-3 გოლი გაიტანა - 2:0.

მეორე ტაიმიც ანალოგიურ სტილში გაგრძელდა, თუმცა სადღაც შუაწელზე, „რეალმა" ტემპი დააგდო. მხოლოდ ამის შემდეგ, 68-ე წუთზე შეეძლო „ლევანტეს" გატანა, მაგრამ ეკვადორელმა **ფელიპე კაისედომ** ვერ აჯობა **ანტონიო ადანს**, რომელიც კარიერაში პირველად თამაშობდა „რეალის" ძირითადში ლა ლიგის მატჩში. ბოლოს კი ყველაფერი იმით დასრულდა, რომ **მესუთ იოზილის** წამოწყებული შეტევა **ემანუელ ადებაიორის** გოლით დასრულდა, რომელიც არ ჩაითვალა, რადგან რონალდო თამაშგარე მდგომარეობაში იყო.

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„ვიცოდით, რომ ამჯერად, „ლევანტეს" დამარცხება გაგვიჭირდებოდა, ეს გუნდი კარგად იცავს თავს, თუმცა ადრე გავიტანეთ და მას შემდეგ თამაშს ვაკონტროლებდით. მოგება და ფეხბურთელების დასვენება - კარგია, რომ ორივე გამოგვივიდა. ახლა უკვე შეიძლება „ლიონთან" მატჩზე ფიქრი. რაც ეს გუნდი შეგვხვდა, მისი თამაში საფუძვლიანად შევისწავლე. არსებობს ორი ბარიერი - წლებია „რეალს" პლეი ოფის პირველი ეტაპი არ გადაულახია და არ დაუმარცხებია „ლიონი". ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, ძალიან მნიშვნელოვანია, ითამაშებს თუ არა ჩვენ წინააღმდეგ ლისანდრო".*

„ვალენსიამ" „სპორტინგთან" უხერხემლო გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე ბრაზილიელი დებიუტანტი **ჟონასი** არ გამოჩნდებოდა მოედანზე, **უნაი ემერის** გუნდი შეტევაში საერთოდ ვერაფერს აჩვენებდა. „ლოს ჩემ" ხიხონელთა კარში სულ ორჯერ დაარტყა ზუსტად, თან პირველად მხოლოდ 86-ე წუთზე! **მანუელ პრესიადოს** გუნდმა ორი გმირული ფრე გაახერხა მიჯრით, ჯერ შინ „ბარსას" დაუზავდა, ახლა „მესტალიაზე" „ვალენსია" არ გაახარა - 0:0. განსაკუთრებით გვინდა მათი დაცვის ცენტრალური დუეტი გამოვყოთ - **ბოტიამ** და **ერნანდესმა** დიდებულად ითამაშეს. ამ შეხვედრაში კოჭი დაიზიანა „ვალენსიასა" და ესპანეთის ნაკრების ფორვარდმა **არიც ადურისმა**, რომელიც, სავარაუდოდ, 4 კვირას გამოტოვებს.

**უნაი ემერი** (ვალენსია): *„ჩვენს თამაშს აკლდა ენერგიულობა, თუმცა უკეთ ვითამაშეთ დაცვაში, ვიდრე „შალკესთან" მატჩში. შევეცადეთ, მაგრამ წინ საინტერესო ვერაფერი შევქმენით, რაც „სპორტინგის" დაცვაში კარგი თამაშის ბრალია".*

**მანუელ პრესიადო** (სპორტინგი): *„დაცვაში ბრწყინვალედ ვითამაშეთ და ფრე დავიმსახურეთ. ორ გრანდთან აღებული ქულებით ვამაყობთ. ამ სტადიონზე თამაში ძალიან მიყვარს, აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის წავაგე".*

**კიკე ფლორესი** გადარჩა - მისმა გუნდმა არაგონში უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა. 65-ე წუთზე **კუნ აგუერო** მთელი სისწრაფით შეიჭრა საჯარიმოში და მარჯვენა კუთხიდან შორეულ კუთხეში გაიტანა. ასე დაასრულა „ატლეტიკომ" 4-მატჩიანი წაგებების სერია. თამაში ძალიან კარგი გამოდგა და „სარაგოსამაც" ბოლოს ნამდვილი შტურმი მოაწყო **დავიდ დე ხეას** კართან, ბოლო წუთებზე **უჩემ** ხარიხას გაარტყა ბურთი - 0:1.

**ხავიერ აგირე** (სარაგოსა): *„ცუდი შედეგის მიუხედავად, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. თუკი ასე გავაგრძელებთ, აუცილებლად მოვუმატებთ და წინ წავიწევთ ცხრილში. ბიჭებმა ყველაფერი გაილეს მოედანზე, მაგრამ უქულოდ დავრჩით".*

**კიკე ფლორესი** (ატლეტიკო): *„იყო თამაშები, როცა კარგად გვითამაშია, მაგრამ მაინც წაგვიგია, ან პირიქით. ახლა კი თავს ბრწყინვალედ ვგრძნობთ, თამაშითაც და შედეგითაც უზომოდ კმაყოფილი ვარ - ბოლო წუთებს თუ არ ჩავთვლით, მთელი თამაში ჩვენ მიგვყავდა. ასე თამაში კი „ატლეტიკოს" იმ პოზიციაზე დააბრუნებს, სადაც უნდა იყოს კიდეც წესით".*

გუშინდელი მატჩების მიმოხილვას ალმერიაში მომხდარით დავიწყებთ - „დეპორტივოს" გოლკიპერმა **დანიელ არანსუბიამ** თამაშის 94-ე წუთზე თავით გაუტანა ვიზავი **დიეგო ალვეშს** და „ალმერიას" მოგება არ დაანება - 1:1. მანამდე მასპინძლები ბრწყინვალე არგენტინელი ნახევარმცველის, **პაბლო პიატის** მიერ „ცხრიანში" გატანილი გოლის წყალობით იგებდნენ.

„ვილიარეალმა" მე-3 ადგილზე დაბრუნების შესანიშნავი შანსი გაუშვა ხელიდან - „ელ მადრიგალზე" „მალაგას" დაუზავდა - 1:1. „ელ სუბმარინო" იგებდა, მას მერე, რაც **ჯუზეპე როსის** დარტყმულს შედეგიანად დაამატა **მარკო რუბენმა**, მაგრამ სტუმარმა **სება ფერნანდესმა** აუტსაიდერს ქულა მოუპოვა, „ვალენსია" მესამეზე დარჩა.

„ოსასუნას" ახალი თავკაცი **ხოსე ლუის მენდილიბარი** ასეთ დებიუტზე ვერც კი იოცნებებდა, მისმა გუნდმა ყოჩაღ „ესპანიოლს" 4:0 მოუგო. დუბლი ირანელმა **ჯავად ნეკუნამმა** შეასრულა, რომელიც აზიის თასზე ასპარეზობის გამო ძალიან აკლდა ნავარულ კლუბს. „რასინგმა" მადრიდში **პაბლო პინილიოსის** პენალტის წყალობით მოუგო „ხეტაფეს" - 1:0. პენალტი **ჯოვანი დოს სანტოსმა** მოიპოვა, ის საჯარიმოში **ივან მარკანომ** შეაჩერა, რისთვისაც „ხეტაფეს" მცველი გააძევეს.

ხორვატმა **ივან რაკიტიჩმა** უკვე მოასწრო ავტოგოლის გატანა, თუმცა წინა ტურში, ამის მიუხედავად, იმდენად კარგად ითამაშა, რომ სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, ახლა კი მისმა გოლმა „სევილიას" „ერკულესზე" გაამარჯვებინა - 1:0.



ლეო მესის ბრწყინვალე გარღვევა

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

### მომდევნო ტური

26 თებერვალი: **ატლეტიკო-სევილია, ესპანიოლი-რეალ სოსიედადი, სპორტინგი-სარაგოსა, მალიორკა-ბარსელონა, დეპორტივო-რეალი.**

27 თებერვალი: **ერკულესი-ხეტაფე, ლევანტე-ოსასუნა, რასინგი-ვილიარეალი, ბილბაო-ვალენსია.**

28 თებერვალი: **მალაგა-ალმერია.**

### პორტუგალია

ლიგა საგრეში. XX ტური

**ლეირია-გიმარაეში** 0:1
**გოლი:** 0:1 ალვეში (30)

**პორტიმონენშე-ოლანენშე** 1:1
**გოლები:** 1:0 ლიტო (31), 1:1 ჯალმირი (85-პენ)

**სეტუბალი-ნავალი** 1:1
**გოლები:** 1:0 ნეკა (26), 1:1 ფაბიო ჟუნიორი (48)

**აკადემიკა-რიუ ავე** 0:1
**გოლი:** 0:1 გამა (90)
**გაძევება:** კაბრალი (90. აკადემიკა), მელო (90. აკადემიკა)

**მარიტიმუ-ბეირა მარი** 1:0
**გოლი:** 1:0 ბაბა (79)
**გაძევება:** ელიო (32. ბეირა მარი)

**ბრაგა-ფერეირა** 1:2
**გოლები:** 0:1 ჟოზე (11), 0:2 სილვიო (18 ს.კ.), 1:2 უკრა (34)
**გაძევება:** სიმაო (76. ფერეირა)

**სპორტინგი-ბენფიკა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 20 | 18 | 2 | 0 | 46-7 | 56 |
| 2. ბენფიკა | 19 | 15 | 0 | 4 | 40-16 | 45 |
| 3. სპორტინგი | 19 | 9 | 6 | 4 | 32-22 | 33 |
| 4. გიმარაეში | 20 | 9 | 5 | 6 | 25-24 | 32 |
| 5. ფერეირა | 20 | 7 | 8 | 5 | 20-22 | 29 |
| 6. ლეირია | 20 | 8 | 4 | 8 | 19-24 | 28 |
| 7. ბრაგა | 20 | 8 | 3 | 9 | 34-28 | 27 |
| 8. ოლანენშე | 20 | 6 | 9 | 5 | 19-18 | 27 |
| 9. ნასიონალი | 20 | 7 | 5 | 8 | 17-23 | 26 |
| 10. ბეირა მარი | 20 | 5 | 10 | 5 | 23-23 | 25 |
| 11. მარიტიმუ | 20 | 5 | 7 | 8 | 20-22 | 22 |
| 12. რიუ ავე | 20 | 5 | 5 | 10 | 20-26 | 20 |
| 13. აკადემიკა | 20 | 5 | 5 | 10 | 25-35 | 20 |
| 14. სეტუბალი | 20 | 4 | 7 | 9 | 17-29 | 19 |
| 15. ნავალი | 20 | 3 | 5 | 12 | 18-37 | 14 |
| 16. პორტიმონენშე | 20 | 2 | 5 | 13 | 18-37 | 11 |

**ბომბარდირები:** 19 - ჰალკი (პორტუ); 12 - ჟოაო ტომაში (რიუ ავე); 9 - კარლაუ (ლეირია).

### ვალენსია-სპორტინგი 0:0

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - მიგელი, სტანკევიჩიუსი, რიკარდო კოშტა, მატიო - მ. თოფალი, ტინო კოსტა - ხოაკინი, დომინგესი (54. სოლდადო), მატა (68. პაბლო ერნანდესი) - ადურისი (78. ჟონასი).
**სპორტინგი (4-2-3-1):** კუელიარი - ლორა, ბოტია, ი. ერნანდესი, კანელია - ეგურენი, ნაჩო კასესი - დე ლას კუევასი (82. ნაჩო ნოვო), ანდრე კაშტრო, დიეგო კასტრო (88. ხოსე ანხელი) - სანგოი (71. ბილიჩი).
**გაფრთხილება:** მ. თოფალი
**კუთხური:** 11-5; **ჯარიმა:** 13-5; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 12-7 (2-0); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.
**მაყურებელი:** 40 000

### რეალი-ლევანტე 2:0

**რეალი (4-2-3-1):** ადანი - სერხიო რამოსი, ალბიოლი, რიკარდო კარვალიო, მარსელო - ხედირა, ლ. დიარა - დი მარია (75. ადებაიორი), კაკა (75. იოზილი), რონალდო - ბენზემა (84. გაგო).
**ლევანტე (4-3-3):** მუნუა - სერა, ბალესტეროსი, ნანო, დელ ორნო - ხ. ტორესი (78. ლოისი), იბორა, ხუანფრანი - სისკო მუნიოსი (60. მონტერო), კაისედო (71. სტუანი), ვალდო.
**გოლები:** 1:0 ბენზემა (6), 2:0 რიკარდო კარვალიო (40)
**გაფრთხილება:** რამოსი, ლ. დიარა - ბალესტეროსი, კაისედო
**კუთხური:** 13-2; **ჯარიმა:** 8-11; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 25-3 (11-1); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.
**მაყურებელი:** 60 000

### სარაგოსა-ატლეტიკო 0:1

**სარაგოსა (4-3-3):** ლეო ფრანკო - დიოგო, იაროშიკი, კონტინი, ობრადოვიჩი - გაბი, პონსიო, ნ'დავი (66. ხ. ლოპესი) - ბუტაჰარი (71. უჩე), ბრაულიო, სინამა-პონგოლე (46. ბერტოლო).
**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, პერეა, ა. დომინგესი, ა. ლოპესი - რეიესი, ტიაგო, რაულ გარსია, კოკე (82. ელიასი) - აგუერო (85. დიეგო კოშტა), ფორლანი (91. ასუნსაო).
**გოლი:** 0:1 აგუერო (65)
**გაფრთხილება:** დიოგო, პონსიო, კონტინი - ტიაგო, დომინგესი, ასუნსაო
**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 14-16 (2-7); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.
**მაყურებელი:** 18 000

### ალმერია-დეპორტივო 1:1

**ალმერია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - მარსელო სილვა, პელერანო, აკასიეტე, ლუნა - მ'ბამი, ბერნარდელო - კალუ უჩე (84. ვარგასი), ფეგული (60. ხუანიტო), პიატი (76. იაკობსენი) - ულოა.
**დეპორტივო (4-4-2):** არანსუბია - მანუელ პაბლო, ლოპო, კოლოტო, მორელი - ხუან დომინგესი (59. ლასადი), რუბენ პერესი (77. პაბლო ალვარესი), ხუან როდრიგესი, ანტონიო ტომასი - ადრიანი, რიკი (64. სანდი).
**გოლები:** 1:0 პიატი (47), 1:1 არანსუბია (94)
**გაფრთხილება:** აკასიეტე - ლოპო, პერესი, სანდი
**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 12-7 (4-4); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.
**მაყურებელი:** 10 000

### ხეტაფე-რასინგი 0:1

**ხეტაფე (4-4-2):** კოდინა - ვიქტორ სანჩესი, დიასი, მარკანო, მანე - რიოსი (79. ალბინი), ბოატენგი, კასკერო (56. პარეხო), გავილანი - მიკუ, კოლუნგა (61. ადრიან სარდინერო).
**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - პინილიოსი, ენრიკე, ტორეხონი, სისმა - კოლსა, ლასენი - კენედი (66. ჯ. დოს სანტოსი), მუნიტისი, ადრიანი (72. არანა) - ნაუელპანი (59. როზენბერგი).
**გოლი:** 0:1 პინილიოსი (88-პენ)
**გაფრთხილება:** ბოატენგი - კოლსა, არანა
**გაძევება:** მარკანო (87)
**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 3-7; **კარში დარტყმა:** 5-8 (1-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.
**მაყურებელი:** 11 000

### ოსასუნა-ესპანიოლი 4:0

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ნელსონი, ლოლო, ხოსეჩო, მონრეალი - პუნიალი, ნეკუნამი - კამუნიასი, მასუდი (88. ვადოცი), კალეხა (83. ლეკიჩი) - პანდიანი (74. სორიანო).
**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა, ამატი, გალანი, დავიდ გარსია (46. ხავი ლოპესი) - დუშერი (61. ალვარო), მარკესი - ლუის გარსია, ვერდიუ, კალეხონი (46. დატოლო) - სერხიო გარსია.
**გოლები:** 1:0 ნეკუნამი (13), 2:0 ნეკუნამი (55), 3:0 ლოლო (80), 4:0 სორიანო (88)
**გაფრთხილება:** კალეხა, კამუნიასი - დუშერი, ლოპესი
**კუთხური:** 7-9; **ჯარიმა:** 18-11; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 15-11 (8-0); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.
**მაყურებელი:** 16 000

### ვილიარეალი-მალაგა 1:1

**ვილიარეალი (4-3-3):** დიეგო ლოპესი - მარიო, გონსალო, მარჩენა, კაპდევილა - ბორხა ვალერო, ბრუნო, კანი - ნილმარი, მარკო რუბენი (68. კასორლა), როსი.
**მალაგა (4-2-3-1):** კაბალერო - გასპარი, დემიკელისი, ველიგტონი, ელიზეუ - ნაჩო კამაჩო (54. ხუანმი), რესიო (70. მარესკა) - პორტილიო, ს. ფერნანდესი, აპონიო (79. სანდრო სილვა) - რონდონი.
**გოლები:** 1:0 მარკო რუბენი (35), 1:1 ს. ფერნანდესი (82)
**გაფრთხილება:** ბრუნო - მარესკა
**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 13-22; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 15-6 (7-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.
**მაყურებელი:** 18 000

### სევილია-ერკულესი 1:0

**სევილია (4-4-2):** ხავი ვარასი - კასერესი, ფასიო, ესკუდე, ფ. ნავარო - ხესუს ნავასი, მედელი, რაკიტიჩი (79. ზოკორა), კაპელი (87. პეროტი) - ლუიშ ფაბიანო (67. კანუტე), ნეგრედო.
**ერკულესი (4-2-3-1):** კალატაიუდი - კორტესი, პასი, როდრიგესი, პულჰაკი - ფარინოსი, აგილარი - კრისტიანი (74. პორტილიო), ტიაგო გომეში (62. კიკო), ტომერი (82. ტოტე) - ტრეზეგე.
**გოლი:** 1:0 რაკიტიჩი (21)
**გაფრთხილება:** ნავასი, ესკუდე - აგილარი, როდრიგესი, კორტესი
**კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 17-7 (6-3); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 22 000

### ბარსელონა-ბილბაო 2:1

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, ბუსკეტსი, პიკე, აბიდალი - ჩავი, მასკერანო (64. მაქსველი), ინიესტა - პედრო (91. აფელაი), მესი, ვილია (83. კეიტა).
**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ეკიზა, ამორებიეტა, კოიკილი - გურპეგი, ხ. მარტინესი - სუსაეტა (82. დავიდ ლოპესი), იტურასპე (46. ტოკერო), გაბილონდო (70. მუნიაინი) - ფ. ლორენტე.
**გოლები:** 1:0 ვილია (3), 1:1 ირაოლა (49-პენ), 2:1 მესი (77)
**გაფრთხილება:** ალვეში, ბუსკეტსი, პიკე - კოიკილი, ირაოლა, გურპეგი
**კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 8-17; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 20-5 (5-4); **ბურთის ფლობა:** 75%-25%.
**მაყურებელი:** 83 500

**რეალ სოსიედადი-მალიორკა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 24 | 21 | 2 | 1 | 73-13 | 65 |
| 2. რეალი | 24 | 19 | 3 | 2 | 55-19 | 60 |
| 3. ვალენსია | 24 | 14 | 6 | 4 | 38-25 | 48 |
| 4. ვილიარეალი | 24 | 14 | 4 | 6 | 42-24 | 46 |
| 5. ბილბაო | 24 | 12 | 2 | 10 | 38-34 | 38 |
| 6. ესპანიოლი | 24 | 12 | 1 | 11 | 30-35 | 37 |
| 7. ატლეტიკო | 24 | 10 | 3 | 11 | 33-31 | 33 |
| 8. სევილია | 23 | 9 | 4 | 10 | 35-38 | 31 |
| 9. ხეტაფე | 24 | 9 | 4 | 11 | 35-38 | 31 |
| 10. სოსიედადი | 23 | 10 | 1 | 12 | 34-37 | 31 |
| 11. მალიორკა | 23 | 9 | 4 | 10 | 25-30 | 31 |
| 12. რასინგი | 24 | 7 | 7 | 10 | 21-33 | 28 |
| 13. დეპორტივო | 24 | 6 | 8 | 10 | 21-35 | 26 |
| 14. ოსასუნა | 24 | 6 | 7 | 11 | 25-30 | 25 |
| 15. ერკულესი | 23 | 7 | 4 | 12 | 24-37 | 25 |
| 16. სპორტინგი | 24 | 5 | 9 | 10 | 23-31 | 24 |
| 17. ლევანტე | 24 | 7 | 3 | 14 | 24-36 | 24 |
| 18. სარაგოსა | 24 | 5 | 8 | 11 | 22-37 | 23 |
| 19. ალმერია | 24 | 4 | 9 | 11 | 24-40 | 21 |
| 20. მალაგა | 24 | 5 | 5 | 14 | 31-50 | 20 |

**ბომბარდირები:** 25 - ლეო მესი (ბარსელონა); 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 16 - დავიდ ვილია (ბარსელონა); 13 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 12 - ჯუზეპე როსი (ვილიარეალი), პედრო როდრიგესი (ბარსელონა), 10 - დავიდ ტრეზეგე (ერკულესი); ნილმარი (ვილიარეალი).

### სეგუნდადივიზიონი

XXV ტური

**ხირონა-ალკორკონი** 3:1
**გოლები:** 1:0 დესპოტოვიჩი (16), 2:0 ხანდრო (4:0), 3:0 დესპოტოვიჩი (75), 3:1 ქუინი (86)

**რაიო ვალეკანო-ხიმნასტიკი** 1:1
**გოლები:** 0:1 პაუელი (38), 1:1 პიტი (89)
**გაძევება:** სერხიო ალეხანდრო (76. ხიმნასტიკი), აგანსო (81. რაიო ვალეკანო)

**ალბასეტე-უელვა** 1:1
**გოლები:** 1:0 ვერსა (73), 1:1 ლამასი (79)
**გაძევება:** მარტინესი (63. უელვა)

**ლას პალმასი-ვილიარეალი B** 2:2
**გოლები:** 0:1 პერესი (31), 1:1 სუარესი (41), 2:1 გერერო (45), 2:2 ფალკე (49)
**გაძევება:** ლექუი (36. ლას პალმასი), ტრუიოლსი (77. ვილიარეალი)

**სალამანკა-უესკა** 1:1
**გოლები:** 0:1 კამაჩო (16), 1:1 გოიკოეჩეა (87)

**სელტა-ტენერიფე** 1:0
**გოლი:** 1:0 მიკუ (89)

**ხერესი-კორდობა** 1:3
**გოლები:** 1:0 ბერმეხო (16), 1:1 შარლესი (31), 1:2 შარლესი (36), 1:3 ფლორესი (80)
**გაძევება:** ლომბანი (19. ხერესი)

**კარტახენა-ნუმანსია** 1:0
**გოლი:** 1:0 მორალი (55)

**ელჩე-ბარსელონა B** 2:1
**გოლები:** 0:1 ვ. ვასკესი (30), 1:1 ლინარესი (33), 2:1 ანხელი (72)
**გაძევება:** სანჩესი (56. ბარსელონა), ლინარესი (90. ელჩე)

**ვალიადოლიდი-ბეტისი** 1:0
**გოლი:** 1:0 ხ. გუერა (43)

**პონფერადინა-გრანადა** 0:0
**გაძევება:** სიკერა (84. გრანადა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტა | 25 | 14 | 9 | 2 | 46-20 | 51 |
| 2. რაიო ვალეკ. | 25 | 15 | 5 | 5 | 44-26 | 50 |
| 3. ბეტისი | 25 | 14 | 4 | 7 | 47-27 | 46 |
| 4. გრანადა | 25 | 11 | 8 | 6 | 45-27 | 41 |
| 5. ვილიარ. B | 25 | 12 | 5 | 8 | 32-33 | 41 |
| 6. ხერესი | 25 | 11 | 5 | 9 | 35-35 | 38 |
| 7. კარტახენა | 25 | 11 | 5 | 9 | 34-35 | 38 |
| 8. ხირონა | 25 | 9 | 9 | 7 | 37-32 | 36 |
| 9. ბარსელონა B | 25 | 9 | 8 | 8 | 38-36 | 35 |
| 10. ელჩე | 25 | 8 | 11 | 6 | 25-23 | 35 |
| 11. ნუმანსია | 25 | 10 | 3 | 12 | 35-34 | 33 |
| 12. ალკორკონი | 25 | 10 | 3 | 12 | 33-35 | 33 |
| 13. კორდობა | 25 | 7 | 11 | 7 | 34-33 | 32 |
| 14. ვალიადოლ. | 25 | 9 | 5 | 11 | 32-33 | 32 |
| 15. უესკა | 25 | 6 | 12 | 7 | 18-23 | 30 |
| 16. უელვა | 25 | 5 | 12 | 8 | 22-25 | 27 |
| 17. ლას პალმ. | 25 | 5 | 11 | 9 | 33-48 | 26 |
| 18. ხიმნასტიკი | 25 | 5 | 10 | 10 | 19-26 | 25 |
| 19. სალამანკა | 25 | 7 | 4 | 14 | 27-37 | 25 |
| 20. ალბასეტე | 25 | 5 | 9 | 11 | 18-29 | 24 |
| 21. ტენერიფე | 25 | 5 | 9 | 11 | 25-39 | 24 |
| 22. პონფერად. | 25 | 3 | 10 | 12 | 18-41 | 19 |

**ბომბარდირები:** 17 - ა. გეიხო (გრანადა); 16 - ქუინი (ალკორკონი); 15 - ე. არმენტეროსი (რაიო ვალეკანო); 14 - რ. კასტრო (ბეტისი), ხ. გუერა (ვალიადოლიდი); 13 - დ. როდრიგესი (სელტა); 12 - სორიანო (ბარსელონა).

გერმანია. ბუნდესლიგა XXIII ტური

# კრიზისი არა ისა...

## გერმანია ბაიერნი-დორტმუნდის მოლოდინში გაისუსა

არავითარი კრიზისი - დორტმუნდის „ბორუსია“ ჩემპიონობისკენ მარშირებას აგრძელებს. „შალკესთან“ 0:0-ისა და კაიზერსლაუტერნში 1:1-ის შემდეგ, გერმანიაში იმედი ჰქონდათ, რომ BVB-ს ჩავარდნა დაეწყო, მაგრამ „შავ-ყვითლებმა“ ამ მოსაზრებას „ზანკტ პაულისთან“ დამაჯერებელი გამარჯვებით (2:0) ხაზი გადაუსვეს. აღსანიშნავია, რომ ეს იყო „ბორუსიას“ პირველი საშინაო გამარჯვება 2011 წელს - მორიგი მტკიცებულება იმისა, რომ „ვერცხლის სინი“ წელს ყველა ლოგიკით დორტმუნდში უნდა დაბინავდეს. და მერე რა, რომ მომდევნო ტურში დორტმუნდი მიუნხენში ჩადის - 22 წლის **კევინ გროსკროიტცმა** „პაულისთან“ მატჩის შემდეგ ხმამაღლა და წარბშეუხრელად თქვა, მიუნხენშიც მოვიგებთო.

ჰო, გერმანია ახლა მომდევნო ტურის მოლოდინშია გასუსული, რადგან შაბათს „ბორუსია“ მიუნხენში უნდა ჩავიდეს და თუ ისე მოხდა, როგორც გროსკროიტცი ამბობს, „დორტმუნდის“ ჩემპიონობას წყალი ნაღდად აღარ გაუვა. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ შუა კვირაში „ბაიერნს“ უმძიმესი ბრძოლა ელის მილანის „ინტერთან“.

*„ჩვენ მართლა ძალიან მაგარ ფეხბურთს ვთამაშობთ და არავისი არ უნდა გვეშინოდეს, მათ შორის, არც „ბაიერნის“. ყველამ ვიცით, რომ მიუნხენში წარმატების მიღწევა ურთულესი იქნება, რადგან ბავარიელები რამდენიმე თვეა, ამ მატჩის მოლოდინით ცხოვრობენ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ „ალიანს არენაზეც“ მოვიგებთ,“* - ასე იქადნება გროსკროიტცი. „ბორუსიას“ მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** კი მატჩის შემდეგ თქვა, შვებით ამოვისუნთქე იმის გამო, რომ **ლუკას ბარიოსმა** 307-წუთიანი უგოლო სერია შეწყვიტა და „ბაიერნთან“ თამაშის წინ თავდაჯერება მოემატა, ეს ძალიან მნიშვნელოვანიაო. *„ფაქტია, მიუნხენში ძალიან მოტივირებულები ჩავალთ,“* - დასძინა კლოპმა. და კიდევ: საინტერესო სტატისტიკა. როცა ბარიოსს გოლი გააქვს, „ბორუსია“ ყოველთვის იგებს. ასე მოხდა მიუნხენშიც (2:0 BVB-ს სასარგებლოდ).

დორტმუნდელთა სიამაყე აბსოლუტურად გასაგები და მისაღებია, მაგრამ სხვათა შორის, ამ ტურში „ბაიერნმაც“ ძალიან კარგად ითამაშა და თანაც, „ზანკტ პაულიზე“ ძლიერ მეტოქესთან: რეკორდმაისტერმა პირველ წრეში „მაინცთან“ საკუთარ მოედანზე განცდილი მარცხისთვის შური სრულფასოვნად იძია, მოირგო რა „შტადიონ ამ ბრუხვეგზე“ დამაჯერებელი ანგარიშით - 3:1. თუმცა მიუნხენურ გრანდს ჯერ მაინც ვერ განვიხილავთ „დორტმუნდის“ სერიოზულ კონკურენტად, რადგან 23-ე ტურის შემდეგ რეკორდმაისტერი „ბორუსიას“ 13 ქულით ჩამორჩება და მომდევნო ტურში რომც მოუგოს, სხვაობა მხოლოდ 10-მდე შემცირდება. **ლუის ვან გაალის** გუნდში განსაკუთრებით კარგად **რობენ-მიულერ-რიბერის** ტრიო გამოიყურებოდა. ჰოლანდიელმა ორი საგოლე პასი მიითვალა, მიულერმა გოლი და პასი, რიბერიმ კი უბრალოდ ძალიან კარგად ითამაშა. პირველი გოლი კი **ბასტიან შვაინშტაიგერის** ანგარიშზეა, რომელმაც გოლი თავზე ხელის ცემით იზეიმა. მიზეზი ისაა, რომ შვაინიმ ბუნდესლიგაში „ბაიერნის“ მაისურით 239-ე მატჩში თავით პირველად გაიტანა. ბასტიანს თავით აქამდე მხოლოდ ორი გოლი ჰქონდა გატანილი: 2006 წელს გერმანიის ნაკრებში (2:2 იაპონიასთან) და 2007 წელს გერმანიის ლიგის თასზე (4:1 ვერდერთან). აღსანიშნავია ისიც, რომ შესვენებაზე მიუნხენელთა მეკარე **თომას კრაფტი** შესაცვლელი გახდა და ვან გაალმა კარში **ჰანს-იორგ ბუტი** ჩააყენა - მეკარე, რომელიც პირველ წრეში პირველი ნომერი იყო.

*„ბედნიერი ვარ, რადგან უმნიშვნელოვანესი თამაში მოვიგეთ. რაკი „დორტმუნდმა“ მოიგო, ჩვენც აუცილებლად სამი ქულა უნდა აგველო და კარგია, რომ ეს შევძელით,“* - თქვა მატჩის მერე ვან გაალმა. ლუისს და მის შეგირდებს ახლა გადამწყვეტი კვირა ელით: ოთხშაბათს „ინტერს“ ხვდებიან, შაბათს კი „დორტმუნდს“.

„ჰამბურგს“ დერბის მოგებაც შეძლებია: „ზანკტ პაულისთან“ 0:1-ის შემდეგ HSV-მ „ვერდერი“ მიწასთან გაასწორა (4:0), მაგრამ განა შეიძლება, რომ გაძვალტყავებული ბრემენელების განადგურება დიდ მიღწევად ჩაითვალოს? თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ვერდერი“ სულს ღაფავს და ისეთ ფორმაშია, როგორშიც შარშან ამ დროს ბერლინის „ჰერტა“ იყო. ეს გუნდი კი ამ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში თამაშობს... თვითონ განსაჯეთ: „ვერდერმა“ ბოლო 9 თამაშიდან მხოლოდ ერთის მოგება შეძლო და „მუსიკოსებს“ 48 გოლი აქვთ გაშვებული (უფრო მეტი მხოლოდ „გლადბახს“ აქვს). მიუხედავად ამ ყველაფრისა (სატურნირო ცხრილსაც შეხედეთ), **თომას შააფის** გათავისუფლებაზე არავინ ფიქრობს. ბოსი **კლაუს ალოფსი** შააფს კვლავ ენდობა და ამბობს, რაც ჰამბურგში მოხდა, ყველაფერი მხოლოდ ფეხბურთელების, მთლიანად გუნდის ბრალიაო. *„არ არსებობს მწვრთნელი, რომელსაც ამ გუნდთან ერთად შააფზე უკეთესი შედეგი ექნება. თომასის გაშვებაზე აქ არავინ ფიქრობს. ეს გამორიცხულია!“* - ასეთია ალოფსის მოსაზრება.

„ვერდერისთვის“ სამარცხვინო ის არის, რომ შაბათს ყველაზე ცუდად გამორჩეულმა ფეხბურთელებმა ითამაშეს - მათ, ვინც ბრემენული კლუბი, წესით, კატასტროფისგან უნდა იხსნას. მცველ **პერ მერტეზაკერს** ოთხივე გაშვებულ გოლში მიუძღოდა ბრალი, **ტორსტენ ფრინგსი** და **მარკო მარინი** ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ, **აარონ ჰანტი** და 6.5 მილიონ ევროდ ნაყიდი **მარკო არნაუტოვიჩი** მინდორზე უაზროდ დააბოტებდნენ, დანარჩენები კი უბრალოდ დარბოდნენ. ფაქტი ერთია: თუ ასე გაგრძელდა, აუცილებლად ახდება ის, რასაც შაბათს „ჰამბურგის“ ფანები ყვიროდნენ - გიხაროდეთ ბრემენელებო, გაისად მეორე ბუნდესლიგა გელოდებათო...



ბორუსია (დ)-ზანკტ პაული 2:0. ლუკას ბარიოსმა 307-წუთიანი უგოლო სერია შეწყვიტა

„ვერდერთან“ ერთად საშინელ დღეშია და ასევე მეორე ბუნდესლიგისკენ „მიისწრაფვის“ გერმანიის ექსჩემპიონი „ვოლფსბურგიც“. „მგლები“ ამჯერად ფრაიბურგში დამარცხდნენ (1:2) და ეს იყო „ვოლფსბურგის“ ახალი თავკაცის, **პიერ ლიტბარსკის** მეორე წაგება მეორე თამაშში. აღსანიშნავია, რომ „ვოლფების“ ახალწვეულმა **პატრიკ ჰელმესმა** თავისი პირველი „მგლური“ გოლის გატანა შეძლო, მაგრამ მისი გუნდი მაინც დამარცხდა. „ფრაიბურგიდან“ გამარჯვების გოლი კი **პაპის დემბა სისემ** გაიტანა და ბუნდესლიგაში გოლთა აქტივი 15-მდე გაზარდა. სხვათა შორის, სისე ის კაცია, ვისი შეძენაც „ვოლფსბურგის“ მენეჯერ **დიტერ ჰიონესს** იანვარში ძალიან უნდოდა, მაგრამ მასში 19 მილიონი ევროს დაბანდება დაენანა.

„ჰანოვერმა“ „კაიზერსლაუტერნი“ გაანადგურა (3:0) და მინიმუმ ევროპის ლიგის, მაქსიმუმ კი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებს - მირკო სლომკას გუნდი მეოთხე ადგილზეა. „კიოლნმა“ „ჰოფენჰაიმთან“ ფრეს მიაღწია და „თხები“ გადარჩენისთვის ბრძოლაში სწორ გზას ადგანან. „ნიურნბერგზე“ კი უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ გადარჩა: ფრანკებმა პარასკევს „აინტრახტი“ დაამარცხეს, 32 ქულით მე-9 ადგილზე დაბინავდნენ და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე აღარ ემუქრებათ.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

### მომდევნო ტური

25 თებერვალი. ვოლფსბურგი-ბორუსია (მ).

26 თებერვალი. შალკე-ნიურნბერგი, ჰოფენჰაიმ-მაინცი, კიოლნი-ფრაიბურგი, კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი, ზანკტ პაული-ჰანოვერი, ბაიერნი-ბორუსია (დ).

27 თებერვალი. აინტრახტი-შტუტგარტი, ვერდერი-ლევერკუზენი.

### ნიურნბერგი-აინტრახტი 3:0

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** რ. შეფერი - ხანდლერი, ვოლშაიდი, ვოლფი, პინოლა - სიმონსი - ჰეგელერი (66. მაკი), ექიჩი (89. მინტალი), კოენი, აიგლერი (91. მენდლერი) - შიბერი.

**აინტრახტი (4-2-3-1):** ნიკოლოვი - ფრანცი, ვასოსკი, რუსი, ცაველასი - შვეგლერი, როდე - ოხსი (72. ფენინი), მ. ჰელერი (61. კიოლერი), ჰალილ ალთინთოფი (72. ამანატიდისი) - გეკასი.

**გოლები:** 1:0 შიბერი (67), 2:0 მაკი (87), 3:0 კოენი (90)

**გაფრთხილება:** კოენი, პინოლა - ფრანცი, ოხსი

**კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 13-21; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 16(7)-3(1); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 40 853

### მაინცი-ბაიერნი 1:3

**მაინცი (4-2-3-1):** ჰ. მიულერი - ზაბავნიკი, ნოვესკი, კირხჰოფი, ფუხსი - პოლანსკი (85. ფათი), კალიჯური (63. სოტო) - შიურლე, ალაგუი, რისსე - შლიშკოვიჩი (55. ჰოლტბი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** კრაფტი (46. ბუტი) - ლამი, ტიმოშჩუკი, ბადშტუბერი (64. კროოსი), პრანიჩი - შვაინშტაიგერი, ლუის გუსტავო - რობენი, თ. მიულერი (80. ბრენო), რიბერი - გომესი.

**გოლები:** 0:1 შვაინშტაიგერი (9), 0:2 თ. მიულერი (50), 0:3 გომესი (77), 1:3 ალაგუი (84)

**გაფრთხილება:** ფუხსი, ჰოლტბი - ბადშტუბერი

**კუთხური:** 4-11; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 18(7)-19(9); **ბურთის ფლობა:** 45%-56%.

**მაყურებელი:** 20 300

### ჰოფენჰაიმი-კიოლნი 1:1

**ჰოფენჰაიმი (4-1-2-2-1):** შტარკე - ბეკი, ვორსა, კომპერი, იბერტსბერგერი - ალაბა - რუდი (90. სიგურდსონი), სალიჰოვიჩი - ვუკჩევიჩი (76. მლაპა), ბაბელი - იბიშევიჩი.

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი - ბრეჩკო, ჟერომელი, მოჰამადი (88. პეცონი), აიხნერი - ლანიგი, პეტიტი - პეჟკო (73. ფრაისი), პოდოლსკი, კლემენსი (86. ჟაჟალო) - ნოვაკოვიჩი.

**გოლები:** 1:0 ნოვაკოვიჩი (48-საკ. კარში), 1:1 მოჰამადი (69)

**გაფრთხილება:** ალაბა, ბეკი - ბრეჩკო, პოდოლსკი, პეტიტი, ჟერომელი, რენზინგი

**კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 19-21; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 17(4)-8(2); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 30 000

### ბორუსია (დ)-ზტ. პაული 2:0

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიუჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი (85. შტიპერმანი) - გიოტცე (77. და სილვა), ლევანდოვსკი (87. ფოილნერი), გროსკროიტცი - ბარიოსი.

**ზტ. პაული (4-1-4-1):** კესლერი - თორანდტი, მორენა, გიუნეში, ოჩიპკა (12. ფოლცი) - მ. ლემანი - ჰენინგსი, ტაკი, სუკუტა-პასუ (46. ბარტელსი), კრუსე (70. ბრუნსი) - ებერსი.

**გოლები:** 1:0 ბარიოსი (39), 2:0 გიუნეში (49-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** ლევანდოვსკი - თორანდტი, ბრუნსი

**კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 25(12)-3(1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 80 720

### ფრაიბურგი-ვოლფსბურგი 2:1

**ფრაიბურგი (4-1-4-1):** ბაუმანი - მუიჯა, ბართი, ბუტშერი, ბასტიანსი - მაკიადი - პუცილა, ფლუმი (85. ტოპრაკი), როზენტალი (41. რაიზინგერი), ნიკუ - სისე (78. იანო).

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ჰიტცი - პეკარიკი, რიტერი, ა. ფრიდრიხი, მ. შეფერი - სისერო, პოლაკი (80. კოო) - ჰასებე, დიეგო, თუნჯაი (46. დეჟაგა) - ჰელმესი (65. მბოკანი).

**გოლები:** 0:1 ჰელმესი (28), 1:1 რაიზინგერი (43), 2:1 სისე (70)

**გაფრთხილება:** მუიჯა, ბართი, ბუტშერი

**კუთხური:** 7-9; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 14(5)-18(8); **ბურთის ფლობა:** 42%-48%.

**მაყურებელი:** 19 200

### ჰამბურგი-ვერდერი 4:0

**ჰამბურგი (4-2-2-2):** ფ. როსტი - დემელი, კაჩარი, მატიისენი, აოგო - ვესტერმანი, ზე რობერტო - პიტროიპა (90. ტეშე), სონი (83. ბენ-ჰატირა) - გერერო, პეტრიჩი.

**ვერდერი (4-2-3-1):** მილიტცი - ფ. შმიდტი, მერტეზაკერი, პრიოდლი, სილვესტრი - ფრიტცი, ფრინგსი - ბარგფრედე, ჰანტი (65. ბოროვსკი), მარინი - არნაუტოვიჩი (65. ვაგნერი).

**გოლები:** 1:0 პეტრიჩი (42), 2:0 გერერო (64), 3:0 გერერო (79), 4:0 ბენ-ჰატირა (87)

**გაფრთხილება:** აოგო, სონი, ვესტერმანი - არნაუტოვიჩი, ფრინგსი, დ. შმიდტი

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 21-19; **თამაშგარე:** 9-3; **კარში დარტყმა:** 14(6)-8(2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 54 121

### ჰანოვერი-კაიზერსლაუტერნი 3:0

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი - შტინდლი, პინტუ (70. ლალა) - შლაუდრაფი (86. შტოპელკამპი), რაუში - აბდელაუ (76. ჩაჰედი), ია კონანი.

**კაიზერსლაუტერნი (4-2-3-1):** ზიპელი - დიკი, ამედიკი, როდნი, იესენი - ტიფერტი, პეცოსი (74. ნემეცი) - ილიჩევიჩი (74. ვალხი), მორავეკი (79. დე ვიტი), ჰლუშეკი - ლაკიჩი.

**გოლები:** 1:0 შლაუდრაფი (17), 2:0 აბდელაუ (45), 3:0 შლაუდრაფი (57)

**გაფრთხილება:** პინტუ - დიკი

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 12(5)-10(2); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 35 412

### ლევერკუზენი-შტუტგარტი 4:2

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ადლერი - შვააბი (59. დერდიოკი), რაინარტცი, ჰიიპია, კადლეცი - ვიდალი (62. ლ. ბენდერი), როლფესი (65. ბალაკი) - სემი, რენატო, კასტრო - კისლინგი.

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - ბულარუზი, ტასკი, დელპიერი, მოლინარო - ტრეში, კუზმანოვიჩი - ჰარნიკი (76. ნიდერმაიერი), ჰაინალი (84. შიპლოკი), ოკაზაკი (66. გებჰარდტი) - კაკაუ.

**გოლები:** 1:0 კისლინგი (6), 1:1 ჰარნიკი (16), 2:1 კასტრო (41), 2:2 კუზმანოვიჩი (52), 3:2 რაინარტცი (81), 4:2 კისლინგი (91)

**გაფრთხილება:** კადლეცი - ოკაზაკი, ნიდერმაიერი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 18(7)-11(4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 28 851

### ბორუსია (მ)-შალკე 2:1

**ბორუსია მ. (4-2-2-1-1):** ბეილი - ლეველსი, შტრანცლი, დანტე, დემსი - ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი (89. მ. ფინკი) - ჰერმანი (80. მატმური), არანგო - როისი (85. მარქსი) - იდრისუ.

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი (32. მატიპი), შმიტცი - კლუგე (46. შარპეი), ანანი - ფარფანი, ხურადო (75. დრაქსლერი) - რაული, ჰუნტელაარი.

**გოლები:** 0:1 კლუგე (2), 1:1 როისი (12), 2:1 იდრისუ (23)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 3-0; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 10-7; **კარში დარტყმა:** 13(7)-4(1); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 51 592

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 23 | 17 | 4 | 2 | 49-13 | 55 |
| 2. ლევერკუზ. | 23 | 13 | 6 | 4 | 47-32 | 45 |
| 3. ბაიერნი | 23 | 12 | 6 | 5 | 49-27 | 42 |
| 4. ჰანოვერი | 23 | 13 | 2 | 8 | 33-31 | 41 |
| 5. მაინცი | 23 | 12 | 1 | 10 | 35-29 | 37 |
| 6. ფრაიბურგი | 23 | 11 | 4 | 8 | 31-30 | 37 |
| 7. ჰამბურგი | 23 | 11 | 3 | 9 | 34-31 | 36 |
| 8. ნიურნბერგი | 23 | 10 | 5 | 8 | 33-31 | 35 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 23 | 8 | 6 | 9 | 40-33 | 33 |
| 10. შალკე | 23 | 8 | 5 | 10 | 28-28 | 29 |
| 11. ზტ. პაული | 23 | 8 | 4 | 11 | 27-37 | 28 |
| 12. აინტრახტი | 23 | 8 | 3 | 12 | 24-32 | 27 |
| 13. კიოლნი | 23 | 7 | 5 | 11 | 30-42 | 26 |
| 14. ვერდერი | 23 | 6 | 6 | 11 | 28-48 | 24 |
| 15. ვოლფსბ. | 23 | 5 | 8 | 10 | 27-33 | 23 |
| 16. კაიზერსლ. | 23 | 6 | 5 | 12 | 32-41 | 23 |
| 17. შტუტგარტი | 23 | 5 | 4 | 14 | 40-47 | 19 |
| 18. ბორუსია (მ) | 23 | 5 | 4 | 14 | 34-57 | 19 |

**ბომბარდირები:** 18 - გომესი (ბაიერნი); 16 - სისე (ფრაიბურგი); 14 - გეკასი (აინტრახტი); 11 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), ია კონანი (ჰანოვერი); 10 - ბარიოსი (ბორუსია დ), რაული (შალკე), შიურლე (მაინცი).

### II ბუნდესლიგა

XXIII ტური

**ბოხუმი-ფორტუნა 2:0**

**გოლები:** 1:0 მალტრიტცი (24-პენ), 2:0 ქორქმაზი (58)

**მიუნხენ 1860-აუგსბურგი 0:2**

**გოლები:** 0:1 თურკი (12), 0:2 დე იონგი (60)

**ინგოლშტადტი-ფიურტი 0:2**

**გოლები:** 0:1 სარარერი (15), 0:2 ჰაასი (83)

**პადერბორნი-ალემანია 1:3**

**გოლები:** 0:1 შტიბერი (7), 1:1 იანსენი (10), 1:2 აუერი (29), 1:3 რაჯაბალი-ფარდი (61)

**დუისბურგი-უნიონი 0:1**

**გოლი:** 0:1 ედე (35)

**ფრანკფურტი-კარლსრუე 1:2**

**გოლები:** 0:1 გროსი (11), 1:1 მიოლდერსი (11), 1:2 შტადლერი (81)

**ოსნაბრიუკი-ობერჰაუზენი 3:1**

**გოლები:** 1:0 კასტრატი (10), 2:0 კასტრატი (14), 2:1 კიონიგი (19), 3:1 ანდერსენი (69)

**აუე-არმინია 3:0**

**გოლები:** 1:0 პაულუსი (2), 2:0 ჰენზელი (17), 3:0 კლინგბაილი (67)

**ჰერტა-კოტბუსი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 22 | 14 | 3 | 5 | 42-21 | 45 |
| 2. აუგსბურგი | 23 | 13 | 5 | 5 | 41-18 | 44 |
| 3. ბოხუმი | 23 | 14 | 2 | 7 | 33-25 | 44 |
| 4. აუე | 23 | 13 | 4 | 6 | 28-25 | 43 |
| 5. ფიურტი | 23 | 12 | 6 | 5 | 34-18 | 42 |
| 6. დუისბურგი | 23 | 11 | 6 | 6 | 37-21 | 39 |
| 7. კოტბუსი | 22 | 10 | 5 | 7 | 42-34 | 35 |
| 8. ალემანია | 23 | 9 | 8 | 6 | 40-35 | 35 |
| 9. ფრანკფურტი | 23 | 10 | 3 | 10 | 33-32 | 33 |
| 10. ფორტუნა | 23 | 10 | 2 | 11 | 29-27 | 32 |
| 11. მიუნხენ 1860 | 23 | 8 | 8 | 7 | 26-25 | 30 |
| 12. უნიონი | 23 | 8 | 5 | 10 | 26-30 | 29 |
| 13. პადერბორნი | 23 | 8 | 4 | 11 | 23-29 | 28 |
| 14. ოსნაბრიუკი | 23 | 7 | 4 | 12 | 33-42 | 25 |
| 15. კარლსრუე | 23 | 6 | 5 | 12 | 30-49 | 23 |
| 16. ობერჰაუზ. | 23 | 6 | 4 | 13 | 20-41 | 22 |
| 17. ინგოლშტ. | 23 | 4 | 5 | 14 | 23-37 | 17 |
| 18. არმინია | 23 | 2 | 3 | 18 | 17-48 | 9 |

* მიუნხენ 1860-ს დაკლებული აქვს ორი ქულა

**ბომბარდირები:** 15 – აუერი (ალემანია); 14 – პეტერსენი (კოტბუსი); 13 – მიოლდერსი (ფრანკფურტი); 10 – ლაუთი (მიუნხენ 1860), ნანდო რაფაელი (აუგსბურგი).

### III ბუნდესლიგა

ბურგჰაუზენი-აალენი 3:2, ოფენბახი-ალენი 1:2, ბრაუნშვაიგი-რეგენსბურგი 2:0, კარლ ცაისი-ვეენი 2:0, ჰაიდენჰაიმ-ბაიერნი II 3:1, შტუტგარტი-ზაარბრიუკენი 2:2, ვერდერი II-კობლენცი 0:2, უნტერჰახინგი-ჰანზა 3:0, ბაბელსბერგი-ერფურტი 1:1, დრეზდენი-ზანდჰაუზენი 3:1.

### თურქეთი

სუპერლიგა. XXII ტური

**ესქიშეჰირი-სივასი 2:1**

**გოლები:** 1:0 აზბაირაქთარი (16), 1:1 ოლივეირა (19-საკ. კარში), 2:1 პელე (90)

**კასიმფაშა-ანკარაგიუჯუ 2:1**

**გოლები:** 1:0 რობლედო (66), 2:0 ჩოლაკი (73), 2:1 თექე (83-პენ)

**ბურსა-გაზიანთეფი 1:4**

**გოლები:** 0:1 სანტოს ვაგნერი (23), 0:2 აიჰანი (31), 1:2 ნოუნკეუ (34-საკ. კარში), 1:3 თოსუნი (62), 1:4 თოსუნი (75)

**გენჩლერბირლიგი-ქარაბიუქი 2:3**

**გოლები:** 1:0 მუნუნგა (17), 1:1 პარლაკი (22-პენ), 1:2 ოზდინი (49), 2:2 იოზთექინი (89), 2:3 პარლაკი (90)

**გალათასარაი-ბუკა 1:0**

**გოლი:** 1:0 კულიო (77)

**ქაისერი-ანტალია 2:0**

**გოლები:** 1:0 კუიოვიჩი (90), 2:0 კუიოვიჩი (90)

**ბეშიქთაში-ფენერბაჰჩე 2:4**

**გოლები:** 0:1 უიზალი (5-საკ. კარში), 1:1 დაგი (44), 2:1 თორამანი (50), 2:2 ალექსი (65-პენ), 2:3 ალექსი (72), 2:4 ალექსი (75)

**კონია-ბუიუქშეჰირი 0:0**

**მანისა-ტრაბზონი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 22 | 15 | 3 | 4 | 52-24 | 48 |
| 2. ტრაბზონი | 21 | 14 | 5 | 2 | 44-15 | 47 |
| 3. ბურსა | 22 | 13 | 6 | 3 | 38-18 | 45 |
| 4. ქაისერი | 22 | 12 | 6 | 4 | 29-17 | 42 |
| 5. გაზიანთეფი | 22 | 10 | 7 | 5 | 24-17 | 37 |
| 6. ბეშიქთაში | 22 | 9 | 5 | 8 | 34-27 | 32 |
| 7. ესქიშეჰირი | 22 | 8 | 8 | 6 | 24-23 | 32 |
| 8. გალათასარ. | 22 | 10 | 2 | 10 | 25-26 | 32 |
| 9. მანისა | 21 | 10 | 1 | 10 | 34-32 | 31 |
| 10. ბუიუქშეჰ.ი | 22 | 9 | 3 | 10 | 27-24 | 30 |
| 11. ქარაბიუქი | 22 | 8 | 5 | 9 | 35-37 | 29 |
| 12. ანკარაგიუ. | 22 | 6 | 7 | 9 | 29-37 | 25 |
| 13. ანტალია | 22 | 6 | 7 | 9 | 21-30 | 25 |
| 14. გენჩლერბ. | 22 | 6 | 6 | 10 | 21-33 | 24 |
| 15. ბუკა | 22 | 4 | 6 | 12 | 17-32 | 18 |
| 16. კონია | 22 | 3 | 7 | 12 | 19-33 | 16 |
| 17. სივასი | 22 | 3 | 7 | 12 | 22-41 | 16 |
| 18. კასიმფაშა | 22 | 3 | 5 | 14 | 20-49 | 14 |

**ბომბარდირები:** 13 - ემენიკე (ქარაბიუქი), ალექსი (ფენერბაჰჩე); 12 - ნიანგი (ფენერბაჰჩე); 11 - ილმაზი (ტრაბზონი); 10 - სიმპსონი (მანისა).

# ქართული სპორტი

## ინგლისი

გადადებული მატჩი

ვესტ ბრომვიჩი-უიგანი 1:1

### ჩემპიონშიპი

XXXII ტური

ლესტერი-ბრისტოლი 2:1
კრ. პალასი-შეფილდი 1:0
იფსვიჩი-ჰალი 1:1
ლიდსი-ნორვიჩი 2:2
მილუოლი-მიდლსბრო 2:3
ნოტინგემი-კარდიფი 2:1
პორტსმუთი-ბარნსლი 1:0
პრესტონი-ქუინზ პარკი 1:1
რედინგი-უოტფორდი 1:1
სკანთორპი-დერბი 0:0
სუონსი-დონკასტერი 3:0

### I ლიგა

XXXIII ტური

ბორნმუთი-ჰადერსფილდი 1:1
როვერსი-ოლდჰემი 1:0
ჩარლტონი-ექსეტერი 1:3
კოლჩესტერი-უოლსოლი 2:0
ჰარტლპული-მილტონი 0:1
პიტერბრო-ტრანმერი 2:1
სუინდონი-კარლაილი 0:1

### II ლიგა

XXXIII ტური

პორტ ვეილი-ბრედფორდი 2:1
ჩელტენემი-ბარნეტი 1:1
კრიუ-სტივენეიჯი 0:1
ჯილინგემი-ბერი 1:1
ჰერეფორდი-ბარტონი 0:0
ლინკოლნი-ჩესტერფილდი 0:2
მორეკამბი-ოქსფორდი 0:3
ნორთჰემპტონი-ალდერშოტი 1:1
სტოკპორტი-მაკლსფილდი 1:4
ტორკი-საუთენდი 1:1
უიკომბი-აკრინგტონი 1:2

### კონფერენსი

XXXIII ტური

კემბრიჯი-კიდერმინსტერი 1:2
ნიუპორტი-ლუტონი 1:1
ალტრინჩემი-კეტერინგი 3:2
ბაროუ-მენსფილდი 2:2
ისტბურნი-ჰისტონი 2:2
ფლიტვუდი-გრიმსბი 3:0
ფორესტ გრინი-დარლინგტონი 1:1
ჰეიესი-საუთპორტი 1:0
ტამუორტი-უიმბლდონი 2:5
რექსამი-გეიტსჰედი 2:7

## ინგლისის თასი

### 1/16 ფინალი

გადათამაშება

ჩელსი-ევერტონი 1:1 პენ. 3:4
მანჩესტერ სიტი-ნოტსი 5:0

### 1/8 ფინალი

ბირმინგემი-ვენსდი 3:0
სტოკი-ბრაიტონი 3:0
მანჩესტერ იუნ-კროული 1:0
ფულჰემი-ბოლტონი 0:1
ლეიტონი-არსენალი 1:1
ვესტ ჰემი-ბარნლი დღეს

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXI ტური

ლაიპციგი-კილი 1:5
ვილჰელმსჰავენი-ჰამბურგი A 3:1
პლაუენი-ბრაუნშვაიგი A 3:1
ლიუბეკი-ჰალეშერი 3:2
კოტბუსი A-ჰაველსე 1:2
ვოლფსბურგი A-ჰანოვერი A 1:0
ობერნოილანდი-მაგდებურგი 0:0
მოისელვიცი-ხემნიცი 0:4

### რეგიონალლიგა (სამ)

XVIII ტური

მემინგენი-შტ. კიკერსი 1:1
ფიურტი A-ვეენი A 2:0
კასელი-ფრაიბურგი A 3:1
პფულენდორფი-დარმშტადტი 0:0
ვორმატია-ნიურნბერგი A 0:1

### რეგიონალლიგა (დას)

XXI ტური

გლადბახი A-ბოხუმი A 3:0
ელვერსბერგი-ვიდენბრიუკი 2:3
ფორტუნა A-ტრირი 3:1
ჰომბურგი-ლევერკუზენი A 1:3
კაიზერი A-მაინცი A 0:1
მუნსტერი-არმინია A 2:0
ფერლი-ლოტე 0:0
ვუპერტალი-დორტმუნდი A 3:1
კიოლნი A-შალკე A 1:1

## ბელგია

### II დივიზიონი

XXV ტური

მონსი-ანტვერპენი 1:0
რუზელარე-ბორინაჟი 0:0
ტურნე-ჰაისტი 3:1
ტუბიზი-ოსტენდე 2:1
ტურნჰაუტი-ბრიუსელი 5:2
ვაასლანდი-დენდერი 3:1
ვიზე-ჰევერლე 1:1
რუპელი-სტანდარდი (ვ) 2:2
ტიენენი-ლომელი 0:1

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XVIII ტური

ესტორილი-ოლივეირენსე 2:0
ავეში-მორეირენსე 2:2
ფრეამუნდე-კოვილია 5:1
ლეიქსოესი-ჟილ ვისენტე 2:0
არუკა-ბელენენსეში 1:1
ფატიმა-პენაფიელი 1:0
ტროფენსე-ვარზიმი 2:1
სანტა კლარა-ფეირენსე 2:1

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XXIV ტური

კოუდენბიითი-რეითი 0:3
მორტონი-ქუინი 0:4
სტირლინგი-დანდი 0:1
პარტიკი-ფალკირკი გადაიდო
დანფერმლაინი-როსი გადაიდო

### II დივიზიონი

XXV ტური

ეირდრი-ალოა 0:2
ისტ ფაიფი-ბრეჩინი 0:0
ლივინგსტონი-სტენჰაუზმუირი 2:1
პიტერჰედი-დამბარტონი 1:2
ფორფარი-ეირი გადაიდო

### III დივიზიონი

XXV ტური

ანანი-ალბიონი 2:2
ისტ სტირლინგი-სტრანრაერი 0:2
ელჯინი-ქუინზ პარკი 0:1
მონროუზი-ბერუიკი 1:1
არბროთი-კლაიდი გადაიდო

## ავსტრია

XXI ტური

რიდი-ლინცერი 2:0
ავსტრია-ვინერი 4:0
მატერსბურგი-შტურმი 1:1
ზალცბურგი-რაპიდი 1:1
კაპფენბერგი-ტიროლი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რიდი | 21 | 13 | 1 | 7 | 32-20 | 40 |
| 2. ავსტრია | 21 | 11 | 5 | 5 | 35-19 | 38 |
| 3. შტურმი | 21 | 11 | 4 | 6 | 40-20 | 37 |
| 4. ზალცბურგი | 21 | 9 | 8 | 4 | 24-15 | 35 |
| 5. რაპიდი | 21 | 8 | 7 | 6 | 32-26 | 31 |
| 6. ვინერი | 21 | 9 | 4 | 8 | 27-29 | 31 |
| 7. ტიროლი | 20 | 7 | 6 | 7 | 26-23 | 27 |
| 8. კაპფენბერგი | 20 | 6 | 5 | 9 | 26-35 | 23 |
| 9. მატერსბურგი | 21 | 4 | 4 | 13 | 17-36 | 16 |
| 10. ლინცერი | 21 | 2 | 4 | 15 | 14-50 | 10 |

## კვიპროსი

XXII ტური

აეპ-ანორთოსისი 1:2
აეკ-აელ 0:0
ეთნიკოსი-ოლიმპიაკოსი 0:1
აპოლონი-ერმისი 1:1
დოქსა-აპოპ 4:3
ალკი-აპოელ 2:1
ომონია-ენოსისი დღეს

## ფინეთი

### ლიგის თასი

ტამპერე-ოულუ 2:1
როვანიემი-იარო 2:5

## საბერძნეთი

XXIII ტური

ასტერასი-კერკირა 0:2
კავალა-პანსერაიკოსი 0:0
ოლიმპიაკოსი (პ)-პანათინაიკოსი 2:1
ოლიმპიაკოსი (ვ)-ირაკლისი 1:1
ატრომიტოსი-არისი 0:0
აეკ-პანიონიოსი 1:1
ქსანთი-ლარისა 1:1
პაოკ-ერგოტელისი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკ (პ) | 23 | 20 | 3 | 0 | 44-11 | 60 |
| 2. პანათინაიკოს | 23 | 15 | 5 | 3 | 38-17 | 50 |
| 3. აეკ | 23 | 10 | 4 | 9 | 34-27 | 34 |
| 4. პაოკ | 22 | 10 | 4 | 8 | 23-20 | 34 |
| 5. ოლიმპიაკ (ვ) | 23 | 7 | 11 | 5 | 25-21 | 32 |
| 6. კავალა | 23 | 8 | 8 | 7 | 24-21 | 32 |
| 7. ერგოტელისი | 22 | 9 | 4 | 9 | 21-25 | 31 |
| 8. კერკირა | 23 | 8 | 6 | 9 | 22-25 | 30 |
| 9. არისი | 23 | 8 | 5 | 10 | 14-19 | 29 |
| 10. ქსანთი | 23 | 7 | 7 | 9 | 22-25 | 28 |
| 11. ირაკლისი | 23 | 6 | 10 | 7 | 18-22 | 28 |
| 12. ატრომიტოსი | 23 | 6 | 9 | 8 | 22-26 | 27 |
| 13. პანიონიოსი | 23 | 6 | 7 | 10 | 15-25 | 25 |
| 14. ასტერასი | 23 | 4 | 10 | 9 | 14-22 | 22 |
| 15. ლარისა | 23 | 4 | 7 | 12 | 17-29 | 19 |
| 16. პანსერაიკოსი | 23 | 4 | 5 | 14 | 18-36 | 17 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

ვერია-პიერიკოსი 1:0; ანაგენისი-აგროტიკოსი 2:0; დოქსა-ტრასივულოსი 2:0; იონიკოსი-ეთნიკოსი (პ) 1:0; კალითეა-ილუპოლი 1:1; ოფი-ტრიკალა 1:1; პანთრაკიკოსი-დიაგორასი 0:0; პანაიტოლიკოსი-იანინა დღეს; ეთნიკოსი (ა)-ლევადია დღეს.

## უელსი

I ტური

აბერისტვიტი-ბალა 1:2
კარმარტენი-ეირბასი 1:2
ნიუთაუნი-ჰევერფორდვესტი 4:4
ტნს-პორტ ტელბოტი 1:1
ნითი-ლანელი 0:4
პრესტატინი-ბანგორი 1:2

## შვეიცარია

XXI ტური

ქსამაქსი-გრასჰოპერსი 0:0
ციურიხი-სტ. გალენი 3:1
ბაზელი-სიონი 1:0
ბელინცონა-ლუცერნი 2:0
თუნი-იანგ ბოიზი 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 21 | 12 | 5 | 4 | 44-28 | 41 |
| 2. ციურიხი | 21 | 10 | 7 | 4 | 41-30 | 37 |
| 3. ლუცერნი | 21 | 10 | 6 | 5 | 44-29 | 36 |
| 4. იანგ ბოიზი | 21 | 8 | 8 | 5 | 34-29 | 32 |
| 5. სიონი | 21 | 8 | 6 | 7 | 30-20 | 30 |
| 6. თუნი | 21 | 4 | 13 | 4 | 27-25 | 25 |
| 7. ქსამაქსი | 21 | 6 | 4 | 11 | 29-40 | 22 |
| 8. ბელინცონა | 21 | 5 | 7 | 9 | 28-42 | 22 |
| 9. გრასჰოპერსი | 21 | 4 | 8 | 9 | 23-32 | 20 |
| 10. სტ. გალენი | 21 | 5 | 2 | 14 | 20-45 | 17 |

### ჩელენჯლიგა

XVI ტური

კრინსი-სერვეტი 1:1; ლოზანა-ვილი 2:0; ლოკარნო-ვოლენი 0:0; შაფჰაუზენი-დელემონი 0:1; ვინტერტური-კიასო 1:2; არაუ-ბილი 5:3; ნიონე-ივერდონი 1:0; ლუგანო-ვადუცი დღეს.

## თურქეთი

### II დივიზიონი

XXII ტური

ბოლუ-სამსუნი 0:1
ახისარი-ერჩიესი 0:2
ბბ გაზიანთეფი-გიუნგორენი 0:1
ქართალი-დიარბაქირი 1:0
მერსინი-ქარსიაკა 4:0
რიზე-ორდუ 3:0
ალთაი-დენიზლი 0:2
ადანა-გირესუნი დღეს

## ისრაელი

XXIII ტური

მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (ჰ) 0:1
ბეითარი-აშდოდი 0:0
ბნეი შახნინი-ბნეი იეჰუდა 0:1
მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (აშ) 3:0
მაკაბი (ფ-თ)-ჰაპოელი (რ-გ) 4:1
ჰაპოელი (ბ-შ)-ჰაპოელი (თ-ა) 0:3
ირონი-ჰაპოელი (აკ) 2:2
მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ფ-თ) დღეს

## მოლდოვა

XXIII ტური

ცსკა-დინამო 2:0
ისკრა-დაჩა 1:2
ზიმბრუ-აკადემიკა 1:0
ვიიტორული-კოსტულენი 2:0
ტირასპოლი-ნისტრუ 4:0
ოლიმპია-გაგაუზია დღეს
სფინტული-შერიფი დღეს

## ჩრ. ირლანდია

XXVIII ტური

ბილამენა-კოლრეინი 1:1
კლიფტონვილი-დუნგანონი 3:2
ლინფილდი-ნიური 1:1
ლისბურნი-დონეგალი 3:1
პორტდაუნი-გლენავონი 1:1

## აზერბაიჯანი

XXI ტური

თურანი-ბაქო 0:1
სიმურგი-ნეფთჩი 0:3
მოიკ-ინტერი 0:4
განჯა-ყარაბახი 0:1
მუგანი-ქაბალა 1:0
ხაზარი-აზალ 2:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნეფთჩი | 21 | 13 | 6 | 2 | 39-9 | 45 |
| 2. ხაზარი | 21 | 13 | 5 | 3 | 25-11 | 44 |
| 3. ინტერი | 21 | 12 | 4 | 5 | 23-13 | 40 |
| 4. ყარაბახი | 21 | 12 | 3 | 6 | 25-13 | 39 |
| 5. აზალ | 21 | 9 | 8 | 4 | 27-16 | 35 |
| 6. ბაქო | 21 | 9 | 5 | 7 | 28-21 | 32 |
| 7. ქაბალა | 21 | 8 | 6 | 7 | 19-14 | 30 |
| 8. მუგანი | 21 | 6 | 6 | 9 | 13-23 | 24 |
| 9. განჯა | 21 | 5 | 8 | 8 | 23-27 | 23 |
| 10. თურანი | 21 | 3 | 6 | 12 | 16-30 | 15 |
| 11. სიმურგი | 21 | 2 | 6 | 13 | 12-33 | 12 |
| 12. მოიკ | 21 | 1 | 3 | 17 | 6-46 | 6 |

## არგენტინა

II ტური

ხიმნასია (ლ-პ)-ოლიმპო 1:3
ბანფილდი-კოლონი 1:1
არგ. ხუნიორსი-ინდეპენდიენტე 0:0
ნიუელსი-ლანუსი 2:1
რასინგი-ბოკა 0:1
ველესი-ოლ ბოისი 1:2
კილმესი-ესტუდიანტესი 0:1
რივერი-ურაკანი გვ. დასრულდა
არსენალი-ტიგრე დღეს

## ბრაზილია

### პაულისტა

IX ტური

ამერიკანა-იტუანო 2:0
გრემიო-ოესტე 0:2
სანტო ანდრე-პაულისტა 0:4
სან კაეტანო-პორტუგეზა 1:0
სან პაულუ-ბრაგანტინო 4:0
კორინთიანსი-სანტოსი 3:1
მოჟი მირიმი-პალმეირასი 0:0
მირასოლი-ლინენსე 2:0
პონტე პრეტა-ბოტაფოგო 3:1
სან ბერნანდო-ნოროესტე 2:0

## ჩილე

IV ტური

ატ. ნუბლენსე-ო'ჰიგინსი 2:3
ლა სერენა-აუდაქსი 2:3
უონდერერსი-პალესტინო 1:1
კობრესალი-ლა კალერა 3:1
ს. მორნინგი-დეპ. იკიკე 3:1
უნ. კონსეპსიონი-კობრელოა 0:1
უნ. კატოლიკა-უაჩიპატო 2:1
სან ფელიპე-კოლო კოლო 2:0
უნ. დე ჩილე-უნ. ესპან გვ. დასრულდა

## კოლუმბია

III ტური

დეპ. ტოლიმა-ატ. უილა 3:1
მილიონარიოსი-ონსე კალდასი 0:2
ატ. ნასიონალი-ამერიკა 3:1
ჩიკო-იტაგუი 1:2
დეპ. კინდიო-ატ. ხუნიორი 1:1
დეპ. პერეირა-სანტა ფე 1:1
ენვიგადო-ლა ეკვიდადი 0:0
რეალ კარტახენა-კუკუტა 1:1
დ. კალი-ინდეპენდიენტე გვ. დასრულდა

## ეკვადორი

V ტური

ინდეპენდიენტე-ლიგა დე ლოხა 1:0
დეპ. კიტო-ესპოლი 3:2
ლდუ კიტო-მანტა 5:0
იმბაბურა-ელ ნასიონალი 0:1
ოლმედო-დეპ. კუენსა 0:0

## პარაგვაი

V ტური

ნასიონალი-ხენერალი 3:1
3 დე ფებრერო-სერო პორტენიო 1:2
ინდეპენდიენტე-სოლ დე ამერიკა 1:1
რუბიო ნუ-ტაკუარი 0:1
ოლიმპია-ლუკენიო გვ. დასრულდა

## პერუ

II ტური

სპორტი-ინტი გასი 2:2
კოლეგიო-უნივერსიტარიო 1:1
დ. სან მარტინი-სესარ ვალიეხო 2:1
ალ. ლიმა-ალ. ატლეტიკო 1:0
სპორტ ბოისი-სპ. კრისტალი 0:1
მელგარი-სენსიანო 0:4
ლეონი-დ. კობრესოლი 0:1
ხუან აურიჩი-უნიონი 3:2

## ურუგვაი

III ტური

სენტრალი-რივერ პლეიტი 2:0
პენიაროლი-ფენიქსი 1:1
ტაკუარემბო-მონტევიდეო 2:1
რასინგი-ლივერპული 1:1
სერო-დეფენსორი 2:1
დანუბიო-მირამარი 5:2
რამპლა-ბელა ვისტა 1:0

## ვენესუელა

VI ტური

კარონი-ესტუდიანტესი 1:1
ატლეტიკო-დეპ. ტაჩირა 3:2
სამორა-კარაბობო 2:2
ელ ვიხია-ანსოატეგი 1:1
არაგუა-რეალ ესპორი 0:1
სულია-დეპ. პეტარე 1:0
კარაკასი-ტრუხილიანოსი 1:0
დეპ. ლარა-მინეროსი 2:2
მონაგას-იარაკუიანოს 4:1

## მექსიკა

VII ტური

ტეკოსი-ატლანტე 0:1
სან ლუისი-პუმასი 0:1
კრუს ასული-ატლასი 2:1
მონტერეი-ტიგრესი 0:0
გვადალახარა-პაჩუკა 4:1
ს. ლაგუნა-კერეტარო 0:2
პუებლა-ხაგუარესი 1:0
ტოლუკა-ნეკაქსა 2:3
ამერიკა-მორელია გვ. დასრულდა

## ავსტრალია

XXII ტური

სენტრალი-ბრისბენი 0:2
გოლდ კოუსტი-მელბურნი ვ 1:0

## ამხანაგური მატჩები

აიკ-სირიანსკა 2:0
ტრელებორგი-ჰალმსტადი 3:0
გიოტებორგი-ლანდსკრონა 0:2
ჰამარბიუ-გეფლე 1:0
მიონდალენი-ნოტოდენი 0:0
ბრომაპოიკარნა-იურგორდენი 2:2
ოდენსე-ჰელსინგბორგი 1:3
უიპესტი-კოშიცე 3:0
ლოვ ჰამი-ბრანი 1:1
ვისლა-დაუგავა 4:1
სონდერისკი-ტერეკი 0:1
ოდ გრენლანდი-მიდტიულანდი 2:2

## სლოვენია

გადადებული მატჩი

სელიე-დომჟალე 0:0

---

ძიუდო. დიუსელდორფი

# ქართული წაგების გერმანული ქრონიკა

## ვიდრე ურემი გადაბრუნებულა

მხოლოდ ორი მეხუთე ადგილი, ნაადრევად დამარცხებული ნაკრების ლიდერები და არც ერთი მედალი - ასეთია ჩვენი ძიუდოისტების „მონაგარი" დიუსელდორფის „დიდ პრიზზე".

სამწუხაროდ, ზედიზედ მეორე სეზონია, წარუმატებლობა არ გვიკვირს და ტურნირიდან ტურნირამდე ჯილდოებს ამაოდ ველოდებით, თუმცა ახლა სხვა დილემა გაგვიჩნდა - ამართლებს კი ავსტრიელი **პეტერ ზაიზენბახერის** მეთოდი? ალბათ, დროა, ეს კითხვა უკვე ხმამაღლა დაისვას იმის მიუხედავად, რომ ავსტრიელი ახალი მოსულია გუნდში, საერთაშორისო ტურნირებზე მედლებს არც გვპირდება და მთავარ აქცენტს მსოფლიოს ჩემპიონატზე აკეთებს. თეორიულად მისი სავარჯიშო სისტემა, მისი იდეები საჭიროც ჩანს და დროულიც, მაგრამ მაინც ისმის კითხვა - რამდენად გამართლებულია დატვირთვების ასე მკვეთრად გაზრდა? იქნებ, აჯობებდა, თანდათანობით გაეზარდათ და არა ასე ერთბაშად? თავის დროზე ზაიზენბახერის ჩამოყვანას მივესალმეთ და ახლაც მიგვაჩნია, რომ, ქართველი სპეციალისტების მაღალი კვალიფიკაციის მიუხედავად, უცხოელთა მოწვევა გამართლებულია, მაგრამ თავიდან ზაიზენბახერი სულ სხვა მიზნით მოჰყავდათ, უფრო ფართო ჩანაფიქრით - ბავშვთა სპორტიდან დაწყებული, ძიუდოს მთელი მეურნეობის ევროპულ ყაიდაზე გადასაწყობად, ეროვნული ნაკრების კონსულტანტად ფიზმომზადების საკითხებში და არა მთავარ მწვრთნელად, ახლა კი ყველაფერი შეიცვალა. კითხვაც ამან გააჩინა - სასიკეთოდ შეიცვალა თუ საზიანოდ? ცხადია, ამას დრო გამოაჩენს. სუბორდინაციას ახლაც ვიცავთ - რაკი ავსტრიელმა მზადების საკუთარი გეგმა წარმოადგინა, რომელსაც დავეთანხმეთ იმის მიუხედავად, რომ ის შედეგებს არა სადღეისოდ, არამედ სახვალიოდ გვპირდება - მსოფლიოს ჩემპიონატზე, ახლა კიდეც უნდა ვადროვოთ, მაგრამ ზემოაღნიშნული კითხვის დასმის უფლებას მაინც ვაძლევთ თავს. თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კიდევ ერთხელ არ ვიხილოთ „აპრიორი" ქართული ვარიანტი, ანუ გადაბრუნებულ ურემთან არ ალმოვჩნდეთ საქმის კვლავაც თავიდან დაწყების მოლოდინში. ვფიქრობთ, ქართულ ძიუდოში შექმნილი მდგომარეობა უკვე იმსახურებს განხილვას, თორემ მერე იქნებ გვიანიც იყოს. ამბობენ, ევროპაში ავსტრიელი თავისი მძიმე ვარჯიშებითაა განთქმულიო; არც იმას უარვყოფთ, დატვირთვები რომ გასაზრდელია, მაგრამ იქნებ ცოტა სხვანაირად მომხდარიყო?

კიდევ ერთი კითხვა, რომელიც ზაიზენბახერთან დაკავშირებით ჩნდება, ობიექტურობის დაცვას და შემადგენლობის სამართლიანად შერჩევას ეხება. მართალია, უსამართლობისგან დაზღვეული არც ქართველი მწვრთნელების ხელში ვიქნებოდით (ამით **სოსო ლიპარტელიანისკენ** სულაც არ ვისვრით კენჭებს, როგორც ავსტრიელის წინამორბედისკენ, თუმცა ოფიციალურად დღემდე მთავარი მწვრთნელი ლიპარტელიანია, მაგრამ შემადგენლობას ზაიზენბახერი აყენებს), მაგრამ ევროპელიც თუ იმავეს გააკეთებს, რასაც - ქართველი, მაშინ რა საჭიროა უცხოელის მოყვანა და ამხელა ფულის გადახდა. ნამდვილად არ ვამტკიცებთ, რომ ავსტრიელი არაობიექტურად აკომპლექტებს ნაკრებს - უბრალოდ, ჯერ კიდევ პარიზიდან მოყოლებული (ეს მისი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი იყო ჩვენი ნაკრების სათავეში) რამდენიმე საკადრო გადაწყვეტილება ცოტა უცნაური გვეჩვენა და ეჭვიც იქიდან მოყოლებული გაჩნდა. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ავსტრიელს აქ „ლიუბიმჩიკები" ჰყავს, მაგრამ გუნდის დაკომპლექტებაში ზემდგომთა თხოვნებს რომ ითვალისწინებდეს, ამას არ გამოვრიცხავთ. ნება მოგვეცით, მთლად ეჭვის დონეზე არ ვილაპარაკოთ და კონკრეტულ გვარებს ამიტომ არ დავასახელებთ, მაგრამ აშკარად გვეუცნაურება ზოგიერთების გამოჩენა იმ ფონზე, როცა სხვებს, ერთი შეხედვით უფრო საინტერესო ფალავნებს შანსი არ ეძლევათ.

თუმცა არც იმის თქმა გვინდა, რომ ეს წარუმატებლობა მხოლოდ მოჭიდავეთა გადაღლით ან არასრული ფიზიკური მომზადებით იყო გამოწვეული, ანუ მომხდარი მთლიანად ზაიზენბახერის ბრალია. პირიქით - რაც ჩვენებურთა გამოსვლები ვნახე, იქ არასაკმარის მომზადებაზე კი შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ - არა გადაღლაზე. ამ შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ბევრი ისეთი ტენდენცია, რაც ქართულ ძიუდოს სენად ექცა. მაგალითად, ჩოქბჯენში ჭიდაობა რომ დაგვავიწყდა და ამ აუცილებელ კომპონენტს ვერ ვიყენებთ, ეს სულაც არაა ზაიზენბახერის ბრალი და ამაზე ან გარდაცვლილი ჩვენი კოლეგა გოგი ჩოჩიშვილი ჯერ კიდევ 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ წერდა, აქაური სპეციალისტებიც ბევრს ლაპარაკობდნენ. ასევე დაუშვებელია, ლიპარტელიანს მუდამ ერთი და იმავე ხასიათის შეცდომა მოსდიოდეს, ხანჯალიაშვილი ყოველ ტურნირზე ერთი და იმავე შეცდომით, საკუთარ კონტრილეთზე მარცხდებოდეს - ამ ყველაფერს კომპლექსური მიდგომა, საჭიდაო სტილის შეცვლა უნდა, ზაიზენბახერს კი ამ პროცესის დაჩქარება შეუძლია.

ამ თემებზე ყურადღება იქნებ არც გაგვემახვილებინა, ნაკრების გამოსვლებში მკვეთრი პროგრესი რომ დაგვენახა. არადა, დორტმუნდში ქართული ძიუდოს ლამის მთელი ელიტა იყო წასული - ლიდერთაგან 1-2 თუ აკლდა. და ასეთმა შემადგენლობამ არცთუ ძლიერ ტურნირზე ასეთი შედეგი აჩვენა! თუმცა ვიმეორებთ - მწვრთნელს თავისი შეხედულებები აქვს, ჩვენ კი ვისურვებდით, შევცდეთ და ეს პროგრესი სულ მალევე დაგვენახოს. და ვიდრე ეს მოხდება, მანამდე „ქართული სირცხვილის გერმანულ ქრონოლოგიას" მივყვეთ.

ორივე დღეს ჩვენებმა გამოსვლა „დილის სესიაზევე" დაამთავრეს, ანუ ეგრეთ წოდებულ დილის შეხვედრებშივე დაამთავრეს ასპარეზობა. მეხუთე ადგილებზე **ამირან პაპინაშვილი** (60) და **ვალერი ლიპარტელიანი** (90) გავიდნენ, თუმცა ამათგან მიღწეულს დადებითად მხოლოდ პაპინაშვილს თუ ჩავუთვლით - ლიპარტელიანი ხომ ის მოჭიდავეა, ვისაც დიდმა **იამასიტამაც** კი პირველივე ნახვისას დაუსვა დიაგნოზი, მომავალი ოლიმპიური ჩემპიონიაო. აბა, ასეთ კაცს მეხუთე ადგილი წარმატებად როგორ ჩავუთვალოთ?

შაბათს მოჭიდავე ჩვენი უმჩატესი სამეულიდან დორტმუნდული გამოცდა ყველაზე უკეთ ამირან პაპინაშვილმა ჩააბარა, **დავით ასუმბანი** (60) და **ნუგზარ ტატალაშვილი** (73) კი უფრო ადრე გავარდნენ.

პირველ წრეში დასვენებულმა პაპინაშვილმა მომდევო ორ შეხვედრაში იოლად და ზუსტად ერთნაირი ანგარიშით - იუკო-ვაზარით მოუგო ფინელ **ვალტერ იოკინენს** და გერმანელ **ტობიას ენგლმაიერს**, მეოთხედფინალში კი იპონით დამარცხდა სამხრეთკორეელ **ინმინ იანგთან**, რომელიც საბოლოოდ ვერცხლს დასჯერდა. მართალია, პაპინაშვილმა ამჯერად გააუარესა თავისი წლევანდელი შედეგი - ორი კვირის წინ პარიზის ბევრად ძლიერ შეჯიბრებაზე ბრინჯაო მოიპოვა, მაგრამ ჯერჯერობით ის ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ ყველაზე ნათელ წერტილად რჩება. რაც მთავარია, შარშან როტერდამის „დიდ პრიზზე" გამარჯვებით დაწყებული მისი „მეორე სიცოცხლე" კვლავაც გრძელდება და მთავარიც ესაა.

» მე-11 გვერდზე

მე-10 გვერდიდან

ასუმბანს მეორე შეხვედრაშივე უკრაინელი თანამემამულე **გიორგი ზანთარაიას** ბარიერი ელოდა და გვეეჭვებოდა მისი წარმატება, მაგრამ ტურნირი ისე ყოჩაღად დაიწყო, იმედები გაგვიჩინა. ასუმბანმა თბილისის წლევანდელი ტურნირის ყაზახ ვიცე-ჩემპიონ **იერკებულან კოსაევს** გაფრთხილებებიც მიალებინა და ორი გდებაც გაუკეთა. იმათგან პირველზე მთავარმა მსაჯმა იპონი უჩვენა, მაგრამ გვერდითებმა იუკოდ შეაფასეს, მეორე კი უნაკლო წმინდა გდება იყო და არც შედავებია არავინ. აი, მსოფლიოს ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი ზანთარაია ჩვენებურზე მაღლა იდგა და შეხვედრის შუაწელში იპონიც მიითვალა. ზანთარაია შეუდარებლად სწრაფადაც მოძრაობდა და ილეთსაც მართლაც გამორჩეულად კარგად გრძნობს.

ტატალაშვილმა გერმანელი **რენე შნაიდერი** შუაფეხით ეფექტურად დააგდო სუფთაზე, ესტონელ ევროპის პრიზიორ **კინტერ როტბერგთანაც** აქტიურად დაიწყო ჭიდაობა, მაგრამ საკუთარ ილეთზე მოჰყვა. ნაგების მიუხედავად, ტატალაშვილი მაინც რჩება ამ წონაში ჩვენს ერთ-ერთ იმედად, თუმცა სხვა კანდიდატების გამოცდაც აუცილებელი გვგონია. უპირველესად, **ამბაკო ავალიანს** ვგულისხმობთ. იმედია, მას მომავალ კვირას ვარშავაში მსოფლიოს თასზე ვიხილავთ.

კვირას ჩვენებურთაგან ყველაზე ადრე გამოსვლა 81-ის მონაწილეებმა დაამთავრეს - **ავთანდილ ჭრიკიშვილმაც** და **ლევან წიკლაურმაც** პირველივე შეხვედრები წააგეს. წიკლაური ლატვიელ **კონსტანტინ ოვჩინიკოვსთან** უშანსოდ დამარცხდა, ჭრიკიშვილი იტალიელ **ფრანჩესკო ბრიუერეს** არაფერს უთმობდა, მაგრამ ქართული ძიუდოსთვის სენადქცეულმა პრობლემამ დარია ხელი - მეტოქემ ჩოქბჯენში მახრჩობელაზე დაიჭირა. სამწუხაროდ, ეს კომპონენტი კვლავაც რჩება ჩვენი ფალავნების „აქილევსის ქუსლად". სხვათა შორის, წინა დღეს ჩოქბჯენში ჭიდაობა ტატალაშვილმა სცადა გერმანელთან, რაც, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა კიდეც.

გუშინ 81-იანთა შემდეგ ჩვენმა ნაკრებმა მორიგი დანაკლისი 100-ში განიცადა - მსოფლიოს და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ირაკლი ცირეკიძემ** ახალგაზრდა უკრაინელი **ვიაჩესლავ დენისოვი** კი დააიპონა, მაგრამ ფიზიკურად კარგად მომზადებულ მონღოლ **ტამუულენ ბატულგასთან** ვერაფერს გახდა. ცირეკიძეზე ჯერ ვერაფერს ვიტყვით - მას საკმაოდ ბევრი გაუცდა და აღდგენას დრო უნდა. თან წესები ისევ შეიცვალა, რაც პირდაპირ ურტყამს მის სტილს - გადავლებაზე დაყოვნება, ანუ მეტოქის დაჭერა აღარ შეიძლება, ილეთი სწრაფადვე უნდა მიაყოლო.

ცირეკიძის შემდეგ მძიმეწონოსანთა ნაგების ჯერი დადგა. **ზვიად ხანჯალიაშვილიც** და **ნოდარ მეტრეველიც,** თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მესამე წრემდეც წყვილად მივიდნენ და იქ ასევე წყვილად დამარცხდნენ. მანამდე მეტრეველმა ორი შეხვედრა მოიგო - თურქი **ენსარ ტამა** ნახევარ წუთში დააიპონა და დიდად არც სლოვენიელ **მატიაჟ სერაისთან** გასჭირვებია წმინდად მოგება, მაგრამ ბრაზილიელ **რაფაელ სილვასთან** ვერაფერს გახდა. ბრაზილიელი ფიზიკურად ჩვენებურზე დიდია და მეტრეველმა წინა კვირასაც წააგო მასთან. როგორც მაშინ, ქართველი ახლაც ძირითადად „ფიზიკაში" დაიჩაგრა. მოგვიანებით სილვა მესამეზე გავიდა, ბრაზილიელებს კი ამავე ტურნირზე ლამის იდენტური გვარ-სახელის ძიუდოისტი ჩემპიონი გაუხდათ, ოღონდ - ქალთა შორის, **რაფაელა სილვა** (75).

ხანჯალიაშვილი ფიზიკური უპირატესობის გამოყენებით ახალგაზრდა აზერბაიჯანელ **ემილ ტაჰიროვს** იოლად გაუსწორდა - ვაზარს წმინდა გდებაც მიაყოლა, მერე კი ლიტველ **მარიუს პასკევიჩიუსსაც** უგებდა, მაგრამ კვლავაც არაერთგზის მომხდარი და უკვე ძალზე ნაცნობი დრამა გათამაშდა - საკუთარ ილეთზე მოჰყვა და მეტოქემ შებოჭა. ჩვენებურმა მოწინააღმდეგე გადავლებით ორჯერ კი აიტაცა შედეგიანად - თავს ზემოთ გადაგდებით ერთხელ ვაზარზე დასცა, ერთხელ კი იუკო აართვა, მაგრამ მესამე ცდაზე ველარ გადააგდო და, პრაქტიკულად, თვითონ მოჰყვა საკუთარ ილეთზე. ბოჭვის ბოლო წამებზე თითქოს კი აიგლიჯა ლიტველი, მაგრამ ამასობაში დროც დამთავრდა და გაქცევა ველარ მოასწრო. სხვათა შორის, პასკევიჩიუსი პირველი ანალოგიური გდების მერეც უპირებდა შებოჭვას, მაგრამ მაშინ გაქცევის მცდელობა წარმატებით დაასრულა, თუმცა კოკა რომ ყოველთვის ვერ მოიტანს წყალს, ესეც ცხადია.

ამ დრამის შემდეგ ტურნირზე ერთადერთი მონაწილე დაგვრჩა - ლიპარტელიანი, თუმცა მისი სახით ბედი თურმე სულ რამდენიმე წუთში მორიგ დრამას გვიმზადებდა. ლიპარტელიანი მესამე წრემდე ისვენებდა, იქ კი კარიერაში უკვე მესამედ მოუგო 23-წლიანებში პოლონელ ევროპის ჩემპიონ **კშიშტოფ ვეგლარცის** - თავიდან გაფრთხილებებით აგებდა, მაგრამ მესამე წუთზე იპონზე დასცა. ჩვენებურს ბევრად ძლიერი მეტოქე ჰყავდა მომდევნო წრეში - ფრანგი **მეტიუ დაფრევილი**, რომელიც 1 წუთში დააიპონა. ამით ჩვენებური მეოთხედფინალში გავიდა, სადაც საინტერესო მეტოქე ერგო - შვედი **მარკუს ნიმანი,** ვისთანაც შარშან ვენაში ევროპის ჩემპიონატის ფინალი წააგო. ლიპარტელიანს სარევანშოდ ზომაზე მეტი მოტივაცია ჰქონდა და როგორც ავსტრიაში, ახლაც აქტიურად დაიწყო შეხვედრა - ვაზარით იგებდა, მაგრამ დამთავრებამდე 5 წამით ადრე წარმოუდგენელი რამ მოხდა - მეტოქემ კონტრშეტევაზე დაიჭირა და თან ვაზარიც გაუქვითა და იქვე შებოჭა კიდეც. ეს იმდენად მოულოდნელი წაგება იყო, ხანჯალიაშვილის მარცხიც კი გადაფარა, რაც სულ რამდენიმე წუთის მომხდარი იყო. სამწუხაროა, ჩვენებურმა ასე დასანანად რომ წააგო. არადა, დროის გაყვანაზე ჭიდაობით იმ დარჩენილ 5 წამსაც იოლად გაიყვანდა, რევანშსაც აიღებდა და ნახევარფინალშიც გავიდოდა. ერთი სიტყვით, ნიმანის დამარცხება დროის ამბავი იყო, ახლა კი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლიპარტელიანმა ჩემპიონობა აჩუქა მას - ამ წონაში სწორედ შვედმა გაიმარჯვა.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი. ვაჟები**

**60 კგ.** 1. ჰიროაკი ჰიროაკა (იაპონია), 2. ინ-მინ იანგი (კორეა), 3. ბოლბაატარ განბატი (მონღოლეთი), ელიო ვერდე (იტალია). 5. **ამირან პაპინაშვილი (საქართველო).**

**66 კგ.** 1. მასააკი ფუკუოკა (იაპონია), 2. იუნ-ჰო ჩო (კორეა), 3. სერჰიუ დრებოტი (უკრაინა), მიხაილ პულიაევი (რუსეთი).

**73 კგ.** 1. დირკ ვან ტიხელტი (ბელგია), 2. კიოში უემაცუ (ესპანეთი), 3. იუკი ნიშიამა (იაპონია), იოსებ ფალელაშვილი (ისრაელი).

**81 კგ.** 1. ტრევის სტევენსი (აშშ), 2. მურატ ხაბაჩიროვი (რუსეთი), 3. ელნურ მამადლი (აზერბაიჯანი), არსენ პშმახოვი (რუსეთი).

**90 კგ.** 1. მარკუს ნიმანი (შვედეთი) 2. რომაინ ბუფე (საფრანგეთი), 3. მასაში ნიშიამა (იაპონია), ვადიმ სინიავსკი (უკრაინა). 5. **ვალერი ლიპარტელიანი (საქართველო).**

**100 კგ.** 1. მაქსიმ რაკოვი (ყაზახეთი), 2. დიმიტრი პეტერსი (გერმანია), 3. ევგენიუს ბოროდავკო (ლატვია), ლუკაშ კრპალეკი (ჩეხეთი).

**+100 კგ.** 1. ანდრეას ტოლცერი (გერმანია), 2. კეიჯი სუძუკი (იაპონია), 3. რაფაელ სილვა (ბრაზილია), რობერტ ზიმერმანი (გერმანია).

## თავისუფალი ჭიდაობა

### საქართველოს ჩემპიონატი

# ახალგაზრდულის მძიმე სურათი

ბათუმში დამთავრდა საქართველოს პირველობა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებს შორის. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესია და ლიდერთა უმეტესობა არ გამოდიოდა, დიდი იყო ინტერესი ახალი სახეების, ახალი ლიდერებისადმი. ძველებიდან ასაკის გამო ახალგაზრდულში გამოსვლა დაამთავრეს **თორნიკე ხიდეშელმა** (96), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა **დავით ხუციშვილმა** (74), ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიოს ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელმა **გიორგი საკანდელიძემ** (120), უფროსებში მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანმა **ლევან ბერიანიძემ** (120). ახალგაზრდული ნაკრების მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა ეროვნული გუნდის ფაქტორმა - ახალგაზრდებში ევროპის ვიცე და მსოფლიოს ჩემპიონი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84) მთავარ გუნდთან ერთად იმყოფებიან შეკრებაზე და ამ შეჯიბრებაში ვერ გამოვიდნენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია, რადგან ისინი უფროსებში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ და მარტის ბოლოს ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატზე უნდა გამოვიდნენ, ეროვნული გუნდის ინტერესები კი უმთავრესია. თუმცა ეს ახალგაზრდული ნაკრების მძიმე მდგომარეობას ოდნავადაც ვერ ამსუბუქებს - რვა წონიდან შვიდში ახალი ხალხი როგორია!

მე-13 გვერდზე

## კალათბურთი. სუპერლიგა. XIV ტური

# ლოგიკური

**10, 16, 16, 18, 28... ეს ხუთი ციფრი საქართველოს ჩემპიონატის მე-14 ტურის ხუთ შეხვედრაში დაფიქსირებული სხვაობებია. ყველა თამაში ლოგიკური შედეგით დასრულდა. ყველაზე დიდი ჰანდიკაპი ტურის ბოლო მატჩში დაფიქსირდა - „არმიამ" სტუ 82:54 დაამარცხა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ყველაზე სანახაობრივი და დაძაბული სწორედ „არმიისა" და სტუ-ს დაპირისპირება გამოდგა.**

როგორთუ დაძაბული, ერთმა გუნდმა მეორეს 28 ქულის სხვაობით აჯობა და ასეთ პაექრობას დაძაბულს როგორ უწოდებთო, - შეიძლება ვინმემ გაიკვირვოს. მატჩის მიმოხილვას თუ წაიკითხავთ, იქ ნახავთ ახსნას, მანამდე ტურის საუკეთესო კალათბურთელს დაგისახელებთ. „სამედიცინოს" მოთამაშეებს ძალიან გაუჭირდათ თსუ-ს ტანმაღლების შეჩერება: მე-12 ტურის საუკეთესომ მიხეილ ბერიშვილმა 19 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა, მე-13 ტურის საუკეთესომ რიჩარდ მათიაშვილმა 15 ქულა და 5 მოხსნა, ხოლო ილია ლონდარიძემ 23 ქულა და 19 მოხსნა. შესაბამისად, მე-14 ტურის საუკეთესოდ ჟურნალისტებმა ლონდარიძე დავასახელეთ. ზედიზედ სამ ტურში MVP-ს ტიტული თსუ-ელებისაა. ეს სიმპათიების ბრალი სულაც არ არის - თსუ იანვრის შემდეგ შვეიცარიული საათივითაა მოქოქილი: ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე ყველა მატჩში გაიმარჯვა, საქართველოს თასის ნახევარფინალში თითქმის მოგებული მატჩი წააგო „არმიასთან", ხოლო სუპერლიგის მეორე წრეში ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა სტუ, „სოხუმი" და „სამედიცინო". ბოლო ორი მატჩი მეცამეტე და მეთოთხმეტე ტურების ცენტრალური შეხვედრები იყო.

დღეიდან საუკეთესო კალათბურთელის პარალელურად გამოვარჩევთ ტურის ციფრს. ამჯერად ყველაზე შთამბეჭდავად რიცხვი 19 გამოიყურება - სწორედ ამდენი მოხსნა მოაგროვა ილია ლონდარიძემ და სუპერლიგის რეკორდი გაიმეორა: დავით ბარბაქაძესა და რიჩარდ დამუსსაც 19-19-ჯერ აქვთ მოხსნილი (ერთ მატჩში).

**28**

19.02. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| არმია | 82 |
| სტუ | 54 |

15:12, 17:14, 15:16, 35:12

არმია: ტულუში (15ქ, 11მ, 8პ), ბოისა (19ქ, 7მ), მოსეშვილი (2ქ), ათანელიშვილი (5ქ, 7მ), შარაბიძე (10ქ, 11მ, 4პ, 4დ), ბაქრაძე, ბაბიაშვილი (22ქ, 12მ), მინაშვილი (2ქ), პირველაშვილი (3ქ), ბ. ბერიშვილი (4ქ, 9მ, 4პ).
სტუ: ჩიკვილაძე (8ქ, 5მ, 3პ), გ. ბერუაშვილი (9ქ, 7მ, 3პ), ლაშქარაძე, ძიძიგური (4ქ, 4პ), კობიძე (10ქ, 6მ), ჭოხონელიძე, ლომოური (14ქ, 6მ), გასიტაშვილი, მაჩალაძე (2ქ, 7მ), ჯანგველაძე (5ქ), თევზაძე (2ქ)
მსაჯები: მ. კუპატაძე, მ. ანდღულაძე
კომისარი: რ. გელოვანი

შაბათს ბოლო მატჩი სტუ-სა და „არმიას" შორის გაიმართა. მიმოხილვა ბოლოდან დავიწყოთ. ერთხელაც დავრწმუნდით, რომ გულშემატკივარს კალათბურთზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია - „არმიის" მრავალრიცხოვანი ქომაგი დარბაზში საბრძოლო ატმოსფეროს ქმნიდა...

ჰოდა, იბრძოლა როგორც „არმიამ", ასევე სტუ-მ. ახალგაზრდა ტექნიკოსებს საჩემპიონოდ შემართულ არმიელებთან თანაბრად სათამაშოდ ერთი შანსი ჰქონდათ - დაცვაში მედგრად დამდგარიყვნენ, რაც წინასწარ თითქმის შეუსრულებელ ამოცანად მოჩანდა. მაგრამ **ზურაბ ტომარაძის** შეგირდებმა ბევრისთვის მოულოდნელად გამოცდილ მეტოქეს მწყობრი ზონური დაცვა დაუპირისპირეს და, რაც მთავარია, მატჩის 32-ე წუთამდე დაცვაში ცარიელი ზონები არ რჩებოდა.

ამის შედეგი იყო, რომ სნაიპერებით შევსებული „არმია" საწყის სამ მეოთხედში ვერც ერთხელ ასცდა 17 ქულას. მესამე ათწუთეულის ბოლოს სტუ-მ 6:0 გაქცევა მოაწყო და **აკაკი ლომოურის** სამქულიანის შემდეგ ჩამორჩენა 3-მდე შეამცირა - 42:45. გადამწყვეტი მეოთხედის წინ „არმია" 47:42-ს იგებდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მატჩის ბედი ბოლო წუთებზე უნდა გადაწყვეტილიყო. თუმცა მეოთხე პერიოდის დასაწყისში **ანატოლი ბოისასა** და **კოტე ტულუშის** სამქულიანებმა არმიელთა უპირატესობა 10 ქულას გადააცდინეს და მატჩის ბედიც აქ გადაწყდა: **ლევან მოსეშვილის** გუნდი 23:0 სპურტის შემდეგ 71:44 დაწინაურდა. საბოლოოდ 28-ქულიანი სხვაობით რომ მოიგო, უკვე მოგახსენეთ.

სტუ-ს აკლდა გამოცდილი მეფარე **გულივერ ახალკაცი** (ტრავმა), ხოლო სროლა არ წაუვიდა გუნდის მთავარ მექულეს **ბექა ჩიკვილაძეს**, რომელმაც 9 სამქულიანდან ვერც ერთი ვერ ჩააგდო.

მატჩის ბომბარდირი **ზვიად ბაბიაშვილი** გახდა - 22 ქულა, 12 მოხსნა. „არმიას" კაპიტან **კოტე ტულუშს** კი სეზონის მესამე სამმაგ დუბლამდე ორი პასი დააკლდა: 15 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი.

**10**

19.02. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| აგრარული | 80 |
| დინამო | 70 |

19:6, 21:18, 21:29, 19:17

აგრარული: ჩაჩანიძე (19ქ, 5მ), არნიაძე (2ქ, 5მ, 7პ), ხანიაშვილი (15ქ, 4პ), შუშლაძე (10ქ, 8მ), ჯავახიშვილი (10ქ, 6მ), ტეტელაშვილი (2ქ), ბაკაშვილი, ნანიტაშვილი (9ქ), სიგუა (4ქ, 3ჩ), გემაზაშვილი (9ქ, 9მ).
დინამო: ივანეიშვილი (3ქ, 3ჩ), ეძგვერაძე (11ქ, 3პ, 3ჩ), გლუნჩაძე (2ქ), თავამაიშვილი (5მ), ალხანაიძე (17ქ, 8მ, 3პ), პატარაია (16ქ), თვაური (4ქ), შალიკიანი, ცაგარეიშვილი (3ქ), გულდედავა (14ქ), ჩაველაშვილი (6მ).
მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი
კომისარი: მ. რატიშვილი

პირველ წრეში „აგრარულს" „დინამოსთან" მოგება გაუჭირდა. ანგარიშიდანაც მიხვდებოდით, რომ არც შაბათს გაუსეირნია...

იმის მიუხედავად, რომ აგრარებმა თავიდანვე მოიპოვეს 11-ქულიანი უპირატესობა (13:2), დინამოელებმა თამაშის გამოსწორება მოახერხეს და მეტოქეს ბოლო წუთებამდე არ მისცეს ამოსუნთქვის საშუალება. მართალია, ორივე ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ „აგრარულში" საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში გამოცდილი კალათბურთელები თამაშობენ და მატჩიც ლოგიკურად, მათი გამარჯვებით დასრულდა.

ყველაზე მეტი **რეზო ჩაჩანიძემ** ჩააგდო - 19 ქულა (11-დან 5 სამქულიანი).

**16**

19.02. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| თსუ | 87 |
| სამედიცინო | 71 |

20:15, 21:22, 20:15, 26:19

თსუ: ფანჩულიძე (10ქ), გაფრინდაშვილი (5ქ, 8პ, 3ჩ), კოხრეიძე (5ქ, 9მ, 4პ), ლონდარიძე (23ქ, 19მ, 2დ), კორკოტაძე, ჩიტაშვილი (10ქ, 5მ, 4პ, 3ჩ), მათიაშვილი (15ქ, 5მ, 2დ), მ. ბერიშვილი (19ქ, 10მ).
სამედიცინო: გულისაბედაშვილი (2ქ), ჩაჩიბაია (1ქ), ლეჟავა (13ქ), თავართქილაძე (4ქ, 3პ), ი. ლეჟავა (13ქ), ბექაური (2ქ), ნინიაშვილი (8ქ, 6მ), კეიდია (8ქ, 7მ), როდუმტა (2ქ), ჭოჭუა (14ქ, 6მ, 4ჩ), ფაიქრიძე, დვალიშვილი (17ქ, 6მ), თენიეშვილი.
მსაჯები: მ. კუპატაძე, ი. ბერიშვილი
კომისარი: მ. რატიშვილი

ტურის ცენტრალური მატჩი შაბათს 14 საათზე დაიწყო. სტუდენტურ დერბიში თსუ „სამედიცინოს" დაუპირისპირდა. მედიკოსებს კვლავაც ვერ ეხმარებათ ტრავმირებული **ჯეფ როჯერსი**, რომლის არყოფნაში პერიმეტრიდან ბურთის ჩაგდება ძალიან გაუჭირდათ (სულ 2 სამქულიანი გამოიყენეს). „სამედიცინოს" კალათბურთელებმა ვერც ფარქვეშ მოიპოვეს უპირატესობა. მატჩი 4-4 ჯარიმით დაასრულეს ტანმაღლებმა **ნინიაშვილმა** და **დვალიშვილმა**, ხოლო **როდუმტამ** ხუთი ფოლი მიიღო. ამის მიზეზი თსუ-ს მეფარეების აქტიურობა იყო: მათიაშვილმა და ლონდარიძემ მეტოქეს ფარქვეშ არაფერი დაუთმეს. მათ კარგად დაეხმარა მიხეილ ბერიშვილი: 10 მოხსნა, 19 ქულა. საბოლოოდ თსუ-მ მოხსნებში დიდი უპირატესობით იმარჯვა (60:47) და სატურნირო ცხრილის ზედა სამეულში პოზიციები გაიმყარა.

**16**

19.02. თბილისი. სპორტის სასახლე

| | |
|---|---|
| შსს | 91 |
| ბათუმი | 75 |

28:6, 22:22, 26:19, 15:28

შსს: ლაფანაშვილი (7ქ, 6მ, 3პ), ბ. ლეჟავა (13, 3პ), ნიკოლაძე (10ქ, 3პ), კოტონი (8ქ, 3ჩ), მარკოიშვილი (5ქ, 7მ), ტუჯანი (6ქ, 8მ), დ. ბარბაქაძე (17ქ), შერმადინი (9ქ), დეკანოიძე (2ქ), ნივნივაძე (8ქ, 10პ), ტომარაძე (6ქ), სუხიშვილი.
ბათუმი: რამიშვილი (6ქ), მაისურაძე (12ქ, 5მ, 3პ), მიქელაძე (3ქ, 6მ), ნინუა (4ქ), ჩხატარაშვილი, კეშელავა (2ქ), ელიაშვილი (4ქ, 5მ, 3პ), ყველაშვილი (15ქ, 9მ), სანაძე (29ქ, 5მ, 3ჩ, 2დ)
მსაჯები: ხ. გაბედავა, დ. არეშიძე
კომისარი: თ. ქიქოძე

შსს-მ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ სეზონში მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს, ბათუმელებთან მატჩის ბედი პირველივე პერიოდში გადაწყვიტა - საწყის 10 წუთში ძალოვნები 22 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ (28:6)...

თბილისელებს გამთამაშებელი **ბექა ნივნივაძე** გაუძლვათ, რომელიც ახალ გუნდს ნელ-ნელა უშინაურდება. ბექამ ტურში ყველაზე მეტი - 10 პასი შეასრულა.

ტურის ქულათა რეკორდიც ამ მატჩში დაფიქსირდა - ბათუმის ახალწვეულმა **დუდა სანაძემ** 29 ქულას მოუყარა თავი.

■ ■ ■

შეგახსენებთ, რომ პარასკევს „სოხუმმა" რუსთავში „ენერჯი" 73:55 დაამარცხა.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 12 | 11 | 1 | 1063/814 | 23 |
| 2. შსს | 13 | 10 | 3 | 1162/972 | 23 |
| 3. თსუ | 13 | 10 | 3 | 1128/1022 | 23 |
| 4. სოხუმი | 13 | 8 | 5 | 1021/980 | 21 |
| 5. ქუთაისი | 12 | 8 | 4 | 973/868 | 20 |
| 6. ენერჯი | 13 | 7 | 6 | 911/931 | 20 |
| 7. სტუ | 13 | 4 | 9 | 1051/1113 | 17 |
| 8. სსაუ | 13 | 4 | 9 | 918/1075 | 17 |
| 9. ბათუმი | 12 | 4 | 8 | 939/994 | 16 |
| 10. თსსუ | 13 | 3 | 10 | 944/1001 | 16 |
| 11. დინამო | 13 | 1 | 12 | 885/1225 | 14 |

**ვაჟა სიმონიშვილი**



თსუ-სამედიცინო

## ლეგიონი

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**ფუენლაბრ.-გრან კანარია 92:81**

**ტორინ გრინი (გრან კანარია):** 17 წუთი, 3 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი.

**ესტუდიანტესი-ლაგუნ არო 88:81**

**ტაირონ ელისი (ესტუდიანტესი):** 27 წუთი, 19 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი.
**ნიკა ცქიტიშვილი (ლაგუნ არო):** 7 წუთი, 2 მოხსნა.

**მანრესა-ხუვენტუდი 99:67**

**ქუინტონ ჰოსლი (ხუვენტუდი):** 22 წუთი, 8 ქულა, 3 მოხსნა.

**იტალიის ჩემპიონატი**

**ვირტუსი-პესარო 71:70**

**ვიქტორ სანიკიძე (ვირტუსი):** 13 წუთი, 12 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება.

**ტერამო-კანტუ 69:96**

**მანუჩარ მარკოიშვილი (კანტუ):** 19 წუთი, 16 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი.

**ადრიატიკის თასი**

**ოლიმპია-ცედევიტა 75:65**

**გიორგი შერმადინი (ოლიმპია):** 14 წუთი, 6 ქულა, 8 მოხსნა, 1 დაფარება.
**ვლადიმერ ბოისა (ოლიმპია):** 17 წუთი, 3 ქულა, 2 მოხსნა, 1 დაფარება.

**ბალტიის თასი**

**როკი-დოლფინსი 94:68**

**გიორგი ცინცაძე (როკი):** 20 წუთი, 11 ქულა, 6 პასი, 3 მოხსნა, 3 ჩაჭრა.

**ბელგიის ჩემპიონატი**

**შარლერუა-პეპინსტერი 75:67**

**თორნიკე შენგელია (პეპინსტერი):** 29 წუთი, 7 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა.

**გერმანიის ჩემპიონატი**

**გისენი-დიუსელდორფი 66:50**

ლაშა გამყრელიძეს (გისენი) არ უთამაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ადრიან მიხალჩიშინი: თუ გინდა იყო დიადი, მძლეთა მძლეს უნდა სძლიო

ფიდეს გრანპრის ბოლო ეტაპისთვის (ყატარი), რომელიც დღეს გაიხსნება საზეიმოდ, **ნანა ძაგნიძის** მოსამზადებლად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ცნობილი უკრაინელი სპეციალისტი, მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს წარმომადგენელი **ადრიან მიხალჩიშინი** მოიწვია. დოჰაში გამგზავრების წინ მან ქართველი მწვრთნელებისთვისაც გამართა ტრენინგები.

- ქართულ ჭადრაკთან დიდი ხნის ურთიერთობა მაქვს, რადგან საქართველოში ბევრი მეგობარი მყავს, - მითხრა სტუმარმა, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლეში შევხვდი. - პირველად აქ ვითამაშე საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში იუგოსლავიელებთან მატჩში, 1978 წელს საკავშირო ჩემპიონატში ვმონაწილეობდი გარი კასპაროვთან ერთად. იმავე წელიწადს ჩემს უახლოეს მეგობარ თამაზ გიორგაძესთან ერთად მაია ჩიბურდანიძეს ვეხმარებოდით ლეგენდარულ ნონა გაფრინდაშვილთან მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მატჩის წინ. 1983 წელს ნანა ალექსანდრიას ვავარჯიშებდი - საწვრთნელი შეკრება ბიჭვინთაში გავიარეთ. შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო. რომ არა უიღბლობა, შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონიც გამხდარიყო. 2006 წელს ჰოლანდიის ნაკრებს ვწვრთნიდი. კარგა ხანს ვიმუშავეთ ერთად მე და ნიდერლანდელთა რძალმა თეა ლანჩავამ. იმ წელიწადს იგი თურქეთში ქალთა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა.

და აი, ერთ კვირაზე მეტია, ჩემი მეგობრის - თამაზ გიორგაძის თხოვნით ისევ ვეწვიე თბილისს. ნანა ძაგნიძეს ვეხმარები, რომ მან ტალანტი და შესაძლებლობები ბოლომდე წარმოაჩინოს. ძალიან მოტივირებული, შემტევი, აგრესიული სტილის მოჭადრაკეა. ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს, თუმცა ძალიან ძლიერ დიდოსტატთან მოუწევს დაპირისპირება - ჩინელი ჰოუ იფანი დღეს ქალთა შორის საუკეთესოდ მიმაჩნია. გვირგვინისთვის საბრძოლველად ყველაზე დიდი ინტრიგა, ალბათ, ეს არის. გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან 2001 წლამდე ხომ გრანდების ორთაბრძოლები იყო. მაია ჩიბურდანიძემ ნონა გაფრინდაშვილს მოუგო, სიე ჟუნმა-მაიას, მერე ჟუჟა პოლგარი მოვიდა. შემდეგი დროის ჩემპიონებს მაინცდამაინც არ ვაფასებ. აი, ჰოუ იფანი კი შესანიშნავია, დიდებულ ჭადრაკს თამაშობს. თუ გინდა გახდე დიდი, მძლეთა მძლეს უნდა სძლიო. ახლა ჩემს შეგირდთან ერთად დაფნის გვირგვინისთვის მატჩზე არ ვფიქრობთ - ჯერ მთავარია, ყატარი წარმატებით გადავლახოთ და მიზანს მივაღწიოთ... ჰოუ იფანისთვის მერე მოვიცლით.

**- ბაზალეთზე მზადებისას უმთავრესად რას აქცევდით ყურადღებას?**

- ფაქტობრივად, იმ თერთმეტ მოჭადრაკესთან შესახვედრად ვემზადებოდით, რომლებთანაც ნანას დოჰაში მოუწევს დაპირისპირება. ყველა მეტოქე სერიოზულად უნდა შევაფასოთ. თუმცა უპირველესი კონკურენტია ინდოელი ჰამფი კონერუ, ქალთა რეიტინგით მსოფლიოს მეორე მოჭადრაკე, რომელმაც შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა. დოჰას ტურნირისთვის ვინც მომზადების პიკში იქნება და ვისაც მეტი ნებისყოფა აღმოაჩნდება, გამარჯვებულიც ის გამოვა. კონერუს მრავალი სისუსტე ახასიათებს, უმთავრესად ფსიქოლოგიური მომზადების თვალსაზრისით, გადამწყვეტ მომენტებში სუსტად თამაშობს. მაგალითად, თურქეთში მან პასუხსაგებ მომენტებში გადამწყვეტი ნაბიჯები ვერ გადადგა, თორემ შეეძლო, უკეთესი შედეგისთვის მიეღწია.

მე და ნანას ამ ეტაპზე ცუდად არ გვიმუშავია. ვფიქრობ, ბაზალეთის შეკრება ნაყოფიერი იყო. დებიუტებში შევიტანეთ მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებები. შეჯიბრების წინ ახალი იდეებით დატვირთვას მოვერიდეთ. ის თეორიები განვამტკიცეთ, რომლებსაც აქამდე იყენებდა. ძაგნიძემ შესანიშნავად ითამაშა გიბრალტარში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პარტია ესპანელ ვალეხოსთან. ახალი დებიუტი გამოიყენა. ერთი სიტყვით, შესანიშნავი მოთელვა გამოუვიდა. ახლა მისთვის მთავარია, კარგ სპორტულ ფორმასა და ხასიათზე იყოს, რაც საკუთარი ძალებისადმი რწმენას შემატებს. ჩვენი თანამშრომლობა ყატარშიც გაგრძელდება.

**- დოჰაში თქვენი ყოფილი შეგირდიც ითამაშებს...**



გიორგი სიბაშვილი, ელენე პეტრიაშვილი, ნინო ხომერიკი, ადრიან მიხალჩიშინი

- მაია ჩიბურდანიძეს ჯანმრთელობის მხრივ თუ ყველაფერი წესრიგში ექნა, არ არის გამორიცხული, ყატარში გაიბრწყინოს, საამისოდ მას კლასი და კოლოსალური გამოცდილება უწყობს ხელს - ყატარის ტურნირის მონაწილეთა უმრავლესობას ძალითა და შესაძლებლობებით ბევრად აღემატება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი დიდოსტატები დოჰაში მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაამახსოვრებენ თავს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# ყუფარაძემ მეორეზე გადაინაცვლა



გიგა ყუფარაძე

ირანში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს 18 წარმომადგენელი მონაწილეობს. ვაჟებში ჩვენებურთაგან განსაკუთრებით ქუთაისელი საერთაშორისო ოსტატი (მას ეს წოდება ორი კვირის წინათ მიენიჭა) **გიგა ყუფარაძე** ყოჩაღობს, რომელმაც წლევანდელ საქართველოს პირველობაზე მე-4 ადგილი დაიკავა. მე-7 ტურში მან შავი ფიგურებით აზერბაიჯანელი **რასულ იბრაჰიმოვი** დაამარცხა და 5,5 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ყუფარაძეს ნახევარი ქულით უსწრებს აზერბაიჯანელი **ვუგარ რასულოვის** მძლეველი რუსი **სერგეი ვოლკოვი**. წარმატებით ითამაშა საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა **ლევან ფანცულაიამ** - მასპინძელ **ელშან მორადიაბადის** მოუგო.

შვიდი ტურის შემდეგ ქართველთა მონაგარი ასეთია: გიგა ყუფარაძე-5,5 ლევან ფანცულაია, **დავით მალალაშვილი, დავით ჯოჯუა**-5-5, **დავით ზარქუა, კონსტანტინე შანავა**-4,5-4,5, **შოთა აზალაძე, მალხაზ სულაშვილი, დავით ლომსაძე, დავით ბენიძე**-4-4, **გაიოზ ნიგალიძე, ივერი ჭილლაძე**-3,5-3,5, **ბაჩანა მორჩიაშვილი**-3, **გიორგი გამზარდია**-2,5 ქულა.

ქალებში ხუთი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ქართველი დიდოსტატები - **ბელა ხოტენაშვილი** და **ნინო ბაციაშვილი** ლიდერობდნენ. მე-6 ტურში ისინი დაზავდნენ, მეშვიდეში ბაციაშვილმა შავი ფიგურებით მესამე ადგილზე მყოფ ფრანგ **კარელ ბოლონს** მოუგო, ხოტენაშვილმა კი თეთრებით აზერბაიჯანელ **ხაიალა ისკანდაროვას** აჯობა. ამდენად, 6,5-6,5 ქულით ლიდერობას განაგრძობენ. უახლოესი კონკურენტები მათ თითო ქულით ჩამორჩებიან.

**ვაჟა დანელია**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. კრუმინში; 4. აფელაი; 8. ლემიე; 10. ვლაშიჩი; 12. ნალდო; 13. ოვერტაიმი; 14. სვანი; 16. ირიბარი; 18. გიბსი; 21. ობრადოვიჩი; 22. კრაუჩი; 24. ისტომინი; 27. ვიერი; 28. ჯოკოვიჩი; 29. "ლელო"; 30. ოუენი; 31. მიხელსი.

**შვეულად:** 1. კოლინა; 2. უიმბლდონი; 3. შოვკოვსკი; 5. ფრისტაილი; 6. "ლეირია"; 7. იგუაინი; 9. ეტოო; 11. ალემაო; 15. ბიმონი; 17. ბრავო; 18. გოიკოეჩეა; 19. ბობადილია; 20. დი ლივიო; 23. ჩარლზი; 25. "სიონი"; 26. ილიას.

სამთო თხილამურობა

# წარუმატებელი მსოფლიო




გერმანულ გარმიშ-პარტენკირხენში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში. ქალთა უკანასკნელ დისციპლინა სლალომში სტარტზე ვერ ვიხილეთ **ნინო წიკლაური**. ასზე მეტ მონაწილეს შორის სტარტზე ის და ყირგიზი **ირინა ვოლკოვა** არ გამოცხადდნენ.

შაბათს ვაჟთა სლალომის კვალიფიკაცია გაიმართა, სადაც ოთხმა ჩვენებურმა მიიღო მონაწილეობა. მეორე ცდა გაუცუდდათ **იასონ აბრამაშვილსა** და **კოტე ვახტანგიშვილს**, მათთვის მსოფლიოს ჩემპიონატი იქვე დასრულდა. **დიმიტრი გედევანიშვილმა** 43-ე შედეგი აჩვენა და კვალიფიკაცია ვერ გაიარა. ფინალში მხოლოდ **ალექსი ბენიაიძე გავიდა**, მან ორი ცდის ჯამში 1:44,66 წუთი შედეგით მე-14 ადგილი დაიკავა. ფინალი გუშინ გაიმართა, მაგრამ ბენიაიძემ პირველივე ცდაზე გამოტოვა კარი და ამით დაასრულა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ქართველთათვის წარუმატებელი გამოდგა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მძლეოსნობა

# დროა, სპორტის დედოფლით კვლავ ვიამაყოთ

დიდუბის მანეჟში გასულ უქმეებზე 1994-1997 წლებში დაბადებულმა გოგონებმა და ბიჭებმა მოიყარეს თავი. დიდთოვლობის მიუხედავად, 15 ქალაქისა და რაიონის 200-მდე წარმომადგენელი ეწვია თბილისს საქართველოს პირველობაში საასპარეზოდ.



ალექსი ახვლედიანი მიესალმება მონაწილეებს

სანამ შედეგებს გაუწყებდეთ, გაცნობებთ, რომ მინსკში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა **ლაშა ღულელაურმა, ზურაბ გოგოჭურმა** და **ენდრიკ ზილბერშტეინმა** ბელარუსის ზამთრის ღია ჩემპიონატში მოსინჯეს ძალები. ღულელაურმა ორი კვირის წინათ ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ორი ოქროს მედალი მოიპოვა სამხტომსა და სიგრძეზე ხტომაში. მინსკში კი სიგრძეზე ხტომაში 7,12 მეტრი დაძლია და პირველი ადგილი დაიკავა, ბაქოს შედეგი 14 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

„კარგია, რომ ღულელაურმა წლევანდელი სეზონი სამი ოქროს მედლით დაიწყო, - გვითხრა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსი ახვლედიანმა,** რომელიც საქართველოს პირველობას ესწრებოდა. - ეს მას სითამამეს და საკუთარი ძალებისადმი რწმენას შემატებს.

წლეულს ლაშას რამდენიმე სერიოზულ ტურნირში მოუწევს ასპარეზობა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება. ამ შეჯიბრებისთვის სალიცენზიო ნორმატივი მან აზერბაიჯანის დედაქალაქში შეასრულა.

ბელარუსის ღია ჩემპიონატში სიმაღლეზე მხტომელი ზურაბ გოგოჭური და მორბენალი ენდრიკ ზილბეშტეინი საპრიზო ადგილებზე ვერ გავიდნენ, მაგრამ გოგოჭური 205 სანტიმეტრზე გადებული თამასას გადაევლო, რაც სეზონის დასაწყისისთვის სულაც არ არის ურიგო.

რაც შეეხება შინაურ საქმეებს, რიგგარეშე მე-4 ყრილობა ჩავატარეთ, სადაც წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებები შევიტანეთ. ფედერაციის ინფრასტრუქტურის გაფართოებასთან დაკავშირებით, რამდენიმე თანამშრომელი დავიმატეთ. კერძოდ, გენერალური დირექტორი ამბროსი მატიაშვილი, რომელიც ფედერაციის საფინანსო და სამეწარმეო საქმიანობას წარმართავს, ხოლო ახალი ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ ჯიქია, საკმაოდ გამოცდილი ფინანსისტი, ერთ-ერთი უდიდესი სამშენებლო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, უშუალოდ მძლეოსნობის ინფრასტრუქტურის სარემონტო სამუშაოებს გაუწევს კურატორობას.

ძალიან გამახარა ახალგაზრდების პირველობამ. მართალია, ცივ დარბაზში თავიანთი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ წარმოაჩინეს, მაგრამ მწვრთნელთა მხედველობის არეში მოექცნენ. მათ, უპირველესად, ტრაბზონის წლევანდელი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის პერსონალურად მოვამზადებთ. წინასწარ არ მინდა მათი გვარების დასახელება. არ არის გამორიცხული, რომ თურქეთიდან მედალიც ჩამოვიტანოთ. შედეგების მისაღწევად ინფრასტრუქტურის გაფართოება-კეთილმოწყობაა აუცილებელი. „ლელოსთან“ ინტერვიუში ერთხელ უკვე ვთქვი, რომ დიდუბის მანეჟის კაპიტალურ რემონტს გაზაფხულიდან დავიწყებთ. პარალელურად ახალციხისა და აჭარის ბაზებზე ვიზრუნებთ. ქუთაისში ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით მძლეოსნებმა სარბენი ბილიკებით. უკვე დავსვით საკითხი ამ დარბაზის მძლეოსნობის ფედერაციისთვის გადმოსაცემად, რათა იქაც განვახორციელოთ გარკვეული ინვესტიცია და იქაური პირობები საერთაშორისო სტანდარტების მინიმალურ მოთხოვნებამდე მაინც ავიყვანოთ. ყველაფერს გავაკეთებთ საქართველოში მძლეოსნობის უწინდელი ტრადიციების აღსადგენად. დროა, „სპორტის დედოფლით“ კვლავ ვიამაყოთ.'

### კვარცხლბეკი

**გოგონები. 60 მ.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 8,19), 2. ნინო გვიანიძე (აჭარა (8,43), 3. ალექსანდრა მშვიდობაძე (თბილისი, 8,81). **60 მ/თ.** 1. ნესტან დათუნაშვილი (10,73), 2. სალომე ჩაბაკაური (ორივე-თბილისი, 11,30), 3. მარიამ ჩაკაბერია (ზუგდიდი, 11,82). **200 მ.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 27,39), 2. მარიამ ბედუკაძე (თბილისი, 28,34), 3. ნინო გვიანიძე (აჭარა, 29,31). **400 მ.** 1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 1.03,89), 2. მარიამ ბედუკაძე (თბილისი, 1.04,23), 3. სოფიკო ჩილინგარიშვილი (ახალციხე, 1.07,52). **800 მ.** 1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 2.32,09), 2. ანიჩკა მურადიანი (ახალციხე, 2.40,16), 3. თამრიკო შამოევა (თბილისი, 2.44,09). **1500 მ.** 1. ანიჩკა მურადიანი (5.36,71), 2. დიანა ჯანისიანი (ორივე - ახალციხე, 5.39,24), 3. თამრიკო შამოევა (თბილისი, 5.39,61). **4X200 მ.** 1. თბილისი (1.59,59), 2. ახალციხე (2.05,82), 3. ქუთაისი (2.06,43). **სიმაღლე.** 1. სალომე ჩაბაკაური (თბილისი, 130). **სიგრძე.** 1. ანი სირაძე (ქუთაისი, 4,46), 2. ნესტან დათუნაშვილი (4,28), 3. სალომე ჩაბაკაური (ორივე-თბილისი, 4,14). **ბირთვი.** 1. ალბინა არუთუნიანი (აჭარა, 8,06), 2. თამარ ფერაძე (გორი, 7,07), 3. დარიკო გოგლიჩიძე (ქუთაისი, 6,06).

**ვაჟები. 60 მ.** 1. გიგა ჭიკაძე (თბილისი, 7,44), 2. ბექა კურტანიძე (აჭარა, 7,69), 3. ვაჟა უთურაშვილი (თბილისი, 7,75). **60 მ/თ.** 1. თემურ აზრუმელაშვილი (თბილისი, 9,13), 2. ლაშა ნუცუბიძე (9,57), 3. გოგა მალლაკელიძე (ორივე-ქუთაისი, 9,70). **200 მ.** 1. გიგა ჭიკაძე (თბილისი, 24,55), 2. ნუკრი ზოიძე (ოზურგეთი, 25,73), 3. დავით ძიმისტარიშვილი (ქუთაისი, 26,02). **400 მ.** 1. ნიკა ჯოგლიძე (ვანი, 56,23), 2. დავით ძიმისტარიშვილი (ქუთაისი, 56,98), 3. ნიკა რურუა (მარტვილი, 57,52). **800 მ.** 1. არმენ სტეფანიანი (ბორჯომი, 2.11,13), 2. ელგუჯა ბოლქვაძე (აჭარა, 2.19,19), 3. ლევან ჩაჩუა (ვანი, 2.24,36). **1500 მ.** 1. არმენ სტეფანიანი (ბორჯომი, 4.34,23), 2. ელგუჯა ბოლქვაძე (აჭარა, 4.50,98), 3. რუდიკ მინასიანი (ახალციხე, 4.55,45). **4X200 მ.** 1. თბილისი (1.43,00), 2. ქუთაისი (1.45,26), 3. აჭარა (2.03,30). **სიმაღლე.** 1. ავთანდილ ღონღაძე (150), 2. გოგა მალლაკელიძე (ორივე-ქუთაისი, 140). **სიგრძე.** 1. ავთანდილ ღონღაძე (ქუთაისი, 5,78), 2. თემურ აზრუმელაშვილი (თბილისი, 5,70), 3. ლაშა ნუცუბიძე (ქუთაისი, 5,69). **სამხტომი.** 1. ავთანდილ ღონღაძე (ქუთაისი, 13,02), 2. ჯიმი მურადოვი (თბილისი, 10,54). **ბირთვი.** 1. თორნიკე სვანიძე (თბილისი, 12,98), 2. ბაჩო სამხარაძე (თბილისი, 9,83), 3. ომარ მუშკუდიანი (ქუთაისი, 9,27).

**გუნდური: I ჯგ.** 1. თბილისი I (259), 2. ქუთაისი (218), 3. ახალციხე (102); **II ჯგ.** 1. ვანი (74), 2. ბორჯომი (56), 3. ოზურგეთი (54).

**ვაჟა დანელია**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

მე-11 გვერდიდან

ამ გამოწვევების ფონზე ქვეყნის ახალგაზრდულმა პირველობამ ინტერესი გაამართლა - უკლებლივ ყველა კანდიდატი გამოიცადა, თუმცა სხვა საქმეა, რამდენად კარგი სურათი დაიხატა. ახალგაზრდულის თავკაცი **ნუგზარ სხირელი** არც მანამდე მალავდა, რომ შარშანდელი შემადგენლობის სრულფასოვანი შემცვლელები არ ჰყავდა და ასეთთა გამოჩენას არც ელოდებოდა. მისი ვარაუდი გამართლდა, რაც იქნებ ლოგიკურიცაა - დაგვეთანხმებით, ისეთი ტიტულოვანი ფალავნების შეცვლა მართლაც არაა იოლი საქმე. თუმცა რამდენიმე ფალავნის გამოსვლა მაინც იწვევდა დიდ ინტერესს. მაგალითად, ქუთაისელი **ბექა ლომთაძის** (60) ჭიდაობა, რომელიც შარშან გამოჩნდა ასპარეზზე და უფროსებში საქართველოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (არადა, ძალზე საეჭვოდ დამარცხდა - ის შეხვედრა კვლავაც განხილვის თემაა), მერე კი ირანში ახალგაზრდებში იჭიდავა და მაზანდარანელთა მოწონება დაიმსახურა. ამჯერად ფინალში გავიდა, მაგრამ შარშანდელ ჩემპიონთან, გორელ ევროპის მედალოსან **თენგიზ ჩოჩიშვილთან** დამარცხდა. ბექასგან განსხვავებით, ოქრო მისმა ძმამ, ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორმა **ლაშა ლომთაძემ** მოიპოვა 55-ში. წლევანდელი ჩემპიონატის დადებით მხარედ იმას თუ მივიჩნევთ, რომ ჭაბუკთა ნაკრების ბევრმა წევრმა გამოცადა თავი და წარმატებაც მოიპოვა. მათთვის აქ გამოსვლა დიდი სკოლაა, ხოლო სხირელმა ისიც აღნიშნა, რომ ისინი გაისად უფრო იქნებიან მომზადებული დიდი შედეგების მოსაპოვებლად. „თაობათა ცვლის გამო წლეულს დანაკლისი დიდია. ახლანდელი ჩემპიონატის შედარებაც არ შეიძლება შარშანდელთან - ის მართლაც ოქროს თაობა იყო. ასე მაგალითად, წლეულს მძიმე წონა კრიტიკას ვერ უძლებს. ზოგადად, ამ გუნდით ძალზე ძნელი იქნება შარშანდელი შედეგების გამეორება, მაგრამ სხვა გზა არაა - უნდა ვიმუშაოთ, ვიშრომოთ და მოვინდომოთ. ამჯერად მედალოსანთა შორის ბევრია ჭაბუკთა ნაკრებიდან გადმოსული. წლეულს ისინი გამოცდილებას მიიღებენ, ადაპტაციას გაივლიან და გაისად უფრო მეტი შედეგები გვექნება.

სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, 3-ში დუშეთში დავიწყებთ შეკრებას, პარალელურად კი 18-20 მარტს გასამართი რიგის საერთაშორისო ტურნირისთვის დავიწყებთ მზადებას. სავარაუდოდ, იქ ჩემპიონები წავლენ", - გვითხრა სხირელმა.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

**50 კგ.** 1. ლევან როჭიკაშვილი (საგარეჯო), 2. ბექა ბუჯიაშვილი, 3. ლვთისო იორამაშვილი (ორივე - გორი), რამაზ დარჩიძე (აჭარა).

**B55 კგ.** 1. ლაშა ლომთაძე (ქუთაისი), 2. ბექა ქობალია (წალენჯიხა), 3. აკაკი მოწონელიძე, ლაშა ტალახაძე (ხაშური).

**60 კგ.** 1. თენგიზ ჩოჩიშვილი (გორი), 2. ბექა ლომთაძე (ქუთაისი), 3. რამინ მუთიძე (აჭარა), ზურაბ იაკობაშვილი (ყვარელი).

**66 კგ.** 1. დავით ტლაშაძე, 2. დავით გალეგაშვილი, 3. კონსტანტინე ხაბელაშვილი (გორი), დავით ბუზიაშვილი (ხაშური).

**74 კგ.** 1. ბექა პეტრიაშვილი (საგარეჯო), 2. რევაზ ივანიშვილი (თბილისი), 3. კახა თავაძე (სამტრედია), ალექსი ჭავჭავაძე (გარდაბანი).

**84 კგ.** 1. ალექსანდრე ამინაშვილი, 2. ლევან გოგრიჭიანი (თბილისი), 3. ნიკოლოზ ჩომახიძე (ხონი), ვეფხია ჯიჯავაძე (აჭარა).

**96 კგ.** 1. თედო ებანოიძე (ხარაგაული), 2. მამუკა კორძაია (აჭარა), 3. გიორგი მეშვილდიშვილი (ონი), ომარ გუსოშვილი (გორი).

**120 კგ.** 1. გიორგი ასლანიშვილი (ბოლნისი). 2. ვალერი გზირიშვილი (კასპი), 3. დავით გობეჯიშვილი (ონი), გენო პეტრიაშვილი (გორი).

ჩოგბურთი

# ტატიშვილი მექსიკაში

მექსიკის ქალაქ აკაპულკოში დაიწყო WTA-ს ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარია. **ანა ტატიშვილს** (128) სულ ცოტა დააკლდა რეიტინგით ძირითად ბადეში მოხვედრილიყო - ჩვენი თანამემამულე საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად განთესეს. პირველ წრეში ბერძენი **ელენი დანილიდუ** დაამარცხა - 7:6 (5), 4:6, 6:2. მისი მომდევნო მეტოქე უკრაინელი **ოლგა სავჩუკია.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

ლეგიონერები



მარცხნივ დავით ზირაქაშვილი

# ბრივი წელში გაიმართა, მონპელიემ წაიფორხილა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-19 ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან ოთხმა მოიგო. საგრძნობლად გამოისწორეს სატურნირო მდგომარეობა დივიზიონში დარჩენისთვის მებრძოლმა „ბრივმა" და „აჟენმა".

ტური **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივისა" და პარიზული „სტად ფრანსეს" დაპირისპირებით გაიხსნა. ამ მატჩამდე ბრიველები სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა საფეხურზე იმყოფებოდნენ და აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდათ. ჩვენებურთა გუნდმა, რომელსაც ერთ-ერთი ლიდერი, ფულბეკი **ალექსის პალისონი** აკლდა, შესანიშნავად ითამაშა და 26:10 გაიმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო პარიზელებს ერთბაშად შვიდი მოთამაშე არ ჰყავდათ, თუმცა ეს „ბრივის" დამსახურებას ოდნავაც არ აკნინებს. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე კაკოვინმა შეცვალა.

უკეთესი მდგომარეობა აქვს მე-19 ტურის შემდეგ **ბექა შეყლაშვილის** „აჟენს", რომელმაც შინ მოუგო პლეი ოფისთვის მებრძოლ **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონს" 23:13. მრისხანე მეტოქის დამარცხების შემდეგ, აჟენელებს 48 ქულა დაუგროვდათ და სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილზე არიან.

შეყლაშვილი თამაშში 58-ე წუთიდან ჩაერთო, ქუბრიაშვილი მოედანზე ერთი წუთის შემდეგ გამოჩნდა.

ლიდერთა შორის ოდნავ დათმო პოზიციები **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ", რომელიც სტუმრად დამარცხდა **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრთან" - 43:29.

თამაში უხვლელოიანი გამოდგა. გუნდებმა ოთხ-ოთხი ლელო მიითვალეს. თუმცა „კასტრს", რომელსაც საკუთარ მოედანზე წლეულს ჯერ არ წაუგია, ფულბეკ **რომენ ტულეს** ფეხჩუბინობამ მოაგებინა. სამწუხაროდ, მატჩის მე-8 წუთზე მძიმედ დაშავდა „კასტრის" შერკინების ბურჯი ანტონ ფეიქრიშვიილი, გორგოძემ სრულად ითამაშა, ჟღენტი 61-ე წუთზე შეცვალეს. გიორგაძე, ჩხაიძე, შველიძე და ნარიაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

„კასტრს" ახლა 51 ქულა აქვს და მე-5 ადგილზეა, მას ერთი ქულით უსწრებს და მეოთხეა „მონპელიე", რომელიც თავის მხრივ ერთი ქულით ჩამორჩება **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს". საფრანგეთის ჩემპიონმა მე-19 ტურში შინ დაამარცხა ბასკური „ბაიონი" - 24:19.

მასპინძლებმა პირველი ტაიმი მინიმალური სხვაობით 15:16 წააგეს. მატჩში გარდატეხის შეტანა კი ბოლო 15 წუთში შეძლეს. თავი გაიტანა მგეზავმა **ბრუკ ჯეიმზმა** გამოიჩინა, რომელმაც სამი საჯარიმო და „ვულკანებს" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა.

ზირაქაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

მეორე დივიზიონში კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა **გურამ კავთიძის** „ლიონმა", რომელმაც ერთ-ერთ კონკურენტს, მესამეადგილოსან გიორგი მენაბდიშვილის „გრენობლთან" სტუმრად ფრედ ითამაშა - 12:12.

ახლა ლიონს 73 ქულა აქვს და მეორეადგილოსან „ალბის" უკვე რვა ქულით უსწრებს. ალბელებმა, თავის მხრივ, სტუმრად წააგეს „მონ დე მარსანთან" - 10:22. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

**მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" შინ დაამარცხა დივიზიონის დებიუტანტი „კარკასონი" - 15:10. ტარბელებმა 51 ქულა დააგროვეს, მე-8 ადგილზე არიან და პლეი ოფში მოხვედრის შანსს ისევ ინარჩუნებენ.

მაგრაქველიძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო, მირცხულავას არ უთამაშია.

### I დივიზიონი

#### XIX ტური

**ბრივი-სტად ფრანსე 26:10, ბურგუენი-პერპინიანი 15:32, ლა როშელი-მეტრო რასინგი 24:32, კლერმონი-ბაიონი 24:19, კასტრი-მონპელიე 43:29, ტულუზი-ბიარიცი 23:19, აჟენი-ტულონი 23:13.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტულუზი - 64 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 57, 3. კლერმონი - 53, 4. მონპელიე - 52, 5. კასტრი - 51, 6. ბაიონი - 49, 7. ბიარიცი - 49, 8. ტულონი - 49, 9. პერპინიანი - 45, 10. სტად ფრანსე - 44, 11. აჟენი - 32, 12. ბრივი - 31, 13. ლა როშელი - 28, 14. ბურგუენი - 10.**

#### XX ტური

**კლერმონი-ტულონი, სტად ფრანსე-პერპინიანი, ბურგუენი-მეტრო რასინგი, ბიარიცი-ლა როშელი, ბრივი-კასტრი, ბაიონი-ტულუზი, მონპელიე-აჟენი.**

### II დივიზიონი

#### XXI ტური

**ნარბონი-პო 22:24, ბორდო-სენტ ეტიენი 27:3, ტარბი-კარკასონი 15:10, დაქსი-ოში 18:13, კოლომიე-ექსი 12:18, ორიაკი-ოიონაქსი 30:25, გრენობლი-ლიონი 12:12, მონ დე მარსანი-ალბი 22:10.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ლიონი - 73 ქულა, 2. ალბი - 65, 3. გრენობლი - 61, 4. ბორდო - 60, 5. მონ დე მარსანი - 51, 6. ოში - 51, 7. პო - 51, 8. ტარბი - 50, 9. ორიაკი - 50, 10. ოიონაქსი - 49, 11. კარკასონი - 49 ,12. ნარბონი -43, 13. დაქსი - 37, 14. კოლომიე - 37, 15. ექსი - 36, 16. სენტ ეტიენი - 13.**

#### XXII ტური

**სენტ ეტიენი-მონ დე მარსანი, პო-ტარბი, კარკასონი-ნარბონი, ლიონი-ორიაკი, ალბი-ბორდო, ექსი-დაქსი, ოიონაქსი-ოში, კოლომიე-გრენობლი.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ზე რაგბი

# პირველი ტური უსენსაციოდ

სამხრეთ ნახევარსფეროში საკლუბო რაგბიში ყველაზე პრესტიჟული ტურნირის, ზე რაგბის გათამაშება დაიწყო. წლეულს შეჯიბრება შეცვლილი ფორმატით ჩატარდება. 14 გუნდს, ახალი, მეთხუთმეტე „მელბურნ რებლზი" დაემატა. ისინი სამ ჯგუფში გაანაწილეს ტერიტორიული პრინციპით.

წლევანდელი ტურნირის პირველი მატჩი ველინგტონში B ჯგუფში გაიმართა, სადაც „ჰარიკენზმა" დანიდინის „ჰაილენდერზს" უმასპინძლა და 9:14 წააგო. თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა. იმდენად, რომ ჰარიკენზელთა ლიდერი, „ოლ ბლექსის" შუამარბი **მაა ნონუ** არბიტრმა 27 წუთზე ჯერ ათი წუთით გაასინბინა, ოც წუთში კი წითელი ბარათი უჩვენა.

სტუმართა გუნდიდან გამორჩეული იყო მგეზავი **ლიმა სოპოაგა,** რომელმაც ერთი ლელო და ორი საჯარიმო გაიტანა (11 ქულა).

ამავე ჯგუფში ოქლენდის „ბლუზმა" ფავორიტი ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი" დაამარცხა უმძიმეს ბრძოლაში - 24:22. პირველ ნახევარში სტუმრებმა ორი ლელო გაიტანეს და დამაჯერებლად მოიგეს -19:6.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა თამაშის ტემპს უმატეს. **ბენსონ სტენლიმ, ტონი ვუდქოკმა** და **კევინ მეალამუმ** თითო ლელო გაიტანეს, რაზეც კრუსეიდერზელებმა მხოლოდ ერთი საჯარიმოთი უპასუხეს.

A ჯგუფში სრული კრახი განიცადა ტურნირის დებიუტანტმა „მელბურნ რებლზმა", რომელმაც შინ წააგო მშრალი ანგარიშით სიდნეის „ვორათაზთან" - 43:0. სტუმრებმა ახალბედებს შვიდი ლელო გაუტანეს. აქედან ორ-ორი **დრიუ მიტჩელისა** და **ქართლი ბეილის** ანგარიშზეა. ამ მარცხის შემდეგ „რებლზის" თავკაცებმა გუნდის კიდევ უფრო გაძლიერებაზე დაიწყეს ფიქრი და გადაწყვიტეს ფრანგული „ტულუზის" მგეზავ **ფრედერიკ მიშალაკთან** დაიწყონ მოლაპარაკება.

ამავე ჯგუფში კანბერაში ადგილობრივმა „ბრამბიზმა", როგორც მოსალოდნელი იყო უპრობლემოდ სძლია ჰემილთონის „ჩიფსს" 28:20. კანბერელები პირველ ნახევარში უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ და 21-ე წუთისთვის უკვე 18:0-ს იგებდნენ.

მეორე ნახევარში მასპინძლები ოდნავ მოდუნდნენ და ჩიფსელებს სამი ლელოს გატანის საშუალება მისცეს, თუმცა საბოლოოდ თვითონაც ამდენივე ლელო მიითვალეს. გამარჯვებას კი მგეზავად მოთამაშე **მეთ გიტოს** ფეხჩუბინობის წყალობით მიაღწიეს. მან სამი საჯარიმო და ორი გარდასახვა გაიტანა (13 ქულა).

უაღრესად დაძაბული გამოდგა ბრისბენის „რედსისა" და პერთის „ფორსის" შეხვედრა, რომელიც ბრისბენელებმა მინიმალური სხვაობით 21:20 მოიგეს. სტუმრები 74-ე წუთამდე იგებდნენ. ამ დროისთვის ანგარიშში სხვაობა ექვსი ქულა იყო - 20:14. მასპინძლებს მხოლოდ ლელო თუ უშველიდა და გაიტანეს კიდეც. თავი შეცვლაზე შესულმა **ჯეიმზ ჰენსონმა** გამოიჩინა. მის გარდა ერთი ლელო ავსტრალიის ნაკრების პირველხაზელის **საია ფაინგაას** ანგარიშზეა.

ფორსელებს ოცივე ქულა მგეზავად გამწესებულმა **ჯეიმზ ოკონორმა** მიითვალა. მან ერთი ლელო და ხუთი საჯარიმო გაიტანა.

C ჯგუფში ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა პრეტორიის „ბლუ ბულზმა" სტუმრად დაამარცხა იოჰანესბურგის „ლაიონზი" - 24:20. პრეტორიელები, როგორც ფავორიტებს შეეფერება, თავიდანვე დიდი რუდუნებით შეუდგნენ საქმეს და 27-ე წუთისთვის 18:0-ს იგებდნენ, თითო ლელო **ზან კირხნერმა** და **ხერარდ ფაზ დერ ევერმა** მიითვალეს. ძველებურად ზუსტად ურტყამდა კარში მგეზავი **მორნი სტეინი,** მან ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (14 ქულა)

მასპინძლები შესვენების შემდეგღა გამოფხიზლდნენ, **მარტინ ბეზუიდენჰაუტმა, მიქაელ მურეიმ** და **უორენ ვაითლიმ** თითო-თითო ლელო გაიტანეს. თუმცა მატჩის გადასარჩენად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ამავე ჯგუფში დურბანის „ნატალ შარქსმა" შინ მოუგო ბლუმფონტეინის „ჩიტაზს" - 24:9. ჩიტაზელებმა მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ნახევარში გასწიეს. „ზვიგენებმა" კბილები მეორე ტაიმში გამოაჩინეს. თითო ლელო **ბისმარკ დუ პლესიმ** და **ჟაკ ბოთამ** მიითვალეს. ერთი გარდასახვა და სამი საჯარიმო **პატრიკ ლამბიეს** ანგარიშზეა.

### ზე რაგბი. I ტური

#### A ჯგუფი

**მელბურნ რებლზი-ვორათაზი 0:43, ბრამბიზი-ჩიფსი 28:20, რედსი-ფორსი 21:20.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ვორათაზი - 5 ქულა, 2. ბრამბიზი - 4, 3. რედსი - 4, 4. ფორსი - 1, 5. მელბურნ რებლზი - 0.**

#### B ჯგუფი

**ჰარიკენზი-ჰაილენდერზი 9:14, ბლუზი-კრუსეიდერზი 24:22**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ჰაილენდერზი - 4 ქულა, 2. ბლუზი - 4, 3. კრუსეიდერზი - 1, 4. ჰარიკენზი - 1, 5. ჩიფსი - 0.**

#### C ჯგუფი

**ნატალ შარქსი-ჩიტაზი 24:9, ლაიონზი-ბლუ ბულზი 20:24**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ნატალ შარქსი - 4 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 4, 3. ლაიონზი - 1, 4. სტორმერზი - 0, 5. ჩიტაზი - 0.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი


მილოშ ტეოდოშიჩი

# ევროპაში ტეოდოშიჩი აირჩია

23 წლის სერბი **მილოშ ტეოდოშიჩი** ევროპის 2010 წლის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს. ორი გამოკითხვის თანახმად, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ გულშემატკივრები, ჟურნალისტები და მწვრთნელები, სერბმა პირველი ადგილი დაიკავა. მან უკან ჩამოიტოვა NBA-ში მოთამაშე კალათბურთელები - ესპანელი **პაუ გასოლი** და გერმანელი **დირკ ნოვიცკი**, რომლებმაც შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

ჟურნალისტებისა და მწვრთნელების გამოკითხვაში ტეოდოშიჩი მეორე იყო 195 ხმით. გასოლმა 203 ხმა მიიღო. სამაგიეროდ, გულშემატკივრებმა დიდი უპირატესობით გაამარჯვებინეს სერბს - მილოშს 13160 ხმა ჰქონდა, პაოს - 6213. ამ ორი გამოკითხვის მონაცემებით შეადგინეს რეიტინგი, რომელშიც ტეოდოშიჩმა 0.169 ქულა დაიმსახურა, გასოლმა - 0.167.

2010 წელს ტეოდოშიჩი სერბეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლაში დაეხმარა, ხოლო საბერძნეთის „ოლიმპიაკოსთან" ერთად ევროლიგის „ოთხთა ფინალში" ითამაშა.

■ ■ ■

ევროლიგის მოქმედმა ჩემპიონმა „ბარსელონამ" სეზონის ბოლომდე დაკარგა თავისი ერთ-ერთი ლიდერი - ამერიკელი ფორვარდი **პიტ მიკელი**. ამ კალათბურთელმა ამერიკაში მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მზად იყო მოედანზე დასაბრუნებლად, მაგრამ ხელმეორედ დაშავდა.

ამჯერად ექიმებმა მიკელს თირკმლის არტერიის თრომბოემბოლია დაუდგინეს - მეტად უსიამოვნო დაავადება, რომელიც ფეხების სრულფასოვან მუშაობას უშლის ხელს. ახლა მიკელი კიდევ ოთხი თვე დაისვენებს, რაც შეუძლებელს ხდის მის წლევანდელ სეზონში გამოჩენას.

ეს იმას ნიშნავს, რომ **ალან ანდერსონი**, რომელიც დროებით მიიწვიეს „ბარსელონაში" მიკელის შესაცვლელად, კატალონიაში სეზონის ბოლომდე დარჩება.

■ ■ ■

ცნობილი ლიტველი ვეტერანი კალათბურთელი, კაუნასის „ჟალგირისის" ყოფილი კაპიტანი **დაინიუს შალენგა** დოპინგის მიღებისთვის ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ასეთ ვერდიქტი გამოუტანა მას კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ. 33 წლის შალენგა გადაურჩა ორწლიან დისკვალიფიკაციას, რადგან დაამტკიცა, რომ აკრძალული პრეპარატი - მეთილნექსანამინი მის ორგანიზმში შემთხვევით მოხვდა.

შალენგა დოპინგზე დეკემბერში რუსეთის „ხიმკისთან" მატჩის შემდეგ ჩავარდა. მოგვიანებით კალათბურთელთან კონტრაქტი განყვიტა „ჟალგირისმა".

# დერონი ჯაზიდან მიდის?

მოულოდნელი ამბავი გავრცელდა სოლტ-ლეიკ-სიტიდან. მიუხედავად იმისა, რომ „იუტა ჯაზი" დატოვა მთავარმა მწვრთნელმა **ჯერი სლოუნმა**, გუნდის ლიდერი **დერონ უილიამსი** მაინც უკმაყოფილოა. როგორც ამერიკელები წერენ, „იუტას" გამთამაშებელი გუნდში თავისი მდგომარეობის გამო ჩივის. ამიტომაც ალაპარაკდნენ „ჯაზიდან" დერონის სავარაუდო წასვლის შესახებ.

თანაც უილიამსს კონტრაქტის მიხედვით ექნება სხვაგან გადასვლის შესაძლებლობა. 2012 წელს მას შეუძლია გამოიყენოს ხელშეკრულებაში არსებული პუნქტი და სრულიად უპრობლემოდ შეწყვიტოს კონტრაქტი, რაც ავტომატურად თავისუფალ აგენტად აქცევს.

■ ■ ■

გაირკვა 12 კალათბურთელის ვინაობა, რომლებიც წელს NBA-ის დიდების დარბაზში მოხვედრაზე აცხადებენ პრეტენზიას. მათ შორის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხუთი ყოფილი ვარსკვლავია - **კრის მულინი**, **მორის ჩიქსი**, **რალფ სემპსონი**, **ჯამაალ უილკესი** და ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ექსტრავაგანტული კალათბურთელი **დენის როდმანი**. გარდა ამისა, ნომინანტებს შორის მოხვდნენ NCAA-ის ლიგაში მოგებების რაოდენობით რეკორდსმენი მწვრთნელი **ჰერბ მაგი**, NBA-ის ყოფილი მწვრთნელები **დიკ მოტა** და **ტეივს ვინტერი**, მსაჯი **ჰენკ ნიკოლსი** და **ელ ეტლსი**, რომელმაც ლიგაში სხვადასხვა თანამდებობებზე 50 წელი იმუშავა.

ოთხ აპრილს გაირკვევა, ვინ გახდება მათგან დიდების დარბაზის წევრი. შესაბამისი ინფორმაცია NCAA-ის „ოთხთა ფინალის" დროს გამოცხადდება.


დერონ უილიამსი

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ციებ-ცხელება დაიწყო

სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღის მოახლოებასთან ერთად ჰოკეის ეროვნული ლიგის გუნდებმა აქტიურად დაიწყეს ერთმანეთში ჰოკეისტების გაცვლა. პირველი დიდი გაცვლა „ბოსტონმა" და „ტორონტომ" განახორციელეს. კანადურმა კლუბმა „დათვების" რიგებში გაუშვა თავისი ერთ-ერთი სიმბოლო - 32 წლის ჩეხი მცველი **ტომაშ კაბერლე**, რომელიც 1996 წლიდან მოყოლებული მხოლოდ „ტორონტოში" თამაშობდა. ვეტერანის სანაცვლოდ „ბოსტონმა" 2011 წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევანი და 21 წლის პერსპექტიული ცენტრფორვარდი **ჯო კოლბორნი** დათმო.

კაბერლემ ამ სეზონში 58 მატჩში 38 ქულა (3+35) დააგროვა.

„ბოსტონს" ჩეხი მცველის დამატების შემდეგ სახელფასო ბიუჯეტის განტვირთვა სჭირდებოდა, ამიტომაც „ატლანტასთან" განახორციელა ერთი საინტერესო ტრეიდი. „ტრეშერსის" რიგებში გაუშვა ფორვარდი **ბლეიკ ველერი** და მცველი **მარკ სტიუარტი**, ხოლო „დათვები" „გადაიქცნენ" თავდამსხმელი **რიჩ პევერლი** და მცველი **ბორის ვალაბიკი**.

24 წლის ველერსა და 26 წლის სტიუარტს ამ სეზონში შესაბამისად 27 (11+16) და 5 (1+4) ქულა აქვთ დაგროვილი, 28 წლის პევერლის მონაგარი კი 34 ქულას (14+20) შეადგენს.

■ ■ ■

„ბოსტონის" მსგავსად იაქტიურა „სენტ ლუისმაც", რომელმაც შემადგენლობის გაახალგაზრდავებისკენ აიღო გეზი. სწორედ ამით აიხსნება „ტამპა ბეიში" კაპიტნისა და წამყვანი მცველის **ერის ბრიუერის** გაშვება. 31 წლის ჰოკეისტის სანაცვლოდ „ბლუზმენებმა" „ლაითნინგისგან" 2011 წლის დრაფტის მესამე რაუნდის არჩევანი და ახალგაზრდა მცველი **ბრუკ ბუკებომი** მიიღეს.

ამის შემდეგ „სენტ ლუისის" ხელმძღვანელობა „კოლორადოს" გაურიგდა და ამ გუნდთან ტრეიდში ოთხი მოთამაშე ჩართო. კერძოდ, „ბლუზის" მცველი **ერიკ ჯონსონი** და ფორვარდი **ჯეი მაკლემანი** „კოლორადოში" გააგრძელებენ კარიერას, ხოლო „ზვავების" თავდამსხმელი **კრის სტიუარტი** და მცველი **კევინ შატენკირკი** „სენტ ლუისის" შემადგენლობას შეავსებენ.

22 წლის ერიკ ჯონსონი 2006 წლის დრაფტის პირველი ნომერია. მან ამ სეზონში 54 მატჩში 18 ქულის (5+13) დაგროვება მოასწრო. შეგახსენებთ, რომ ერიკმა ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში ვანკუვერის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

27 წლის ფორვარდმა ჯეი მაკლემანმა მიმდინარე ჩემპიონატში 16 ქულა (6+10) მოიპოვა.

რაც შეეხება 23 წლის კრის სტიუარტს, მას 36 მატჩში 30 ქულა (13+17) აქვს, ახალგაზრდა მცველ კევინ შატენკირკს - 46 მატჩში 26 ქულა. ის ამ სეზონის დებიუტანტია.

### 18 თებერვალი

**კაროლინა-ფილადელფია 3:2**

2:0, 0:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ლაროუზი-11 (კორვო-22), 2:0 სკინერი-22 (ჰარისონი-5), 2:1 ბეტსი-4 (პოუ-9, პრონგერი-20), 2:2 ქობურნი-2 (ბრიერი-22, ლეინო-27), 3:2 კოული-17 (ი. იოკინენი-27, ე. სტაალი-31).

**ნიუ ჯერსი-რეინჯერსი 1:0**

0:0, 1:0, 0:0

**გოლი:** 1:0 კოვალჩუკი-21 (ვოლჩენკოვი-5).

**ბაფალო-სტ. ლუისი 0:3**

0:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ოში-4 (ბერგლუნდი-20, ენდი მაკდონალდი-14), 0:2 ბეკსი-21 (პიეტრანჯელო-22, ოში-13), 0:3 სობოტკა-6 (ე. ჯონსონი-14).

**ფლორიდა-დეტროიტი 3:4**

1:2, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 ბერტუცი-13 (ზეტერბერგი-47, რაფალსკი-33), 0:2 ქლირი-19 (დაციუკი-31, ჰუდლერი-20), 1:2 დვორაკი-7 (ვივერი-9, რისონერი-14), 1:3 დაციუკი-17, 2:3 ვიდემანი-9 (უეისი-23), 3:3 უეისი-16 (ბუტი-14, სკილი-11), 3:4 ბერტუცი-14 (ფრანცენი-18, ზეტერბერგი-48).

**ოტავა-ბოსტონი 2:4**

0:0, 1:1, 1:3

**გოლები:** 1:0 ბატლერი-3 (სპეცა-16, მ. მიხალეკი-12), 1:1 მარჩანდი-17 (სეგუინი-11, ფერენსი-9), 1:2 ჰორტონი-15 (კრეისი-33, ფერენსი-10), 1:3 საიდენბერგი-6 (ჰორტონი-23, კრეისი-34), 1:4 მარჩანდი-18 (პ. ბერჟერონი-28, რეკი-30), 2:4 კოვალიოვი-14 (კუბა-6, რეგინი-14).

**მინესოტა-ანაჰაიმი 5:1**

2:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 პერი-30 (რაიანი-20, გეტცლაფი-32), 1:1 მ. კოივუ-15 (ბრუნეტი-19, მიეტინენი-16), 2:1 კულენი-12 (ბროძიაკი-14), 3:1 ნისტრიომი-2 (მადენი-9), 4:1 ბროძიაკი-12 (კლატერბეკი-11, ბუშარი-15), 5:1 ჰავლატი-17 (ბროძიაკი-15, ბუშარი-16).

**ჩიკაგო-კოლამბუსი 3:4**

2:1, 1:3, 0:0

**გოლები:** 0:1 კალვერტი-5, 1:1 შარპი-29 (პ. კეინი-29), 2:1 შარპი-30 (ტეუვზი-32, პ. კეინი-30), 2:2 ვერმეტი-14 (ნეში-26, კლიტსომი-8), 2:3 მაკენზი-4 (კალვერტი-3, უმბერგერი-23), 2:4 სტრალმანი-1 (ჰუსლიუსი-9, უმბერგერი-24), 3:4 პ. კეინი-19 (ტეუვზი-33, შარპი-22).

### 19 თებერვალი

**ედმონტონი-ატლანტა 5:3**

0:1, 1:1, 4:1

**გოლები:** 0:1 ბიფულინი-18, 0:2 ლედი-21 (ველერი-17, ენსტრიომი-37), 1:2 პააიარვი-10 (უმარკი-12, გილბერტი-13), 1:3 ე. კეინი-17 (ბოგოსიანი-8, ჰეინსი-8), 2:3 ტ. ჰოლი-18 (ჰემსკი-26, ფოსტერი-11), 3:3 ტ. ჰოლი-19 (ჰემსკი-27, გილბერტი-14), 4:3 ტ. ჰოლი-20 (სემ განიე-23, შმიდი-9), 5:3 ჰემსკი-13 (ჰორკოფი-15, პეკჰემი-8).

**კაროლინა-ნიუ ჯერსი 1:4**

0:3, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ზუბრუსი-12 (ფეინი-6, ელიაში-30), 0:2 ტალინდერი-3 (კოვალჩუკი-20, პალმიერი-3), 0:3 როლსტონი-10 (ვოლჩენკოვი-6, ელიაში-31), 1:3 დუაიერი-8 (მაკბეინი-17, სემსონი-1), 1:4 ზუბრუსი-13 (ელიაში-32).

**აილენდერსი-ლოს ანჯელესი 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ნილსენი-7 (გრაბნერი-11), 2:0 მოულსონი-22 (ტავარესი-27, პარენტო-22), 3:0 მოულსონი-23 (პარენტო-23, ტავარესი-28).

**ტორონტო-ოტავა 0:1 (ბ)**

0:0, 0:0, 0:0, 0:0

**ბულიტები გაიტანეს:** სპეცა (ოტავა).

**ტამპა ბეი-ფლორიდა 2:3 (ბ)**

1:0, 0:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 მ-ა. ბერჟერონი-2 (რ. ჯონსი-11, სენტ ლუისი-49), 1:1 ბუტი-17 (ვიდემანი-23, უეისი-24), 2:1 ბერგენჰაიმი-12 (მური-10, ა. ჰოლი-24), 2:2 სანტორელი-16 (სტილმანი-16, მაკეიბი-17).

**ბულიტები გაიტანეს:** სანტორელი (ფლორიდა).

**ნეშვილი-ფინიქსი 2:3**

0:0, 1:2, 1:1

**გოლები:** 0:1 იენდლი-10 (ბელანჟე-18), 0:2 პაიტი-15 (ებეტი-1), 1:2 ს. კოსტიცინი-16 (ფიშერი-12, ერატი-21), 1:3 კორპიკოსკი-13 (ფიდლერი-9, მორისი-9), 2:3 შ. უებერი-12 (ერატი-22, ჰორნკვისტი-16).

**სტ. ლუისი-ანაჰაიმი 9:3**

4:3, 4:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ი. რუუტუ-3 (მაკმილანი-8), 0:2 სელიანე-19, 1:2 ენდი მაკდონალდი-11 (ოში-14, ბეკსი-22), 2:2 ოში-5 (სტინი-26, კოლაიაკოვო-14), 3:2 კოლაიაკოვო-5 (ბეკსი-23, სტინი-27), 3:3 გეტცლაფი-15 (ვიშნოვსკი-37, მარჩანტი-7), 4:3 ენდი მაკდონალდი-12 (პიეტრანჯელო-23, ჯეკმენი-11), 5:3 ბეკსი-22 (ბოიესი-27), 6:3 ოში-6 (ბერგლუნდი-21, პიეტრანჯელო-24), 7:3 კ. სტიუარტი-14 (ენდი მაკდონალდი-15, პიეტრანჯელო-25), 8:3 კ. სტიუარტი-15 (შატენკირკი-20), 9:3 სტინი-17.

**ვანკუვერი-დალასი 5:2**

1:1, 1:0, 3:1

**გოლები:** 1:0 დ. სედინი-31 (ჰ. სედინი-57), 1:1 ჯ. ნილი-21 (ლ. ერიქსონი-36), 2:1 ტორესი-12 (რომი-4), 3:1 დ. სედინი-32 (ჰ. სედინი-58, ბაროუზი-20), 3:2 მოროუ-25 (ლანგენბრუნერი-16, რიბეირო-38), 4:2 ჰ. სედინი-14 (დ. სედინი-45, ბაროუზი-21), 5:2 ტორესი-13 (მალორტა-15, ჰანსენი-12).

**სან ხოსე-კოლორადო 4:0**

3:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 სეტოგუჩი-13 (დემერსი-16, მიურეი-7), 2:0 სეტოგუჩი-14 (ი. უაიტი-15, დემერსი-17), 3:0 ქლოუ-16 (კუტური-14, ჯ. ტორნტონი-35), 4:0 სეტოგუჩი-15.


კაბერლე დათვებში გადავიდა

## ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

# ცეცხლი ტემზაზე

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა თამაშების გახსნის დღეს მთავარ არენაზე ოლიმპიური ჩირაღდნის მიტანის მეტად ორიგინალური ხერხი მოიფიქრეს - ცეცხლი დანიშნულების ადგილას მდინარე ტემზას გავლით მივა.

გახსნის ცერემონიის სცენარისტთა ჩანაფიქრით, 2012 წლის 27 ივლისს ოლიმპიური ჩირაღდანი ნავის მეშვეობით მოძრაობას დაიწყებს ლონდონის გარეუბანში მდებარე სამეფო სასახლე ჰემპტონ-კორტიდან. დანიშნულების ადგილი იქნება ბრიტანეთის დედაქალაქის ცენტრი, კერძოდ, სტარფორდის რაიონი, სადაც მდებარეობს ოლიმპიური პარკი. სწორედ ამ ჩირაღდნის მეშვეობით აინთება ცეცხლი ოლიმპიურ სტადიონზე.

ტემზას გავლით მარშრუტის არჩევა შემთხვევით არ მომხდარა - ჩანაფიქრის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩირაღდნის ესტაფეტისას მთელ მსოფლიოს ექნება საშუალება დატკბეს ლონდონის ძირითადი ღირსშესანიშნაობების ხილვით, გარდა ამისა, მდინარეზე მოძრაობა საავტომობილო გზებს განტვირთავს. და კიდევ, გახსნის ცერემონიის რეჟისორები გვახსენებენ ძველ ტრადიციებს, როცა ტემზას სხვადასხვა საზეიმო დღესასწაულის მოსაწყობად იყენებდნენ. იმ არეულობებისა და სკანდალების შემდეგ, რომელიც თან უძლოდა პეკინის ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტას, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ მომავალში ასეთი საერთაშორისო ესტაფეტები აღარ გაიმართება.

ბრიტანეთში 2012 წლის ზაფხულის თამაშების ჩირაღდანი მომავალი წლის 18 მაისს ჩავა, რის შემდეგაც გაიმართება ეროვნული ესტაფეტა გაერთიანებული სამეფოს 69 ღირსშესანიშნავ ადგილას. დაწვრილებით მარშრუტის შესახებ მოგვიანებით გამოაცხადებენ, ამასთან, ბოლო მომენტამდე საიდუმლოდ შეინახავენ ინფორმაციას ქუჩების შესახებ, სადაც ჩირაღდანი უნდა ჩამოატარონ. ეს პროვოკაციებისა და საპროტესტო აქციების თავიდან ასაცილებლად ხდება.

■ ■ ■

როგორც იტალიური პრესა წერს, „ფერარის" პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეძემოლო**, შესაძლოა, სათავეში ჩაუდგეს რომის 2020 წლის საოლიმპიადო განაცხადს. ორი დღის წინ დე მონტეძემოლო იტალიის მთავრობის თავმჯდომარეს შეხვდა და განიხილა თავისი მომავალი როლი და შემოთავაზების პირობები.

*„დი მონტეძემოლო ამ როლისთვის ყველაზე შესაფერისი კანდიდატურაა. მას მთელ მსოფლიოში კარგად იცნობენ და ეს ჩვენს შანსებს კიდევ უფრო გაზრდის"*, - ამბობს იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჯოვანი პეტრუჩი**.

სხვათა შორის, შორეულ 1990 წელს დი მონტეძემოლო იტალიაში გამართული მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

რომი ჯერჯერობით ერთადერთი კანდიდატია 2020 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძლობაზე. ოლიმპიადის დედაქალაქს 2013 წელს აირჩევენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# რედ ბული დომინირებს


ფეტელმა ორი ტესტი მოიგო

ფორმულა 1-ის ახალი სეზონის წინ მორიგი სატესტო სერია ბარსელონაში დაიწყო. კატალონიის დედაქალაქი ჩემპიონატის მონაწილეებს წვიმიანი ამინდით შეხვდა და პილოტებს პირველად მიეცათ „პირელის" წვიმისა და გარდამავალი საბურავების გამოცდის საშუალება.

ასფალტი ტესტების დაწყებიდან სამი საათის შემდეგ გაშრა და მონაწილეებს სლიკებზე გადასვლის საშუალება მიეცათ. სესიის დასრულებამდე 10 წუთით ადრე მოქმედმა ჩემპიონმა **სებასტიან ფეტელმა** წრე წუთსა და 24.374 წამში გაიარა და ეს იყო პირველ დღეს საუკეთესო შედეგი. სხვათა შორის, „რედ ბულს" ტექნიკური პრობლემების გამო მოუწია ტესტების პროგრამის შემცირებამ, მაგრამ მექანიკოსებმა დღის ბოლოსთვის შეძლეს მანქანის ტრასაზე დაბრუნება.

დღის მეორე დრო აჩვენა ფერნანდო ალონსომ. დილით ესპანელი აეროდინამიკურ სიახლეებს ამოწმებდა, შემდეგ კი „პირელის" საბურავების ეფექტურობას აფასებდა. „რედ ბულისგან" განსხვავებით, F150th Italia-ს ტექნიკური პრობლემები არ შექმნია.

■ ■ ■

ტესტების მეორე დღეს პილოტებს მშრალ ამინდში მოუწიათ გამოსვლამ. ისევე როგორც წინა დღეს, პირველობა ამჯერადაც ფეტელმა მოიპოვა. ოღონდ გერმანელმა წინა დღის შედეგს წამზე მეტი ჩამოაკლო. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ დილით სება კვალიფიკაციის რეჟიმში მუშაობდა და ტრასაზე თითქმის ცარიელი ავზით მოძრაობდა. დღის მეორე ნახევარში მან რბოლის იმიტაცია ჩაატარა, მაგრამ სრულფასოვანი ვარჯიში არ გამოუვიდა, რადგან ჯერ ტესტები **პოლ დი რესტას** ავარიის გამო შეწყდა, შემდეგ კი თავად ფეტელმა გააჩერა თავისი RB7 ტექნიკური პრობლემების გამო.

სხვა პილოტებმაც ჩაატარეს რბოლის იმიტაცია, მაგრამ ფეტელის მიერ დილით ნაჩვენები დრო შეუცვლელი დარჩა. სხვათა შორის, ერთბაშად ხუთმა პილოტმა წამზე ნაკლები წააგო გერმანელთან. ამ ხუთ პილოტს შორის იყო „ლოტუს-რენოს" გერმანელი ახალწვეული **ნიკ ჰაიდფელდი**, რომელიც მეხუთე ადგილზე გავიდა, არადა, წინა დღეს ნიკს ბოლო პოზიცია ეკავა.

კარგ ფორმას აჩვენებს ესპანელი **ხაიმე ალგერსუარი** - ესპანელმა თავისი „ტორო როსოთი" ორივე დღეს სამეულში შესვლა მოახერხა.

არ გაუმართლა **ჯენსონ ბატონს**. „მაკლარენით" მოასპარეზე ბრიტანელი რამდენჯერმე წრეების მოკლე სერიაზე წავიდა, მაგრამ მუდმივად ბოქსებში უწევდა დაბრუნება - მის ბოლიდს ჰიდრავლიკასთან დაკავშირებული პრობლემები გაუჩნდა და მექანიკოსებმა კარგა ხანი გააჩერეს „მაკლარენი" ბოქსებში.

| I დღე | |
|---|---|
| 1. ფეტელი (რედ ბული) | 1:24.374 (37 წრე) |
| 2. ალონსო (ფერერი) | +1.111 (101) |
| 3. ალგერსუარი (ტორო როსო) | +1.264 (57) |
| 4. კობაიაში (ზაუბერი) | +1.267 (78) |
| 5. ბატონი (მაკლარენი) | +1.991 (77) |
| 6. დი რესტა (ფორს ინდია) | +2.201 (26) |
| 7. ბარიკელო (უილიამსი) | +2.538 (52) |
| 8. შუმახერი (მერსედესი) | +3.138 (90) |
| 9. კართიკეიანი (HRT) | +4.019 (116) |
| 10. კოვალაინენი (ლოტუსი) | +5,691 (54) |
| 11. დ'ამბროზიო (ვირჯინი) | +6.576 (116) |
| 12. პეტროვი (ლოტუს-რენო) | +10.800 (20) |
| 13. ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) | +19.950 (27) |

| II დღე | |
|---|---|
| 1. ფეტელი (რედ ბული) | 1:23.315 (104) |
| 2. ალგერსუარი (ტორო როსო) | +0.204 (97) |
| 3. ალონსო (ფერერი) | +0.663 (90) |
| 4. ბარიკელო (უილიამსი) | +0.693 (118) |
| 5. ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) | +0.927 (41) |
| 6. კობაიაში (ზაუბერი) | +0.928 (125) |
| 7. როსბერგი (მერსედესი) | +1.415 (131) |
| 8. ბატონი (მაკლარენი) | +1.608 (54) |
| 9. დი რესტა (ფორს ინდია) | +1.879 (80) |
| 10. კოვალაინენი (ლოტუსი) | +3.106 (58) |
| 11. პეტროვი (ლოტუს-რენო) | +3.569 (61) |
| 12. ლიუცი (HRT) | +3.729 (70) |
| 13. გლოკი (ვირჯინი) | +3.927 (66) |
| 14. ტრულის (ლოტუსი) | +8.269 (26) |

ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| თურქეთი | |
|---|---|
| ბეშიქთაში-ალიაგა | 98:74 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-მარუსი | 92:76 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| მენორკა-ალიკანტე | 70:79 (ო) |
| სარაგოსა-ბარსელონა | 67:87 |
| მანრესა-ხუვენტუდი | 99:67 |
| ესტუდიანტესი-ხირონა | 88:81 |
| კახასოლი-უნიკახა | 82:77 |
| ბილბაო-ვალიადოლიდი | 93:70 |
| კახა ლაბორალი-გრანადა | 78:63 |

| იტალია | |
|---|---|
| ბრინდიზი-მილანი | 74:76 (ო) |
| კაზერტა-მონტეპასკი | 91:84 |
| ტერამო-კანტუ | 69:96 |
| რომა-აველინო | 80:70 |
| ბოლონია-სკავოლინი | 71:70 |
| მონტეგრანარო-ვანოლი | 67:89 |
| ბიელა-სასარი | 74:94 |

| გერმანია | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-სკაილაინერსი | 67:68 |
| გოტინგენი-ულმი | 103:93 (ო) |

| ისრაელი | |
|---|---|
| ბნეი ჰაშარონი-ირონი | 96:75 |
| მაკაბი (ჰ)-მაკაბი (თ-ა) | 86:100 |
| ელიცური-ჰაპოელი (ი) | 93:103 |

**ჰოკეი**

| NHL | |
|---|---|
| ბაფალო-ვაშინგტონი | 1:2 |
| რეინჯერსი-ფილადელფია | 2:4 |
| მინესოტა-დეტროიტი | 1:2 (ბ) |
| ჩიკაგო-პიტსბურგი | 3:2 (ბ) |

| კჰლ | |
|---|---|
| ატლანტი-ბარისი | 2:1 (ო) |
| ლოკომოტივი-ავანგარდი | 1:2 |
| სევერსტალი-ნეფტიხიმიკი | 6:3 |
| სკა-აკ ბარსი | 4:3 (ბ) |
| ტორპედო-იუგრა | 6:2 |
| დინამო (მ)-სიბირი | 2:1 (ბ) |
| სპარტაკი-ავტომობილისტი | 4:1 |
| ცსკა-ს. იულიაევი | 1:5 |
| დინამო (მნ)-მეტალურგი (მ) | 1:2 |
| დინამო (რ)-ტრაქტორი | 6:2 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ალგა-ზალცბურგი | 5:3 |
| ოლიმპია-ზაგრები | 1:2 (ო) |
| ლინცი-აკრონი | 4:3 (ბ) |
| გრაცი-კლაგენფიურტი | 2:3 |
| ვილახი-ვენა | 5:2 |

| გერმანია | |
|---|---|
| ნიურნბერგი-აისბარენი | 2:0 |
| კიოლნი-მანჰაიმი | 6:4 |
| ინგოლშტადტი-მიუნხენი | 2:3 (ბ) |
| კრეფელდი-აუგსბურგი | 3:2 |
| იზერლონი-შტრაუბინგი | 2:0 |
| ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2:1 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ვოლერენგა-ლორენსკოგი | 3:2 |
| სტორჰამარი-სტიორნენი | 2:1 |
| ფრისკ ასკერი-ლილეჰამერი | 6:1 |
| რუსენბორგი-მანგლერუდი | 4:3 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| პოპრადი-სლოვანი | 3:2 |
| ბისტრიცა-კოშიცე | 2:3 |
| სკალიცა-ჟილინა | 6:1 |
| ტრენჩინი-ნიტრა | 1:2 (ბ) |
| მარტინი-ზვოლენი | 3:2 |

| ფინეთი | |
|---|---|
| იოკერიტი-ბლუზი | 1:2 (ბ) |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ბრნო-სლავია | 1:5 |
| პარდუბიცე-ბოლესლავი | 1:0 |
| ვიტკოვიცე-ტრშინეცი | 5:4 |
| პლზენი-ულინი | 1:0 |
| კლადნო-ლიტვინოვი | 3:5 |
| კარლოვი ვარი-სპარტა | 1:2 |
| ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 5:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. მარსელი | |
|---|---|
| სიოდერლინგი-ჩილიჩი | 6:7, 6:3, 6:3 |

| WTA. ბოგოტა | |
|---|---|
| იოჰანსონი-დომინგეს ლინო | 6:2, 3:6, 2:6 |

| WTA. დუბაი | |
|---|---|
| ვოზნიაცკი-კუზნეცოვა | 6:1, 6:3 |

სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ავსტრია ქალებმა გაქაჩეს

ავსტრიის ქალთა ნაკრებმა გააგრძელა მსოფლიოს ჩემპიონატზე დომინირება და ბოლო სტარტზეც - სპეციალურ სლალომში მოიპოვა პირველობა. ამ სახეობაში ავსტრიელთა ტრიუმფი მოსალოდნელი იყო. წელს სლალომში შანსს არავის უტოვებს **მარლის შილდი**. გარმიშში ის პირველი გავიდა ტრასაზე და ისეთი ტემპი განავითარა, მისი პოდიუმზე მოხვედრის საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. ავსტრიელმა ყველა კონკურენტი ჩამოიცილა ფინელი **ტანია პოუტიაინენის** გარდა, რომელიც მხოლოდ 0.21 წამით ჩამორჩა ლიდერს. მიუხედავად ამისა, მეორე ცდის წინ შილდი მაინც აშკარა ფავორიტი იყო.


ჟან-ბატისტ გრანჟი

პოუტიაინენმა მეორე ცდა აშკარად ჩააგდო და საბოლოოდ, მეექვსე ადგილი გაიყო **მანუელა მოელგთან**. საერთოდ, ფინელი მარლის შილდთან ერთად ამ სეზონის ყველაზე სტაბილურ სლალომისტად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ამ ჩემპიონატზე სკანდინაველს ჩავარდნა ელოდა.

მარლის შილდმა კი უპრობლემოდ მოიგო ოქრო. საბოლოოდ, მას კონკურენცია არა პოუტიაინენმა, არამედ თანამემამულე **კატრინ ცეტელმა** გაუწია, რომელიც მეორე ცდისას შეუდარებელი იყო. ავსტრიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი შილდისგან ოქროს ელოდა, მაგრამ ეს დუბლი მისთვისაც მოულოდნელობა აღმოჩნდა. საბოლოოდ, ამ ქვეყნის ქალმა მოთხილამურეებმა ჩემპიონატი რვა მედლით დაასრულეს.

მესამე ადგილი შვედმა **მარია პიტელი-ჰოლმნერმა** მოიპოვა. ამ სკანდინაველმა წელს ძალიან მოუმატა, იმდენად, რომ სლალომში უმედლოდ დატოვა გერმანული პუბლიკის საყვარელი სპორტსმენი **მარია რიში**.

■ ■ ■

ტრადიციულად მსოფლიოს ჩემპიონატი მამაკაცების სპეციალურმა სლალომმა დაასრულა. აქ ორი გამოკვეთილი ფავორიტი იყო - ფრანგი **ჟან-ბატისტ გრანჟი** და ხორვატი **ივიცა კოსტელიჩი**. მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ გაამართლა ეს სტატუსი. პირველი ცდის შემდეგ მსოფლიოს თასის ლიდერი მეხუთე იყო და წამზე მეტს აგებდა ლიდერთან. მეორე დაშვებისას ივიცა რისკავდა, მაგრამ მხოლოდ მერვე ადგილი დაიკავა.

სამაგიეროდ, ყველაფერი გამოუვიდა გრანჟს - პირველი ცდაც მოიგო და მეორეშიც ღირსეულად გამოიყურებოდა. თუმცა შესამჩნევი იყო, რომ ფრანგი ოდნავ ნერვიულობდა და მეორე ცდისას ორჯერ კინაღამ გამოეთიშა ბრძოლას. და მაინც, ფრანგმა დაამტკიცა, რომ წელს სლალომში ყველაზე ძლიერია.

მოულოდნელად ვერცხლის მედალი **იენს ბიგმარკმა** მოიგო, რომელიც უძლიერესთა ჯგუფში არ შედის. ეს შვედი ორი წლის წინ გაიცნო სპორტულმა საზოგადოებამ, როცა მსოფლიოს თასზე სლალომის ორი ეტაპი მოიგო, მაგრამ ამაზე გაჩერდა.

იტალიელ **მანფრედ მოელგს** დიდი ხანი არ გაუხარებია თავისი გულშემატკივარი დიდი წარმატებებით. აპენინელი პირველი ცდის შემდეგ მეორე იყო. მეორე დაშვება არ გამოუვიდა, მაგრამ პოდიუმზე მაინც შეინარჩუნა ადგილი და არ გაუშვა წინ ავსტრიელი **მარიო მატი**, რომელსაც ბრწყინვალე მეორე ცდა ჰქონდა. ქალებისგან განსხვავებით, ავსტრიელმა კაცებმა ეს ჩემპიონატი ჩააგდეს - მათ ერთი მედალიც არ მოუგიათ.

**სლალომი**

| ქალები | |
|---|---|
| 1. მარლის შილდი (ავსტრია) | 1:45.79 |
| 2. კატრინ ცეტელი (ავსტრია) | +0.34 |
| 3. მარია პიტელი-ჰოლმნერი (შვედ) | +0.65 |
| 4. მარია რიში (გერ) | +1.34 |
| 5. ტინა მაზე (სლოვენ) | +1.76 |
| 6. მანუელა მოელგი (იტა) | +1.86 |
| 6. ტანია პოუტიაინენი (ფინ) | +1.86 |

| კაცები | |
|---|---|
| 1. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფ) | 1:41.72 |
| 2. იენს ბიგმარკი (შვედ) | +0.43 |
| 3. მანფრედ მოელგი (იტა) | +0.61 |
| 4. მარიო მატი (ავსტრია) | +0.82 |
| 5. ჟულიენ კუზინე (კან) | +0.87 |
| 6. ნაოკი იუასა (იაპ) | +0.96 |

**მედლების ცხრილი**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრია | 4 | 3 | 1 | 8 |
| 2. საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| 3. იტალია | 1 | 2 | 3 | 6 |
| 4. აშშ | 1 | 2 | 0 | 3 |
| 5. სლოვენია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 6. კანადა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 6. ნორვეგია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 8. შვედეთი | 0 | 1 | 3 | 4 |
| 9. შვეიცარია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 10. გერმანია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 11. ხორვატია | 0 | 0 | 1 | 1 |

**TV პროგრამა**

**21 თებერვალი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-მალიორკა (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-მალიორკა (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

23:10 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. ჰერტა-კოტბუსი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).

**SPORT+**

23:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სტ. ლუისი-ჩიკაგო (LIVE).

**EUROSPORT-2**

18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II ლიგა. დუბაი. საემიროები (LIVE).

ავტოსპორტი

# არშემდგარი ტრაგედია

კინაღამ ტრაგედიით დასრულდა დაიტონის ლეგენდარულ ავტოდრომზე პიკაპების რბოლა, რომელიც პრესტიჟული სარბოლო სერიის - ნასკარის ეგიდით გაიმართა. ტრასაზე გრანდიოზული ავარია მოხდა, რომელშიც 14-მა ავტომობილმა მიიღო მონაწილეობა.

ინციდენტი 74-ე წრეზე მოხდა, როცა ერთ-ერთ მანქანას საბურავი მოძვრა. საბოლოოდ, ავტომობილმა მართვა დაკარგა და გვერდით მიმავალ მანქანას დაეჯახა. ამან ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია. ავარიის გამო რბოლის შეწყვეტა გახდა საჭირო, რადგან რამდენიმე მანქანას პირდაპირ ტრასაზე წაეკიდა ცეცხლი. რაღაც სასწაულით ეს ავარია მსხვერპლით არ დასრულებულა.

აღსანიშნავია, რომ 10 წლის წინ დაიტონაში საშინელი ავარიისას ბოლო წრეზე დაიღუპა ლეგენდარული მრბოლელი **დეილ ერნჰარდტი-უფროსი**. მისმა სიკვდილმა მთელი ამერიკა შოკში ჩააგდო და სამუდამოდ შეცვალა ნასკარის სამყარო. კერძოდ, იქედან მოყოლებული ამ სერიაში უსაფრთხოების წესები გაუმჯობესდა. სხვათა შორის, დღეს ნასკარში გამოდის დაღუპული პილოტის ვაჟი - **დეილ ერნჰარდტი-უმცროსი**, რომელიც ამერიკაში ყველაზე პოპულარული ავტომრბოლია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ავარია დაიტონაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფანტაზიას საზღვარი არ აქვს

ტრადიციულად, ვარსკვლავური უქმეები დებიუტანტებისა და „მეორენლიანების" მატჩით გაიხსნა. ასევე ტრადიციული იყო მატჩის ფორმატი - 20-20-წუთიანი ორი ტაიმი. გუნდების სამწვრთნელო შტაბში **დოკ რივერსისა** და **გრეგ პოპოვიჩის** დამხმარეები შედიოდნენ, აქვე იყვნენ მოქმედი მოთამაშეები - **ამარე სტაუდმაიერი** და **კარმელო ენტონი**. ერთადერთი სიახლე ის იყო, რომ მწვრთნელებს შორის იყვნენ TNT-ის კომენტატორები - **კევინ მაკჰეილი** და **სტივ კერი**.

შემადგენლობებს თუ გადავხედავთ, გასაკვირი იყო შარშანდელი დრაფტის მეორე ნომრის **ევან ტერნერის** არყოფნა. მისი ადგილი „ადგილობრივმა" **ერიკ ბლედსოუმ** დაიკავა. რაც შეეხება „მეორენლიანებს", შარშანდელი ანალოგიური მატჩის MVP **ტაირიკ ევანსი** დააკლდათ.

მთელი შეხვედრის განმავლობაში პრაქტიკულად იგნორირებული იყო დაცვა. უფრო გამოცდილმა „მეორენლიანებმა" მეტოქეზე დამაჯერებლად დაიწყეს. პირველი წუთებიდან ბოლომდე ამ გუნდის მთავარი მოქმედი პირი **დეჟუან ბლეირი** გახდა, მაგრამ დებიუტანტებმა სწრაფად აუღეს ალლო მეტოქის თამაშს და გაათანაბრეს ანგარიში.

ბუნებრივია, ადგილობრივი პუბლიკა **ბლეიკ გრიფინის** შოუს ელოდა. თუმცა „კლიპერსის" ლიდერი არ ჩქარობდა თავის გამოჩენას. მიუხედავად ამისა, მან მაინც მოასწრო თავისი საფირმო ჩატენვების შესრულება და ამით თავისი არსებობის შესახებ შეგვახსენა. დებიუტანტებში **დემარკუს კაზინსს** მიჰყავდა თამაში. „საკრამენტოს" ცენტრი სამართლიანად ილებდა საკუთარ თავზე თამაშს და ბომბარდირებს შორის ლიდერი გახდა.

შესვენების შემდეგ დებიუტანტთა მცირე უპირატესობა გამოიკვეთა. მართალია, სხვაობა მიზერული იყო, მაგრამ ახალბედები მეტოქეს წინ გასვლის საშუალებას არ აძლევდნენ. მეორე ტაიმში **ჯონ უოლის** ჯერი დადგა. წლევანდელი დრაფტის პირველი ნომერი ცოტას


ჯავალ მაკგი

უტევდა, სამაგიეროდ, შედეგიან გადაცემებს უხვად არიგებდა. ასევე შეიცვალა ლიდერი „მეორეადგილოსნებს" შორის - **ჯეიმს ჰარდენი** გააქტიურდა, რომელმაც ეფექტური ჩატენვებითა და ოთხი სამქულიანით (ყველაზე მეტი მატჩში) დებიუტანტებს გაქცევის საშუალება არ მისცა.

საფინალო სირენამდე დაახლოებით რვა წუთით ადრე გაჩნდა დაცვაში თამაშის მცდელობა. მსაჯებმა პერსონალურების დარიგება დაიწყეს, კალათბურთელებს კი აღარ ეზარებოდათ მეტოქის სროლისას ხელების მაღლა აწევა. ბოლო წუთების გმირი გახდა „სან ანტონიოს" სნაიპერი **გარი ნილი**. ტყორცნების დროს მისმა შესაშურმა სიზუსტემ განაპირობა მატჩის ბედი.

გასარკვევი იყო MVP-ის ვინაობა. არჩევანი კაზინსსა და უოლს შორის უნდა გაკეთებულიყო. ცენტრი მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა (თამაში 33 ქულითა და 14 მოხსნით), მაგრამ ეს ორმაგი დუბლი უოლის 22-მა შედეგიანმა პასმა გადაწონა. ამ მაჩვენებლით ის ამ შეხვედრის ისტორიაში აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა.

**დებიუტანტები-მეორენლიანები 148:140**

**71:69, 77:71**

**დ:** კაზინსი (33+14 მოხსნა), ჯონსონი (25), ნილი (20), ფილდსი (15+6 მოხსნა), მონრო (14+8 მოხსნა), გრიფინი (14), უოლი (12+22 მოხსნა), ფეივორსი (9), ბლედსოუ (6+7 მოხსნა+5 პასი).

**მ:** ჰარდენი (30), ბლეირი (28+15 მოხსნა), მეტიუზი (15+6 პასი), იბაკა (14+5 მოხსნა), დეროზანი (14), კარი (13+8 პასი+6 მოხსნა), ჰოლიდეი (10), ჯენინგსი (8+7 პასი), გიბსონი (8).

■ ■ ■

ვარსკვლავური უქმეების მეორე დღე ტრადიციულ კონკურსებს დაეთმო. ასეთი ოთხი იყო: Shooting Stars (სხვადასხვა პოზიციიდან ტყორცნების სიზუსტის კონკურსი), Skills Challenge (კონკურსი დრიბლინგზე, ტყორცნასა და სროლაზე), 3-Pt Contest (სამქულიანების კონკურსი), Slam Dunk (ჩატენვების კონკურსი).

პირველ კონკურსში, რომელიც მეათედ ტარდებოდა, მონაწილეობდნენ ატლანტას, ლოს ანჯელესის, ჩიკაგოსა და შარშანდელი ჩემპიონის ტეხასის გუნდები. მონაწილეები ექვსი სხვადასხვა პოზიციიდან ესროდნენ და გამარჯვებული ვლინდებოდა ყველა ტყორცნისთვის დახარჯული დროისა და სიზუსტის მიხედვით. პირველი რაუნდი **დირკ ნოვიცკის** ტეხასმა მოიგო. მაგრამ ფინალში ამ გუნდმა **ელ ჰორფორდის**, **სტივ სმიტისა** და **კოკო მილერის** ატლანტასთან წააგო.

შემდეგ იყო კონკურსი - Skills Challenge. პირველ რაუნდში მოულოდნელად ჩავარდა **კრის პოლი**. „ნიუ ორლეანის" გამთამაშებელმა ყველაზე უარესი დრო აჩვენა - დისტანცია 42 წამში დაფარა. ასევე ფინალის მიღმა დარჩნენ ჯონ უოლი და **დერიკ როუზი**. ასე რომ, პრიზი **სტივ კარიმ** და **რასელ უესტბრუკმა** გაითამაშეს. აქ ინტრიგა არ ყოფილა. „გოლდენ სტეიტის" მცველმა იდეალურად გაიარა მთელი დისტანცია და დიდი უპირატესობით აჯობა უესტბრუკს.

სამქულიანების კონკურსში შარშანდელ ტიტულს იცავდა **პოლ პირსი**. მისი კონკურენტები იყვნენ **გიბსონი**, **დურანტი**, **დორელ რაიტი**, **ჯეიმს ჯონსი** და **რეი ალენი**. პირველი ორი ძალიან სუსტად გამოვიდა - დურანტმა მხოლოდ ექვსი ქულა დააგროვა, გიბსონმა - შვიდი. პირველ რაუნდში საუკეთესო შედეგი ალენსა და ჯონსს ჰქონდათ - შესაბამისად 20 და 15 ქულა. პირსმა კი ბოლო მომენტში გაალწია ფინალში. მას შემდეგ, რაც რაიტმა 11 ქულა დააგროვა, „ბოსტონის" ლიდერი დიდი ხანი ვერ მიუახლოვდა ამ მაჩვენებელს და მხოლოდ ბოლო ბონუსის ტყორცნით დააგროვა 12 ქულა.

თუმცა ფინალში „მაიამის" სნაიპერმა შანსი არ დაუტოვა ბოსტონურ დუეტს. ჯეიმსი 20 ქულით აღინიშნა, იმ დროს, როცა რეიმ და პოლმა 15 და 18 ქულა დააგროვეს.

მაყურებელს დესერტად ჩატენვების კონკურსი ელოდა. ბევრი შიშობდა, რომ ამ კონკურსმა დრო მოჭამა და მის მონაწილეებს შოუს დასადგმელად ფანტაზია აღარ ჰყოფნით. მაგრამ მათი პესიმიზმი არ გამართლდა. უკვე პირველმა რაუნდმა აჩვენა, რომ ფანტაზიის მხრივ კალათბურთელებს ყველაფერი წესრიგში აქვთ. მაგალითად, **სერჟ იბაკამ** მოედანზე გაიყვანა გოგონები ტრანსპარანტით - NBA-Africa და მათ ფონზე **ჯულიუს ირვინგისა** და **მაიკლ ჯორდანის** სტილში საჯარიმოს ხაზიდან იფრინა. მანვე ერთ-ერთი ჩატენვისას ბურთი კალათში მოათავსა და თან კბილებით ჩამოგლიჯა კალათზე დამაგრებული სათამაშო დათვი.

მთელი კონკურსის განმავლობაში საუკეთესო იდეა მაინც ვაშინგტონელ **ჯავალ მაკგისა** და მის მწვრთნელ **კრის უებერს** ჰქონდათ. მოედანზე მეორე ფარი გამოიტანეს და ის ძირითადის დონეზე დააყენეს. „ვაშინგტონის" ცენტრმა პირველ ცდაზე არა, მაგრამ ბოლოს მაინც ჩატენა ერთდროულად ორი ბურთი. ფანტასტიკური ჩანაფიქრი! რაც შეეხება ბლეიკ გრიფინს, მისმა 360-გრადუსიანმა ბრუნმა ასევე მოახდინა შთაბეჭდილება პუბლიკასა და მსაჯებზე.

საბოლოოდ, ფინალში მაკგი და გრიფინი გავიდნენ. აქ უფრო მეტი ფანტაზია „კლიპერსის" ფორვარდმა გვიჩვენა. „სტეიპლს ცენტრის" მოედანზე „ტოიოტა" გამოიყვანეს, მოედნის მეორე ბოლოში **კენი სმიტმა** მომღერლების გუნდი დააყენა, რომელიც **არ ქელის** ცნობილ ჰიტს (I Believe I Can Fly) ასრულებდა. მუსიკის ფონზე „კლიპერსის" გამთამაშებელმა **ბაირონ დევისმა** მანქანის ლუქიდან გრიფინს ბურთი აუგდო, დებიუტანტი კაპოტს გადააფრინდა და ისე ჩატენა. ამან მსაჯების გული საბოლოოდ მოიგო და გრიფინი ყველაზე სანახაობრივი კონკურსის გამარჯვებული გახდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ბლეიკ გრიფინი


სერჟ იბაკა